დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:თამარ კეშელავა

წევრები:

მარი ფალელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)
ინგა ალავერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
მაია გოგოლაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
ნათია კილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
ინგა ხრიკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
მარინე ხუციშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
ნათია ორმოცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	233137398

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი,სოფელი ლელიანი
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი ლელიანი
საფოსტო ინდექსი	4121
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://short-link.me/145L1
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	leliani@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577316339

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2025 წლის 19 ივნისი NMES 8 25 0000710404
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	17 და 18 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი,სოფელი ლელიანი.ერთი შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი,სოფელი ლელიანი.ერთი შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი,სოფელი ლელიანი.ერთი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში ვიზიტი განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო

სკოლაში ვიზიტის შესახებ“ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 19 ივნისის NMES 8 25 0000710404 წ. ბრძანებით გასაზღვრულ ვადაში - 2025 წლის 17 და 18 ივლისს. ვიზიტამდე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტაცია; ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის წევრების შეხვედრა ონლაინ რეჟიმში, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას. ასევე, ექსპერტთა მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისგან გამოთხოვილ იქნა დამატებითი მტკიცებულებები, რაც სკოლამ წარმოადგინა შესაბამის ვადაში. სკოლის მიერ წარმოდგენილმა მასალამ ექსპერტებს მისცა შესაძლებლობა შეესწავლათ ინფორმაცია დაწესებულების შესახებ.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით, ჯგუფის სხვა წევრებმა კი დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით - Microsoft Teams პლატფორმით.

ვიზიტის განმავლობაში დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოიჩინეს თანამშრომლობის მაღალი კულტურა. შეფასება განხორციელდა კეთილგანწყობილ და საქმიან გარემოში. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა სკოლის ინფრასტრუქტურა, სკოლის ინკლუზიური გარემო, დოკუმენტაცია, პირადი საქმეები. ვიზიტის დროს განხორციელდა დირექციის წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ინტერვიურება. საგნობრივი ექსპერტები შეთანხემებული განრიგის შესაბამისად Microsoft Teams პლატფორმით გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრების წარმომადგენლებს. შეხვედრების პროცესში საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები კურიკულუმის დანერგვის პროცესებთან მიმართებით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში და ვიზიტის შემდეგ მონაწილეობდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების პროცესში. ვიზიტის ორივე დღეს teams პლატფორმით შედგა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის გაერთიანებული/შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც გაზიარებულ იქნა შთაბეჭდილებები, მიგნებები, და შეთანხმდა დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის საკითხიც.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ დროულად წარმოადგინა ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაცია. საგნობრივმა ექსპერტებმა ჯგუფის თავმჯდომარესა და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთან შეთანხმებულ ვადაში წარმოადგინეს შეფასების ფორმები.

გაზიარების თვალსაზრისით, არჩეულ იქნა outlook onedrive-ის საქაღალდე, რომელზეც წვდომა ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრს. პროცესში გათვალისწინებულ იქნა ჯგუფის წევრების გამოცდილება და უკუკავშირი.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 400	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	*სკოლამ უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოებისა და სკოლის შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვება 08/04/2025-08/04/2026-მდე.*
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური	*სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის სამსახურთან. 16/04/2025-16/04/2026-მდე.*

	უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.4.1.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის	*სკოლამ უზრუნველყოს ღობის მთლიანობის აღდგენა 04/08/2025-04/08/2027-მდე*

	განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*სკოლამ უზრუნველყოს საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერის; სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ შენობის ჩაბარების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და შენობის ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დოკუმენტის მოპოვება 04/08/2025-04/08/2027-მდე*
ინდიკატორი 3.7.1.2	სკოლა ფინანსურად მდგრადია	*სკოლამ უზრუნველყოს 2025 წლის მატერიალური ინვენტარიზაციის ჩატარება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა 4.08.2025-1.01.2026-მდე*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების	სასურველია, სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

	სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების **დაწყებითი** საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)	**რჩევა**
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	საზოგადოებრივი მეცნიერებები-სასურველია კომპლექსური ტიპის დავალები იყოს სასწავლო გარემოსა და მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე უფრო მრავალფეროვანი, მისცეს მოსწავლეს არჩევანის საშუალება, რაც გაზრდის მოტივაციას სასწავლო პროცესის მიმართ. უცხოური ენები-სასურველია, კურიკულუმში და კომპლექსური დავალებებში გათვალისწინებული იყოს სსსმ მოსწავლეებზე მორგებული აქტივობები და ალტერნატიული დავალებები მათემატიკა- სასურველია შემოქმედებითი დავალებებისა და იდეების გამრავალფეროვნება.
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასურველია დავალებების მრავალფეროვნება,რომელიც მეტად სეუწყობს ხელს სააზროვნო უნარების განვითარებას, დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, რომელიც გაზომვადი იქნება სასკოლო აქტივობების განხორციელებისას.

		უცხოური ენები- კურიკულუმის თითოეული კომპონენტი (აქტივობები, თემები, სამიზნე ცნებები) მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნული სასწავლო გეგმის კონკრეტულ მიზნებთან. სასურველია, თითოეული აქტივობის დაგეგმვისას მასწავლებელმა შეაფასოს მისი კავშირი არა მხოლოდ თემასთან, არამედ საკითხთა კლასტერთან, გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და შედეგებთან, რათა სწავლება იყოს მიზანმიმართული, პრაქტიკული და ეფექტიანი.
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- რჩევის სახით მიიღეს კათედრის წევრებმა, რომ აქტივობების განხორციელებისას სასურველია აწარმოონ მოსწავლეებმა დაკვირვების დღიურების, ცდის და ექსპერიმენტის ოქმები, თვითრეფლექსიები და კვლევის ანგარიშები, რაც თავის მხრივ განუვითარებს მოსწავლეებს კვლევა-ძიების უნარს და შეძლებენ საკუთრი ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთაკავშირებას. საზოგადოებრივი მეცნიერებები- მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით წესების დაცვით იქნეს მიწოდებული მოსწავლეებთან ინტერნეტ რესურსების ელექტრონული მისამართები, ასევე წინასწარ იქნეს კათედრის მიერ გასაზღვრული და დამტკიცებული ელექტრონული რესურსი ჩამონათვალი და მკაცრად გაკონტროლდეს შემთხვევითი ელ.მისამართების გამოყენება მოსწავლეების მიერ. უცხოური ენები- სასურველია კურიკულუმში შემავალი რესურსების შერჩევისას მეტი აქცენტი გაკეთდეს მრავალფეროვან, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მასალებზე,გათვალისწინებული იყოს რესურსები სსსმ მოსწავლეთათვის, რათა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული სწავლის შედეგების მიღწევას და მოსწავლეებს მიეცთ შესაძლებლობა: მიზანშეწონილია განივითარონ უნარ-ჩვევები სხვადასხვა ტიპის ტექსტთან მუშაობისას (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი),

		ასევე სასურველია ვიზუალური, აუდიო და ციფრული რესურსების ინტეგრაცია (ვიდეოები, დიალოგები, ინტერაქტიული სავარჯიშოები), ტექნოლოგიები-დაწყებით საფეხურზე სასურველია საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული ყველა დამხმარე რესურსის ასახვა მოხდეს კურიკულუმში
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	უცხოური ენები-სასურველია კურიკულუმში მოყვანილი იყოს დიფერენცირებული დავალებებისა და აქტივობების კონკრეტული მაგალითები — თანდართული ინსტრუქციებითა და შესრულების პირობებით. ეს დაეხმარება პედაგოგებს სწრაფად და მარტივად დაგეგმონ სწავლება სხვადასხვა დონეზე მოსწავლეებისთვის, მათ შორის სსსმ მოსწავლეთათვის. ასევე სასურველია ურიკულუმში ჩაერთოს რამდენიმე ტიპური ნიმუში, რომელიც ნათლად აჩვენებს, როგორ ხორციელდება დიფერენცირება თემატური შინაარსის, ენობრივი დონისა და სწავლითი სტილის მიხედვით.
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სასურველია, საბუნებისმეტყველო საგნებში ჩატარებული პრაქტიკული დავალებების, ექსპერიმენტების, ცდების და კვლევების განხოციელებისას მოსწავლეებმა აწარმოონ შეაბამისი დოკუმენტაცია: კვლევის ანგარიშები, ცდის და ექსპერიმენტის ოქმები. თვითრეფელქსიები და თვითშეფასების ჩეკლისტები. რომელთა დახმარებით შეძლებენ მოსწავლეები შეამოწმონ საკუთარი ჰიპოთეზის სისწორე და გამოიტანონ დასკვნები, მოახდინონ საკუთარი სწავლის პროგრესის შეფასება და გავიდნენ უკეთეს შედეგზე. საზოგადოებრივი მეცნიერებები-სასურველია, შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები განსაზღვრული იყოს კონკრეტული კლასის, თემის შესაბამისად ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით, და არა იყოს სრულად,უცვლელად გადმოტანილი საფეხურის შედეგები/ცნებები კონკრეტული კლასის თემის შეფასებლად. ასევე

		მნიშვნელოვანია შეფასების კრიტერიუმების დონეების დაკონკრეტება, რადგან შეფასების პროცესი იყოს ღია,ვალიდური და ობიექტური. უცხოური ენები- სასურველია, კურიკულუმში დაისახოს თითოეული კომპონენტის (მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი) მიხედვით ცხადი და დეტალური შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავს ცოდნისა და უნარების დონეს,ეფუძნება საგნის მიზნებსა და შესაბამის დონეს,უზრუნველყოფს სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას,უზრუნველყოფს წინსვლის მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში სწავლების დიფერენცირებას.სსსმ მოსწავლეებისთვის შეფასება იყოს ადაპტირებული, მათი ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასურველია, შემაჯამებელ დავალებებში აქტიურად ინტეგრირდეს სხვადასხვა ფორმატის კომბინაციები (მაგალითად, ტექსტის შექმნა, კითხვებზე პასუხის გაცემა, აუდიოჩანაწერების მოსმენა,წაკითხულის გააზრება,პროექტული სწავლება,კომპლექსური დავალებები და დიალოგში მონაწილეობა), რაც ხელს შეუწყობს ყველა უნარის სრული შეფასების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ენა-სასურველია, განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მეტი კონკრეტიკა ჩანდეს, მორგებული იყოს დავალების შეფასების კრიტერიუმებს, ანუ რუბრიკაში აისახოს იმისი შეფასება, რასაც ვთხოვთ მოსწავლეს დავალებაში. სპორტი-სამომავლოდ, სასურველი იქნება, შეფასების რუბრიკები შეიქმნას კურიკულუმით გათვალისწინებული სხვა თემების მიხედვითაც.
ინდიკატორი: 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	უცხოური ენები- სასურველია, კურიკულუმებში ინტენსიურად გამოიყენებოდეს დიფერენცირებული და ინტერაქტიული სწავლების მეთოდები, როგორიცაა წყვილში და ჯგუფურად მუშაობა, როლური თამაშები, პროექტებზე დაფუძნებული სწავლა და პრობლემაზე

		ორიენტირებული ამოცანები.სასურველია, შეფასება ემყარებოდეს არა მხოლოდ საბოლოო შედეგებს , არამედ პროცესებს და მოიცავდეს მრავალფეროვან ფორმატს – ზეპირს, წერითს, ვიზუალურსა და აუდიო აქტივობებს.მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული მიზნები და დავალებები, გააძლიერებს ინკლუზიურობის პრინციპს და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩართულობას
ინდიკატორი: 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სასწავლო პროცესში გამოიყენონ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების ჩეკლისტები, რაც მოსწავლეებს მისცემს საშუალებას უკეთ შეძლოს საკუტარი სწავლის პროგრესის შეფასება და ანალიზი. საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასურველია შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები განსაზღვრული იყოს კონკრეტული კლასის, თემის შესაბამისად ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით, და არა სრულად, უცვლელად გადმოტანილი საფეხურის შედეგები/ცნებები კონკრეტული კლასის თემის შეფასებლად. ასევე მნიშვნელოვანია შეფასების კრიტერიუმების დონეების დაკონკრეტება, რადგან შეფასების პროცესი იყოს ღია,ვალიდური და ობიექტური. სასურველია შემაჯამებელი ტიპის დავალებებებისთვის კონკრეტული,დონეებზე გაშლილი კრიტერიუმების შემუშავება. უცხოური ენები- სასურველია, შეფასების კრიტერიუმები გადაიხედოს საგნობრივად (ინგლისური,რუსული)რათა თითოეული კრიტერიუმი მაქსიმალურად ასახავდეს შესაბამისი ენის სპეციფიკას და მიზნებს. სასურველია, კრიტერიუმები მორგებული იყოს საფეხურის დონის მახასიათებლებს და მოიცავდეს კონკრეტულ ენობრივ უნარებს (მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი) . შემაჯამებელი დავალებები იყოს მრავალფეროვანი და ღია ტიპის არა მხოლოდ ტესტური ან დახურული ფორმის.მაგალითად, შეიძლება მოიცავდეს შემოქმედებით წერას, პრეზენტაციას,კომპლექსურ დავალებას, როლურ თამაშს ან

		რეალური კომუნიკაციის იმიტაციას, რაც უფრო სრულად ასახავს მოსწავლის ენობრივ კომპეტენციებს. რეკომენდებულია, შეფასებები მორგებული იყოს თემატიკასა და მიზანზე, რათა გაზარდოს მოსწავლეთა ჩართულობა.
ინდიკატორი: **2.2.2.1**	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სასურველია აქტიურად გამოიყენონ სასწავლო პროცესში სიმულაციური თამაშები და ვირტუალური ლაბორატორია, რაც უფრო საინტერესოს, მიმზიდველს და სახალისოს ხდის სწავლის პროცესს. უცხოური ენები- კურიკულუმში გაიზარდოს მოსმენისა და საუბრის უნარების განვითარების მხარდამჭერი რესურსების რაოდენობა. რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას აუთენტური აუდიო/ვიდეო მასალები, დიალოგები, როლური თამაშები და მოსმენის და ლაპარაკის აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა რეალურ კომუნიკაციაში ჩართულობას. ასევე,სასურველია კათედრაზე შედგეს ლაპარაკის და მოსმენის დამხმარე რესურსების მიზნობრივი ნუსხა, შინაარსობრივი მიზნების, საფეხურისა და ენის მიხედვით, რაც გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს და გაზრდის მოსწავლეთა ენობრივ თვითგამოხატვას.
ინდიკატორი: **2.2.2.2**	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	უცხოური ენები- სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს დამხმარე სასწავლო რესურსების პერიოდული გადახედვა და ხარისხობრივი ანალიზი კათედრის ფარგლებში, რათა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ რესურსები, რომლებიც დადასტურებულად შეესაბამება საგნობრივ მიზნებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. გარდა ამისა, სასურველია შეიქმნას რესურსების ვალიდაციის ფორმალური ჩარჩო/ჩეკლისტი, რომელიც გაამარტივებს პროცესს და გაზრდის მისი სისტემატურობის ხარისხს.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების **საბაზო** საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)	**რჩევა**
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	საზოგადოებრივი მეცნიერებები-სასურველია კომპლექსური ტიპის დავალები იყოს სასწავლო გარემოსა და მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე უფრო მრავალფეროვანი, მისცეს მოსწავლეს არჩევანის საშუალება, რაც გაზრდის მოტივაციას სასწავლო პროცესის მიმართ. უცხოური ენები-სასურველია, კურიკულუმში და კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებული იყოს სსსმ მოსწავლეებზე მორგებული აქტივობები და ალტერნატიული დავალებები მათემატიკა- სასურველია შემოქმედებითი დავალებებისა და იდეების გამრავალფეროვნება.
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასურველია დავალებების მრავალფეროვნება,რომელიც მეტად სეუწყობს ხელს სააზროვნო უნარების განვითარებას, დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, რომელიც გაზომვადი იქნება სასკოლო აქტივობების განხორციელებისას. უცხოური ენები-კურიკულუმის თითოეული კომპონენტი (აქტივობები, თემები, სამიზნე ცნებები) მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნული სასწავლო გეგმის კონკრეტულ მიზნებთან. სასურველია, თითოეული აქტივობის დაგეგმვისას მასწავლებელმა შეაფასოს მისი კავშირი არა მხოლოდ თემასთან, არამედ საკითხთა კლასტერთან, გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და შედეგებთან, რათა სწავლება იყოს მიზანმიმართული, პრაქტიკული და ეფექტიანი.

ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- აქტივობების განხორციელებისას სასურველია აწარმოონ მოსწავლეებმა დაკვირვების დღიურების, ცდის და ექსპერიმენტის ოქმები, თვითრეფლექსიები და კვლევის ანგარიშები, რაც თავის მხრივ განუვითარებს მოსწავლეებს კვლევა-ძიების უნარს და შეძლებენ საკუთრი ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთაკავშირებას. საზოგადოებრივი მეცნიერებები- მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით წესების დაცვით იქნეს მიწოდებული მოსწავლეებთან ინტერნეტ რესურსების ელექტრონული მისამართები, ასევე წინასწარ იქნეს კათედრის მიერ გასაზღვრული და დამტკიცებული ელექტრონული რესურსი ჩამონათვალი და მკაცრად გაკონტროლდეს შემთხვევითი ელ.მისამართების გამოყენება მოსწავლეების მიერ. უცხოური ენები- სასურველია კურიკულუმში შემავალი რესურსების შერჩევისას მეტი აქცენტი გაკეთდეს მრავალფეროვან, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მასალებზე,გათვალისწინებული იყოს რესურსები სსსმ მოსწავლეთათვის, რათა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული სწავლის შედეგების მიღწევას და მოსწავლეებს მიეცთ შესაძლებლობა: მიზანშეწონილია განივითარონ უნარ-ჩვევები სხვადასხვა ტიპის ტექსტთან მუშაობისას (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი), ასევე სასურველია ვიზუალური, აუდიო და ციფრული რესურსების ინტეგრაცია (ვიდეოები, დიალოგები, ინტერაქტიული სავარჯიშოები),
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	უცხოური ენები-სასურველია კურიკულუმში მოყვანილი იყოს დიფერენცირებული დავალებებისა და აქტივობების კონკრეტული მაგალითები — თანდართული ინსტრუქციებითა და შესრულების პირობებით. ეს დაეხმარება პედაგოგებს სწრაფად და მარტივად დაგეგმონ სწავლება სხვადასხვა დონეზე მოსწავლეებისთვის, მათ შორის სსსმ მოსწავლეთათვის. ასევე სასურველია ურიკულუმში ჩაერთოს რამდენიმე ტიპური ნიმუში, რომელიც ნათლად აჩვენებს,

		როგორ ხორციელდება დიფერენცირება თემატური შინაარსის, ენობრივი დონისა და სწავლითი სტილის მიხედვით.
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სასურველია, საბუნებისმეტყველო საგნებში ჩატარებული პრაქტიკული დავალებების, ექსპერიმენტების, ცდების და კვლევების განხოციელებისას მოსწავლეებმა აწარმოონ შეაბამისი დოკუმენტაცია: კვლევის ანგარიშები, ცდის და ექსპერიმენტის ოქმები. თვითრეფელქსიები და თვითშეფასების ჩეკლისტები. რომელთა დახმარებით შეძლებენ მოსწავლეები შეამოწმონ საკუთარი ჰიპოთეზის სისწორე და გამოიტანონ დასკვნები, მოახდინონ საკუთარი სწავლის პროგრესის შეფასება და გავიდნენ უკეთეს შედეგზე. საზოგადოებრივი მეცნიერებები-სასურველია, შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები განსაზღვრული იყოს კონკრეტული კლასის, თემის შესაბამისად ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით, და არა იყოს სრულად,უცვლელად გადმოტანილი საფეხურის შედეგები/ცნებები კონკრეტული კლასის თემის შეფასებლად. ასევე მნიშვნელოვანია შეფასების კრიტერიუმების დონეების დაკონკრეტება, რადგან შეფასების პროცესი იყოს ღია,ვალიდური და ობიექტური. უცხოური ენები- სასურველია, კურიკულუმში დაისახოს თითოეული კომპონენტის (მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი) მიხედვით ცხადი და დეტალური შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავს ცოდნისა და უნარების დონეს,ეფუძნება საგნის მიზნებსა და შესაბამის დონეს,უზრუნველყოფს სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას,უზრუნველყოფს წინსვლის მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში სწავლების დიფერენცირებას.სსსმ მოსწავლეებისთვის შეფასება იყოს ადაპტირებული, მათი ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სასწავლო გეგმის შესაბამისად.

		სასურველია, შემაჯამებელ დავალებებში აქტიურად ინტეგრირდეს სხვადასხვა ფორმატის კომბინაციები (მაგალითად, ტექსტის შექმნა, კითხვებზე პასუხის გაცემა, აუდიოჩანაწერების მოსმენა,წაკითხულის გააზრება,პროექტული სწავლება,კომპლექსური დავალებები და დიალოგში მონაწილეობა), რაც ხელს შეუწყობს ყველა უნარის სრული შეფასების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ენა-სასურველია, განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მეტი კონკრეტიკა ჩანდეს, მორგებული იყოს დავალების შეფასების კრიტერიუმებს, ანუ რუბრიკაში აისახოს იმისი შეფასება, რასაც ვთხოვთ მოსწავლეს დავალებაში. სპორტი-სამომავლოდ, სასურველი იქნება, შეფასების რუბრიკები შეიქმნას კურიკულუმით გათვალისწინებული სხვა თემების მიხედვითაც.
ინდიკატორი: 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	უცხოური ენები-სასურველია, კურიკულუმებში ინტენსიურად გამოიყენებოდეს დიფერენცირებული და ინტერაქტიული სწავლების მეთოდები, როგორიცაა წყვილში და ჯგუფურად მუშაობა, როლური თამაშები, პროექტებზე დაფუძნებული სწავლა და პრობლემაზე ორიენტირებული ამოცანები.სასურველია, შეფასება ემყარებოდეს არა მხოლოდ საბოლოო შედეგებს , არამედ პროცესებს და მოიცავდეს მრავალფეროვან ფორმატს – ზეპირს, წერითს, ვიზუალურსა და აუდიო აქტივობებს.მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული მიზნები და დავალებები, გააძლიერებს ინკლუზიურობის პრინციპს და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩართულობას
ინდიკატორი: 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სასწავლო პროცესში გამოიყენონ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების ჩეკლისტები, რაც მოსწავლეებს მისცემს საშუალებას უკეთ შეძლოს საკუთარი სწავლის პროგრესის შეფასება და ანალიზი.

		საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასურველია შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები განსაზღვრული იყოს კონკრეტული კლასის, თემის შესაბამისად ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით, და არა სრულად, უცვლელად გადმოტანილი საფეხურის შედეგები/ცნებები კონკრეტული კლასის თემის შეფასებლად. ასევე მნიშვნელოვანია შეფასების კრიტერიუმების დონეების დაკონკრეტება, რადგან შეფასების პროცესი იყოს ღია,ვალიდური და ობიექტური. სასურველია შემაჯამებელი ტიპის დავალებებებისთვის კონკრეტული,დონეებზე გაშლილი კრიტერიუმების შემუშავება. უცხოური ენები- სასურველია, შეფასების კრიტერიუმები გადაიხედოს საგნობრივად (ინგლისური,რუსული)რათა თითოეული კრიტერიუმი მაქსიმალურად ასახავდეს შესაბამისი ენის სპეციფიკას და მიზნებს. სასურველია, კრიტერიუმები მორგებული იყოს საფეხურის დონის მახასიათებლებს და მოიცავდეს კონკრეტულ ენობრივ უნარებს (მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი) . შემაჯამებელი დავალებები იყოს მრავალფეროვანი და ღია ტიპის არა მხოლოდ ტესტური ან დახურული ფორმის.მაგალითად, შეიძლება მოიცავდეს შემოქმედებით წერას, პრეზენტაციას,კომპლექსურ დავალებას, როლურ თამაშს ან რეალური კომუნიკაციის იმიტაციას, რაც უფრო სრულად ასახავს მოსწავლის ენობრივ კომპეტენციებს. რეკომენდებულია, შეფასებები მორგებული იყოს თემატიკასა და მიზანზე, რათა გაზარდოს მოსწავლეთა ჩართულობა.
ინდიკატორი: **2.2.2.1**	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სასურველია აქტიურად გამოიყენონ სასწავლო პროცესში სიმულაციური თამაშები და ვირტუალური ლაბორატორია, რაც უფრო საინტერესოს, მიმზიდველს და სახალისოს ხდის სწავლის პროცესს. უცხოური ენები- კურიკულუმში გაიზარდოს მოსმენისა და საუბრის უნარების განვითარების მხარდამჭერი რესურსების რაოდენობა. რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას აუთენტური აუდიო/ვიდეო

		მასალები, დიალოგები, როლური თამაშები და მოსმენის და ლაპარაკის აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა რეალურ კომუნიკაციაში ჩართულობას. ასევე,სასურველია კათედრაზე შედგეს ლაპარაკის და მოსმენის დამხმარე რესურსების მიზნობრივი ნუსხა, შინაარსობრივი მიზნების, საფეხურისა და ენის მიხედვით, რაც გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს და გაზრდის მოსწავლეთა ენობრივ თვითგამოხატვას.
ინდიკატორი: **2.2.2.2**	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	უცხოური ენები- სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს დამხმარე სასწავლო რესურსების პერიოდული გადახედვა და ხარისხობრივი ანალიზი კათედრის ფარგლებში, რათა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ რესურსები, რომლებიც დადასტურებულად შეესაბამება საგნობრივ მიზნებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. გარდა ამისა, სასურველია შეიქმნას რესურსების ვალიდაციის ფორმალური ჩარჩო/ჩეკლისტი, რომელიც გაამარტივებს პროცესს და გაზრდის მისი სისტემატურობის ხარისხს.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების **საშუალო** საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)	**რჩევა**
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	საზოგადოებრივი მეცნიერებები-სასურველია კომპლექსური ტიპის დავალები იყოს სასწავლო გარემოსა და მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე უფრო მრავალფეროვანი, მისცეს მოსწავლეს არჩევანის საშუალება, რაც გაზრდის მოტივაციას სასწავლო პროცესის მიმართ.

		უცხოური ენები-სასურველია, კურიკულუმში და კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებული იყოს სსსმ მოსწავლეებზე მორგებული აქტივობები და ალტერნატიული დავალებები მათემატიკა- სასურველია შემოქმედებითი დავალებებისა და იდეების გამრავალფეროვნება.
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასურველია დავალებების მრავალფეროვნება,რომელიც მეტად სეუწყობს ხელს სააზროვნო უნარების განვითარებას, დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, რომელიც გაზომვადი იქნება სასკოლო აქტივობების განხორციელებისას. უცხოური ენები- კურიკულუმის თითოეული კომპონენტი (აქტივობები, თემები, სამიზნე ცნებები) მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნული სასწავლო გეგმის კონკრეტულ მიზნებთან. სასურველია, თითოეული აქტივობის დაგეგმვისას მასწავლებელმა შეაფასოს მისი კავშირი არა მხოლოდ თემასთან, არამედ საკითხთა კლასტერთან, გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და შედეგებთან, რათა სწავლება იყოს მიზანმიმართული, პრაქტიკული და ეფექტიანი.
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- რჩევის სახით მიიღეს კათედრის წევრებმა, რომ აქტივობების განხორციელებისას სასურველია აწარმოონ მოსწავლეებმა დაკვირვების დღიურების, ცდის და ექსპერიმენტის ოქმები, თვითრეფლექსიები და კვლევის ანგარიშები, რაც თავის მხრივ განუვითარებს მოსწავლეებს კვლევა-ძიების უნარს და შეძლებენ საკუთრი ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთაკავშირებას. საზოგადოებრივი მეცნიერებები- მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით წესების დაცვით იქნეს მიწოდებული მოსწავლეებთან ინტერნეტ რესურსების ელექტრონული მისამართები, ასევე წინასწარ იქნეს კათედრის მიერ გასაზღვრული და დამტკიცებული ელექტრონული

		რესურსი ჩამონათვალი და მკაცრად გაკონტროლდეს შემთხვევითი ელ.მისამართების გამოყენება მოსწავლეების მიერ. უცხოური ენები- სასურველია კურიკულუმში შემავალი რესურსების შერჩევისას მეტი აქცენტი გაკეთდეს მრავალფეროვან, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მასალებზე,გათვალისწინებული იყოს რესურსები სსსმ მოსწავლეთათვის, რათა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული სწავლის შედეგების მიღწევას და მოსწავლეებს მიეცთ შესაძლებლობა: მიზანშეწონილია განივითარონ უნარ-ჩვევები სხვადასხვა ტიპის ტექსტთან მუშაობისას (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი), ასევე სასურველია ვიზუალური, აუდიო და ციფრული რესურსების ინტეგრაცია (ვიდეოები, დიალოგები, ინტერაქტიული სავარჯიშოები),
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	უცხოური ენები-სასურველია კურიკულუმში მოყვანილი იყოს დიფერენცირებული დავალებებისა და აქტივობების კონკრეტული მაგალითები — თანდართული ინსტრუქციებითა და შესრულების პირობებით. ეს დაეხმარება პედაგოგებს სწრაფად და მარტივად დაგეგმონ სწავლება სხვადასხვა დონეზე მოსწავლეებისთვის, მათ შორის სსსმ მოსწავლეთათვის. ასევე სასურველია ურიკულუმში ჩაერთოს რამდენიმე ტიპური ნიმუში, რომელიც ნათლად აჩვენებს, როგორ ხორციელდება დიფერენცირება თემატური შინაარსის, ენობრივი დონისა და სწავლითი სტილის მიხედვით.
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სასურველია, საბუნებისმეტყველო საგნებში ჩატარებული პრაქტიკული დავალებების, ექსპერიმენტების, ცდების და კვლევების განხოციელებისას მოსწავლეებმა აწარმოონ შეაბამისი დოკუმენტაცია: კვლევის ანგარიშები, ცდის და ექსპერიმენტის ოქმები. თვითრეფელქსიები და თვითშეფასების ჩეკლისტები. რომელთა დახმარებით შეძლებენ მოსწავლეები შეამოწმონ საკუთარი ჰიპოთეზის სისწორე და გამოიტანონ დასკვნები, მოახდინონ

		საკუთარი სწავლის პროგრესის შეფასება და გავიდნენ უკეთეს შედეგზე. საზოგადოებრივი მეცნიერებები-სასურველია, შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები განსაზღვრული იყოს კონკრეტული კლასის, თემის შესაბამისად ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით, და არა იყოს სრულად,უცვლელად გადმოტანილი საფეხურის შედეგები/ცნებები კონკრეტული კლასის თემის შეფასებლად. ასევე მნიშვნელოვანია შეფასების კრიტერიუმების დონეების დაკონკრეტება, რადგან შეფასების პროცესი იყოს ღია,ვალიდური და ობიექტური. უცხოური ენები- სასურველია, კურიკულუმში დაისახოს თითოეული კომპონენტის (მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი) მიხედვით ცხადი და დეტალური შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავს ცოდნისა და უნარების დონეს,ეფუძნება საგნის მიზნებსა და შესაბამის დონეს,უზრუნველყოფს სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას,უზრუნველყოფს წინსვლის მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში სწავლების დიფერენცირებას.სსსმ მოსწავლეებისთვის შეფასება იყოს ადაპტირებული, მათი ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასურველია, შემაჯამებელ დავალებებში აქტიურად ინტეგრირდეს სხვადასხვა ფორმატის კომბინაციები (მაგალითად, ტექსტის შექმნა, კითხვებზე პასუხის გაცემა, აუდიოჩანაწერების მოსმენა,წაკითხულის გააზრება,პროექტული სწავლება,კომპლექსური დავალებები და დიალოგში მონაწილეობა), რაც ხელს შეუწყობს ყველა უნარის სრული შეფასების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ენა- სასურველია, განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მეტი კონკრეტიკა ჩანდეს, მორგებული იყოს დავალების შეფასების კრიტერიუმებს, ანუ რუბრიკაში აისახოს იმისი შეფასება, რასაც ვთხოვთ მოსწავლეს დავალებაში.

		სპორტი- სამომავლოდ, სასურველი იქნება, შეფასების რუბრიკები შეიქმნას კურიკულუმით გათვალისწინებული სხვა თემების მიხედვითაც.
ინდიკატორი: 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**უცხოური ენები-** სასურველია, კურიკულუმებში ინტენსიურად გამოიყენებოდეს დიფერენცირებული და ინტერაქტიული სწავლების მეთოდები, როგორიცაა წყვილში და ჯგუფურად მუშაობა, როლური თამაშები, პროექტებზე დაფუძნებული სწავლა და პრობლემაზე ორიენტირებული ამოცანები.სასურველია, შეფასება ემყარებოდეს არა მხოლოდ საბოლოო შედეგებს , არამედ პროცესებს და მოიცავდეს მრავალფეროვან ფორმატს – ზეპირს, წერითს, ვიზუალურსა და აუდიო აქტივობებს.მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული მიზნები და დავალებები, გააძლიერებს ინკლუზიურობის პრინციპს და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩართულობას
ინდიკატორი: 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-** სასწავლო პროცესში გამოიყენონ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების ჩეკლისტები, რაც მოსწავლეებს მისცემს საშუალებას უკეთ შეძლოს საკუტარი სწავლის პროგრესის შეფასება და ანალიზი. საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასურველია შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები განსაზღვრული იყოს კონკრეტული კლასის, თემის შესაბამისად ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით, და არა სრულად, უცვლელად გადმოტანილი საფეხურის შედეგები/ცნებები კონკრეტული კლასის თემის შეფასებლად. ასევე მნიშვნელოვანია შეფასების კრიტერიუმების დონეების დაკონკრეტება, რადგან შეფასების პროცესი იყოს ღია,ვალიდური და ობიექტური. სასურველია შემაჯამებელი ტიპის დავალებებებისთვის კონკრეტული,დონეებზე გაშლილი კრიტერიუმების შემუშავება. უცხოური ენები- სასურველია, შეფასების კრიტერიუმები გადაიხედოს საგნობრივად (ინგლისური,რუსული)რათა თითოეული კრიტერიუმი

		მაქსიმალურად ასახავდეს შესაბამისი ენის სპეციფიკას და მიზნებს. სასურველია, კრიტერიუმები მორგებული იყოს საფეხურის დონის მახასიათებლებს და მოიცავდეს კონკრეტულ ენობრივ უნარებს (მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი) . შემაჯამებელი დავალებები იყოს მრავალფეროვანი და ღია ტიპის არა მხოლოდ ტესტური ან დახურული ფორმის.მაგალითად, შეიძლება მოიცავდეს შემოქმედებით წერას, პრეზენტაციას,კომპლექსურ დავალებას, როლურ თამაშს ან რეალური კომუნიკაციის იმიტაციას, რაც უფრო სრულად ასახავს მოსწავლის ენობრივ კომპეტენციებს. რეკომენდებულია, შეფასებები მორგებული იყოს თემატიკასა და მიზანზე, რათა გაზარდოს მოსწავლეთა ჩართულობა.
ინდიკატორი: 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სასურველია აქტიურად გამოიყენონ სასწავლო პროცესში სიმულაციური თამაშები და ვირტუალური ლაბორატორია, რაც უფრო საინტერესოს, მიმზიდველს და სახალისოს ხდის სწავლის პროცესს. უცხოური ენები- კურიკულუმში გაიზარდოს მოსმენისა და საუბრის უნარების განვითარების მხარდამჭერი რესურსების რაოდენობა. რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას აუთენტური აუდიო/ვიდეო მასალები, დიალოგები, როლური თამაშები და მოსმენის და ლაპარაკის აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა რეალურ კომუნიკაციაში ჩართულობას. ასევე,სასურველია კათედრაზე შედგეს ლაპარაკის და მოსმენის დამხმარე რესურსების მიზნობრივი ნუსხა, შინაარსობრივი მიზნების, საფეხურისა და ენის მიხედვით, რაც გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს და გაზრდის მოსწავლეთა ენობრივ თვითგამოხატვას.
ინდიკატორი: 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	უცხოური ენები- სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს დამხმარე სასწავლო რესურსების პერიოდული გადახედვა და ხარისხობრივი ანალიზი კათედრის ფარგლებში, რათა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ

		რესურსები, რომლებიც დადასტურებულად შეესაბამება საგნობრივ მიზნებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. გარდა ამისა, სასურველია შეიქმნას რესურსების ვალიდაციის ფორმალური ჩარჩო/ჩეკლისტი, რომელიც გაამარტივებს პროცესს და გაზრდის მისი სისტემატურობის ხარისხს.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე. სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ: რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც-,,არ შეესაბამება" (3.4.1.1;3.5.1.1) ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,, ნაწილობრივ შესაბამისი". სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 24 თვე) მიხედვით,ხოლო 3.7.1.2 შეფასდა,როგორც ,,მეტწილად შესაბამისი" სკოლის მიერ

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 6 თვე) მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ოფელ ლელიანის საჯარო სკოლის მისიაა, შექმნას თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებზე მორგებული საგანმანათლებლო სივრცე, სადაც თითოეულ მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა, სრულად გამოავლინოს თავისი პოტენციალი და შეიძინოს XXI საუკუნისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. სკოლა ხელს უწყობს თავისუფალი, პასუხისმგებლიანი და კომპეტენტური პიროვნებების ჩამოყალიბებას, რომლებიც იზიარებენ ეროვნულ და გლობალურ ღირებულებებს და აქტიურად მონაწილეობენ როგორც საკუთარი თავის, ასევე თემის განვითარებაში.

განათლების პროცესში მნიშვნელოვანია ფორმალური და არაფორმალური სწავლების შერწყმა, თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება, სპორტული და შემოქმედებითი აქტივობების წახალისება, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა და მათი თვითრეალიზაციისთვის შესაბამისი პირობების შექმნა.

სასკოლო საზოგადოება თანხმდება შემდეგ ძირითად ღირებულებებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს სკოლის ხედვასა და მისიას:

- პროფესიონალიზმი;
- თანამშრომლობა და პატივისცემა;
- უწყვეტი განვითარება;
- ემპათია და ტოლერანტობა;
- შემოქმედებითობა;
- პატრიოტიზმი;
- გუნდურობა;
- ჯანსაღი ცხოვრების წესი;
- მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა;

სკოლა მუდმივად ზრუნავს მაღალი ხარისხის განათლების შეთავაზებაზე, რომელიც მოსწავლეს შეუწყობს ხელს პიროვნულ ზრდასა და ცხოვრების გზის წარმატებით არჩევაში.

2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლა მიზნად ისახავს, ჩამოყალიბდეს კონკურენტუნარიან და თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო ორგანიზაციად — არამხოლოდ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, არამედ რეგიონის მასშტაბით. ამ მიზნის მისაღწევად, სკოლა ქმნის უსაფრთხო, კეთილგანწყობილ და განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ეფუძნება ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობას.

სკოლაში ჩამოყალიბებულია ქცევის მკაფიო წესები და ხორციელდება პრევენციული ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს პოზიტიური ფსიქო-ემოციური კლიმატის შენარჩუნებას. ეს ყველაფერი ხელს უწყობს იმ საგანმანათლებლო სივრცის შექმნას, სადაც მოსწავლეთა კეთილდღეობა, განვითარება და თვითგამოხატვა პრიორიტეტად მიიჩნევა.

ლელიანის საჯარო სკოლა ასრულებს თემის სოციო-კულტურული ცენტრის ფუნქციას და აქტიურად უჭერს მხარს ისეთი ღირებულებების განვითარებას, რომლებიც მოსწავლეთა პიროვნულ, აკადემიურ და სოციალური ზრდის საფუძველს ქმნის.

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ადგილზე ვიზიტის შედეგად მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლა ისწრაფვის შექმნას ისეთი გარემო, სადაც სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს მიენიჭება სათანადო ავტონომია და ნდობა. ეს დამოკიდებულება ეფუძნება მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მშობელთა და ადმინისტრაციის პროფესიონალიზმს, კეთილსინდისიერებას და პასუხისმგებლობას.

სკოლის ფილოსოფიის — მისიის, ხედვისა და ღირებულებების — ჩამოყალიბება და სტრატეგიული დაგეგმვა ხორციელდება სტრუქტურირებული მიდგომით. სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან: საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები, მშობლები და ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფმა სისტემურად შეისწავლა და გააანალიზა:კურსდამთავრებულთა წარმატების მაჩვენებლები,მოსწავლეთა კონტინგენტის სტატისტიკა და მობილობის დინამიკა,სკოლის ფინანსური მდგრადობა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტენდენციები,ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა.

გარდა ამისა, ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ ჩატარდა გამოკითხვები მოსწავლეებისა და მშობლების შორის, რაც მიზნად ისახავდა სკოლის გარემოს უსაფრთხოების, ემოციური კეთილდღეობისა და სხვა აქტუალური საკითხების შეფასებას. გამოკითხვების შედეგად მიღებული ინფორმაცია დამუშავდა, გაანალიზდა და ინტეგრირდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების განსაზღვრის პროცესში.

ეს პროცესები ადასტურებს, რომ სკოლა იღებს პასუხისმგებლობას არა მხოლოდ აკადემიური სტანდარტების შესრულებაზე, არამედ საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, მიზანმიმართულ და ინკლუზიურ განვითარებაზე.

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სრულად ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული წევრისთვის. ამ მიზნებისთვის, სკოლა იყენებს ყველა ხელმისაწვდომ საშუალებას, როგორიცაა სკოლის შიდა სივრცეები, მშობელთა კრებები, ფორმალური და არაფორმალური შეხვედრები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ფართო გავრცელებას და სკოლის ფილოსოფიის გაცნობას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკოლის ფილოსოფიის ჩამოყალიბების პროცესში აქტიურად იყო ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა მხარე. დოკუმენტი შემუშავდა და მიღებულ იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, სადაც მონაწილეობა მიიღეს როგორც პედაგოგებმა, ისე მოსწავლეთა, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებმა.

ამ პროცესმა, საბოლოო ჯამში,საფუძველი ჩაუყარა სკოლის ფილოსოფიის ინტეგრაციას სტრატეგიულ გეგმასა და სასწავლო გეგმაში, რაც ნათლად ასახავს სკოლის მისწრაფებებს და მიზნებს საგანმანათლებლო პროცესში.

5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, სკოლის სოციალურ ქსელში, ხელმისაწვდომია სკოლის შენობაში სასკოლო საზოგადოებისათვის და სკოლაში ვიზიტორებისთვის/შემსვლელი პირებითვის.

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის N448 ბრძანებასთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა;

მასწავლებელთა, მშობელთა სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ამსახველი ოქმები;

სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება;

მშობელთა კითხვარები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები.**

აღნიშნული დოკუმენტი აღწერს პრინციპებს, მეთოდებსა და პროცედურებს, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება **სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის** ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების), გრძელვადიანი — სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი — ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგი.

დოკუმენტი წარმოადგენს ზოგად ჩარჩოს, რომელშიც ასახულია სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმვის ძირითადი მიმართულებები, მოთხოვნები და პროცესები. იგი დეტალურად განმარტავს:სტრატეგიული დაგეგმვის სამოქმედო პრინციპებს;მეთოდოლოგიას, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული დაგეგმვის ეტაპებს;პროცესზე პასუხისმგებელ პირებსა და ჩართულ მხარეებს (მასწავლებლები, ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობლები და თემის სხვა წარმომადგენლები);სტრატეგიულ დოკუმენტში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების მექანიზმებს; შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდებს, მათ შორის წლიურ ანგარიშებთან დაკავშირებულ საკითხებს.

სკოლის დაგეგმვის პროცესი ციკლურ და უწყვეტ ხასიათს ატარებს. იგი მოიცავს ოთხ ძირითად ეტაპს:**დაგეგმვა, განხორციელება,მონიტორინგი,შეფასება და უკუკავშირი**.

ეს მიდგომა სკოლას საშუალებას აძლევს, დანერგოს თანმიმდევრული, გამჭვირვალე და ეფექტიანობაზე ორიენტირებული მმართველობითი პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მიზნობრივი აქტივობების განხორციელებას და მათი შედეგების შეფასებას.დოკუმენტის სტრუქტურა სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს და ასახავს სკოლაში მიმდინარე სტრატეგიულ პროცესებს როგორც შინაარსობრივად, ისე მექანიკურად.

2.სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის მთავარი განვითარების პრიორიტეტებს შვიდწლიან პერიოდში — 2023 წლიდან 2030 წლამდე. გეგმა შედგენილია როგორც წინარე გამოცდილების, ისე თანამედროვე გამოწვევებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

გეგმის შემუშავების პროცესში გამოყენებულია SWOT ანალიზი, რაც შესაძლებლობას აძლევს სკოლას, შეფასდეს ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. მიღებული ინფორმაცია და სტრატეგიული ხედვა შეჯერდა სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და დოკუმენტი დამტკიცდა შესაბამისი წესით.

სტრატეგიული გეგმა დეტალურად მოიცავს:სკოლის ზოგად პროფილს,მისიისა და ხედვის განმარტებას,სკოლის სტრუქტურას,დაგეგმვის პროცესის აღწერას.სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება ციკლურობას და მოიცავს საქმიანობის ოთხ ძირითად ეტაპს: დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება/უკუკავშირი. ეს პროცესი უზრუნველყოფს საქმიანობის უწყვეტობას, მიზნობრიობას და ხარისხიან რეალიზებას.2023–2030 წლებში სკოლა იმუშავებს შემდეგ სტრატეგიულ მიმართულებებზე:სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება,ადამიანური რესურსების განვითარება,მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება,სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება,მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმების გაუმჯობესება,ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა.

თითოეული სტრატეგიული მიმართულება დაყოფილია კონკრეტულ ამოცანებად, სადაც განსაზღვრულია ამოცანების შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და შეფასების მექანიზმები. გეგმა თანხვედრაშია სკოლის მისიისა და ხედვის დოკუმენტთან და ასახავს მის ფილოსოფიურ საფუძვლებს.
შედეგად, სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიან პერსპექტივაზე დაფუძნებული, სისტემური, ციკლური დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას მიზნობრივად, თანმიმდევრულად და მტკიცე ფასეულობებზე დაყრდნობით.

3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას
სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სკოლის მისიისა და 2023–2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე, სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით.გეგმა შედგენილია სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც მოიცავს პედაგოგიური კოლექტივის, ადმინისტრაციის, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მშობლების წარმომადგენლებს. დოკუმენტი განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, რაც ხაზს უსვამს პროცესის გამჭვირვალობასა და ინკლუზიურობას.სამოქმედო გეგმა მოიცავს:სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობებს,თითოეული აქტივობის შესრულების ინდიკატორებს,შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებსა და გუნდებს,საჭირო რესურსებს,განრიგს და შესრულების ვადებს.
გეგმაში სრულად ასახულია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შვიდივე სტრატეგიული მიმართულება, რაც უზრუნველყოფს სამოქმედო დოკუმენტის შესაბამისობას გრძელვადიან სტრატეგიულ პრიორიტეტებთან და უზრუნველყოფს მათი ეტაპობრივი რეალიზაციის მექანიზმს.
სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სკოლის განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილს და უზრუნველყოფს საქმიანობის სისტემურობას, ეფექტიანობასა და შედეგებზე ორიენტირებულობას.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს დეტალურად გაწერილ და ფორმალიზებულ დოკუმენტს, რომელიც მოიცავს სკოლის მისიას, გრძელვადიან ხედვას, სტრატეგიულ მიზნებსა და მათი მიღწევის გზებს. გეგმა ასევე შეიცავს ამ მიზნებისა და

ამოცანების შესრულების შემფასებელ ინდიკატორებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის შედეგებზე ორიენტირებულობასა და ეფექტიან მონიტორინგს.
სტრატეგიული გეგმის საფუძველზე შემუშავებულია ერთწლიანი (მოკლევადიანი) სამოქმედო გეგმა, რომელიც კონკრეტიზირებს სტრატეგიული მიზნების საფუძველზე შესასრულებელ ამოცანებს. იგი მოიცავს:ამოცანების შესაბამის აქტივობებს,შესრულების ვადებს,კონკრეტულ ინდიკატორებს/შესრულების მაჩვენებლებს,პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს,პროცესში ჩართულ მხარეებს (მასწავლებლები, ადმინისტრაცია, მოსწავლეები, მშობლები და სხვ.)
სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის ლოგიკურ გაგრძელებას და უზრუნველყოფს სკოლის განვითარების გეგმების ეტაპობრივ, პრაქტიკულ რეალიზაციას.
შედეგად, სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ერთმანეთთან თანხვედრაშია და უზრუნველყოფს განვითარების ერთიან, ციკლურ და შეფასებად პროცესს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
სასკოლო სასწავლო გეგმა,
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,
სამეურვეო საბჭოს ოქმები,
პედაგოგიური საბჭოს ოქმი,
სკოლის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

სკოლის სამოქმედო გეგმა 2024-2025 სასწ.წლის,

სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია შესრულების მონიტორინგი, რომელიც სკოლის მიერ შემუშავებული გეგმის ეფექტური რეალიზაციის საწინდარია. ამჟამად მონიტორინგის ფუნქციას ასრულებს სკოლის ადმინისტრაცია.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესი გულისხმობს სკოლის ყოველდღიური საქმიანობის სისტემურ ანალიზს, რომლის მიზანია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ეფექტიანობის, ეფექტურობისა და ხარისხის განსაზღვრა.

სკოლის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიაში დეტალურადაა გაწერილი:

- შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პერიოდულობა
- გამოყენებული ინსტრუმენტები (თვითშეფასება, შიდა დაკვირვება, ადმინისტრაციული მონაცემების ანალიზი, გამოკითხვები და სხვ.)
- პასუხისმგებელი პირები და ჯგუფები
- წერილობითი ანგარიშგების ვალდებულება, რომელიც საშუალებას იძლევა, მიღებული მონაცემები გამოყენებულ იქნას მიმდინარე გეგმების კორექტირებისა და შემდგომი განვითარების დასაგეგმად.

დამკვიდრებული მონიტორინგის მექანიზმი უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ მართვას, სკოლის განვითარების პროცესის გამჭვირვალობას და მუდმივ გაუმჯობესებას.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში მოკლევადიან (ერთწლიანი) და გრძელვადიან (შვიდწლიანი) გეგმებში განსაზღვრული აქტივობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სკოლის დირექცია.მონიტორინგის პროცესში ჩართულნი არიან:პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე,საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები,კლასის დამრიგებლები.

სკოლას უკვე ჩამოყალიბებული აქვს შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პროცესების პერიოდულ გადახედვას და გაუმჯობესებას.განსაზღვრულია შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის:მიზნები და ამოცანები,მეთოდები,შესრულების ვადები.შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ცვლილებების პაკეტის მომზადებას, რაც ხელს უწყობს გეგმების დროულ ადაპტირებას და მიზნების მიღწევის ეფექტურობას.

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ განთავსდება სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში, რაც განაპირობებს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე.რაც შეეხება სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგების საჯაროობას, აღნიშნული პროცესი ჯერ არ დაწყებულა, ვინაიდან სკოლა ამ ეტაპზე იმყოფება პირვადი ავტორიზაციის პროცესში, შესაბამისად, გეგმის განხორციელების შედეგების შეჯამება და გამოქვეყნება დაგეგმილია მომდევნო ეტაპზე.სკოლა მომავალშიც გეგმავს ყველა ანგარიშის და შედეგის ღიად გასაჯაროებას, რათა შეინარჩუნოს საჯაროობა, ჩართულობა და საზოგადოების მხრიდან ნდობა.

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს სკოლა გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის. სკოლამ მოახდინა სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება. დირექტორმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ აქტივობები, რომლებიც 2024-2025 სასწავლო წელს არ შესრულდა ან ნაწილობრივ შესრულდა, ასახული იქნება 2025-2026 სამოქმედო გეგმაში, რომლის პროექტზეც სკოლას უკვე ჰქონდა დაწყებული მუშაობა. (სკოლა იმყოფება პირველადი ავტორიზაციის პროცესში).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;

სასკოლო სასწავლო გეგმა,

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,

სამეურვეო საბჭოს ოქმები,
პედაგოგიური საბჭოს ოქმი,

სკოლის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

სკოლის სამოქმედო გეგმა 2024-2025 სასწ.წლის,

სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

   სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის მმართველობითი სტრუქტურა მოიცავს კოლეგიალურ სტრუქტურულ ერთეულებს, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი აქვთ როგორც ადმინისტრაციულ, ისე

საგანმანათლებლო პროცესების მართვაში. ესენია:სამეურვეო საბჭო,დირექცია,ადმინისტრაცია,პედაგოგიური საბჭო,მრჩეველთა საბჭო,დისციპლინური კომიტეტი,საგნობრივი ჯგუფის კათედრები,მოსწავლეთა თვითმმართველობა.სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა დაზუსტებულია სკოლის საშტატო განრიგით, ხოლო მათი უფლებამოსილება და საქმიანობის ფარგლები განსაზღვრულია შემდეგი დოკუმენტებით:

საქართველოს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდებით“,სკოლის შინაგანაწესით,სკოლის შრომითი ხელშეკრულებებით.პედაგოგიური საბჭო შედგება სკოლის ყველა მასწავლებლისგან, მათ შორის ადმინისტრაციის წევრებისგან, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები საგნის მასწავლებლის სტატუსით.სამეურვეო საბჭო ფორმირდება არჩეული მასწავლებლებისა და მშობლებისგან (თანაბარი რაოდენობით). სათათბირო ხმით საბჭოს წევრია მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე.

საგნობრივი კათედრები – სკოლაში ფუნქციონირებს 7 კათედრა, რომლებიც აერთიანებენ მასწავლებლებს საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. კათედრების მუშაობა მოიცავს:ურთიერთდასწრებებს,გამოცდილების გაზიარებას,პერიოდულ სხდომებს, რომლებიც ფორმდება შესაბამისი ოქმებით, დღის წესრიგისა და ვადების გათვალისწინებით.დისციპლინური კომიტეტი, რომელიც არჩეულია სამეურვეო საბჭოს მიერ, თანაბრად აერთიანებს მასწავლებელს, მოსწავლესა და მშობელს. თითოეული მხარე თავის წარმომადგენელს ასახელებს შესაბამისი სტრუქტურის (პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო) მიერ. კომიტეტი განიხილავს დისციპლინურ საკითხებს შესაბამისი რეგლამენტისა და კომპეტენციის ფარგლებში.მოსწავლეთა თვითმმართველობა აირჩევა ყოველწლიურად, სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მიერ. მისი მანდატი მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში.მრჩეველთა საბჭო, ასევე სხვადასხვა საკონკურსო კომისიები შექმნილია სკოლის დირექტორის ბრძანებით, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესებში მულტიფუნქციური ჯგუფების მონაწილეობას.სტრუქტურული ერთეულების ეფექტიან თანამშრომლობასა და კოორდინირებულ საქმიანობას მოწმობს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების პროცესში განხორციელებული აქტივობები.

დასაქმებული პირების უფლებები და ვალდებულებები მკაფიოდ არის გაწერილი როგორც სკოლის შინაგანაწესში, ისე მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში, რაც განაპირობებს ორგანიზაციული ფუნქციონირების გამჭვირვალობას და სტრუქტურულ სიწესრიგეს.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო და ეფექტური განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტ, სტრუქტურირებულ და წარმატებულ წარმართვას.
სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, ისე საგანმანათლებლო და ტექნიკურ რგოლებს. კერძოდ, სკოლის თანამდებობრივი შემადგენლობა მოიცავს:

- დირექციას – დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი;
- ადმინისტრაციას – საინფორმაციო მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი;
- საგანმანათლებლო პერსონალს – ყველა საგნის მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი;
- ტექნიკურ და მომსახურე პერსონალს – სკოლის ექიმი, დარაჯები და დამლაგებლები.

დასაქმებულთა უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებებით და სკოლის შინაგანაწესით, რაც უზრუნველყოფს თითოეული თანამშრომლისთვის ფუნქციური ჩარჩოს და პასუხისმგებლობების სიცხადეს.
სკოლაში მოქმედებს კოლეგიური და სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ როგორც სტრატეგიული, ისე ყოველდღიური პროცესების მართვასა და განვითარებაში. მათ შორისაა:სამეურვეო საბჭო,პედაგოგიური საბჭო,მრჩეველთა საბჭო,საგნობრივი კათედრები,დისციპლინური კომიტეტი,მოსწავლეთა თვითმმართველობა.
ეს ერთეულები ფუნქციონირებენ სამუშაო გეგმის საფუძველზე და პერიოდულად იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზე. სხდომებზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმებით, რაც უზრუნველყოფს გუნდური მართვის, დოკუმენტური აღრიცხვისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.
საგნობრივი კათედრები (სულ 7) აერთიანებს საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებს, რომლებიც კოლაბორაციულად მუშაობენ სწავლების რესურსების შექმნაზე, გამოცდილების გაზიარებასა და პროფესიულ განვითარებაზე. კათედრის სხდომები რეგულარულია და შესაბამისი დღის წესრიგით ფორმდება დოკუმენტურად.
კლასის დამრიგებლები პასუხისმგებელნი არიან მოსწავლეთა ინდივიდუალური და ჯგუფური განვითარების მხარდაჭერაზე. ისინი:აკვირდებიან მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას;ახორციელებენ პროგრესის მონიტორინგს;უზრუნველყოფენ მშობელთა დროულ ინფორმირებასა და ჩართულობას;საჭიროების შემთხვევაში, ინიციირებენ სოციალური მუშაკის ჩართულობას.

დისციპლინური კომიტეტი სამეურვეო საბჭოს მიერ არის არჩეული და შედგება მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის თანაბარი წარმომადგენლობით. კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური საკითხები კანონისა და შინაგანაწესის ფარგლებში.

მოსწავლეთა თვითმმართველობა ირჩევა ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასაწყისიდან ერთი თვის ვადაში. მისი წევრები წარმოდგენილნი არიან შესაბამის საფეხურებზე და ერთი წლის ვადით ასრულებენ წარმომადგენლობით ფუნქციას. თვითმმართველობა მონაწილეობს სხდომებზე, ახორციელებს ინიციატივებს და წარმოადგენს მოსწავლეთა ინტერესებს.

მრჩეველთა საბჭო, საკონკურსო კომისიები შეიქმნა სკოლის დირექტორის ბრძანებით და ასრულებს სპეციალიზებულ ფუნქციებს შიდა მმართველობის პროცესებში.

სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ყველა კოლეგიური რგოლი ადგენს სამუშაო გეგმებს, რომელთა მიხედვითაც ხდება მათი საქმიანობის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება. ასევე, სკოლის სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში განსაზღვრულია კონკრეტული ადამიანური რესურსი, რომელიც პასუხისმგებელია სხვადასხვა ამოცანაზე.საბოლოოდ, სკოლის სტრუქტურა და ფუნქციური მართვის მექანიზმები უზრუნველყოფს:მართვის პროცესების დემოკრატიულობასა და ეფექტურობას;თანამშრომლობის, ერთიანობისა და საერთო მიზნების მიღწევის კულტურას;მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა აქტიურ ჩართულობას;საგანმანათლებლო და მმართველობითი პროცესების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს ოქმები;
თვითმმართველობის დებულება;
სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა,
სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
სკოლის კათედრის ოქმი,
სკოლის საშტატო განრიგი,
სკოლის კათედრების დებულების, სადამრიგებლო მუშაობის დებულების, სკოლაში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა დებულების, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, საინფორმაციო მენეჯერის, საქმისმწარმოებლის,

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის და ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ ბრძანება.
შრომითი ხელშეკრულება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში დამკვიდრებულ სტანდარტებსა და თანამედროვე მოთხოვნებს.
   დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს:ადამიანური რესურსების მართვის მიზნებსა და გამოყენების სფეროს;ძირითადი ამოცანებსა და ღირებულებებს;მართვის ციკლს — პერსონალის მოზიდვიდან პროფესიულ განვითარებამდე;სამუშაო პოზიციების აღწერილობებსა და შერჩევის პროცედურებს;ახალი თანამშრომლების სოციალიზაციის გზებს;მასწავლებელთა პროფესიულ ზრდასა და შესრულების შეფასების მექანიზმებს.
   პერსონალის მართვის წესები ასახულია სკოლის შინაგანაწესშიც, რომელიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია:სამუშაო კვირისა და დღის ხანგრძლივობა;დასვენების დრო და ფორმა;შრომის ანაზღაურების წესი;ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების გაცემის პირობები;შრომითი უსაფრთხოება და დაცვა;წახალისებისა და დისციპლინის ზომები;მატერიალური პასუხისმგებლობის პირობები;განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი;ჩაცმულობისა და ქცევის წესები;სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები.
   სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც სრულად შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და სკოლაში მოქმედ შიდა დოკუმენტაციას. ხელშეკრულებით დადგენილია, რომ შინაგანაწესი მისი განუყოფელი ნაწილია, ხოლო თანამშრომლები ხელმოწერით ადასტურებენ ამ წესების გაცნობას და დაცვას.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და ასახავს სკოლის მიდგომას კადრების სტრატეგიული დაგეგმვის, მოზიდვის, შერჩევის, განვითარებისა და შეფასების პროცესებთან დაკავშირებით. დოკუმენტი მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის მიზნებს, ამოცანებსა და გამოყენების სფეროს, განსაზღვრავს ადამიანური რესურსების ღირებულებებსა და მართვის ციკლს, აღწერს სამუშაო პროცესებსა და პასუხისმგებლობებს, კადრების შერჩევისა და სოციალიზაციის წესს, ასევე პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს.

სკოლას გააჩნია პერსონალის მართვის მკაფიო წესები და პირობები, რომლებიც ასახულია როგორც ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, ისე სკოლის შინაგანაწესში. აღნიშნული დოკუმენტები ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსით და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებით განსაზღვრულ ყველა ნორმასა და რეგულაციას. შინაგანაწესში გაწერილია სამუშაო დროის ხანგრძლივობა, დასვენების დრო, ანაზღაურების გაცემის წესი, შვებულებების მიცემის მექანიზმები, შრომის პირობების დაცვის პრინციპები, წახალისებისა და დისციპლინის ღონისძიებები, მატერიალური პასუხისმგებლობა, ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები და სკოლაში ჩაცმულობის წესი. ყველა დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც სკოლის შინაგანაწესი განიხილება როგორც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი, ხოლო ხელმოწერით თანამშრომელი ადასტურებს მის გაცნობას.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა გულისხმობს თანამშრომელთა საჭიროებების რეგულარულად გამოვლენას, რაც ხორციელდება სწავლების პროცესზე დაკვირვებით, საგნობრივი კათედრების ფარგლებში ურთიერთდასწრებით, მასწავლებელთა თვითშეფასებითა და დამრიგებლების ანალიზის საფუძველზე. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება როგორც პროფესიული განვითარების მიმართულებების დასაზუსტებლად, ასევე თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტად. სკოლის მიერ დანიშნულია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ზრუნავს სწავლების ხარისხის ამაღლებაზე, მასწავლებელთა ობიექტური შეფასების სისტემის დანერგვასა და თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებაზე. ჯგუფის წევრები ესწრებიან მასწავლებელთა გაკვეთილებს, აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს, ადგენენ საჭიროების შემთხვევაში გაკვეთილებზე დასწრების განრიგს და ეხმარებიან პედაგოგებს პროფესიულ წინსვლაში.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლა ადამიანური რესურსების მართვის პროცესში მოიცავს როგორც პრევენციულ, ისე ინტერვენციულ მიდგომებს. პრევენციული პოლიტიკის ფარგლებში, სკოლა ითვალისწინებს თანამშრომელთა შვებულებებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას, უზრუნველყოფს მათ წახალისებას ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და ახორციელებს პედაგოგიური დატვირთვის მოქნილ გადანაწილებას. ინტერვენციული მართვის პირობებში, საგნობრივი კათედრის მასწავლებლები ურთიერთჩანაცვლების პრინციპით უზრუნველყოფენ სწავლების

უწყვეტობას იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პედაგოგი დროებით ვერ ასრულებს მოვალეობებს. სკოლის ადმინისტრაცია ეტაპობრივად ახორციელებს ორგანიზაციულ საჭიროებათა სიღრმისეულ ანალიზს, იყენებს SWOT ანალიზის მეთოდს და გეგმავს შესაბამის მოქმედებებს. პროცესში მონაწილეობენ როგორც დირექცია, ისე პედაგოგიური და ადმინისტრაციული გუნდის სხვა წევრები, გადაწყვეტილებები კი მიღებულია გუნდურად, სკოლის საზოგადოების საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

სკოლა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას განიხილავს როგორც უწყვეტი განვითარების პროცესს და წარმატებით ართმევს თავს გამოწვევებს. ამასთან, რეკომენდირებულია, რომ პრევენციული და ინტერვენციული მართვის მექანიზმები სტრუქტურირებულად იყოს გაწერილი ცალკე დოკუმენტში ან დაემატოს ადამიანური რესურსების მართვის არსებულ დოკუმენტს, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს პროცესების სისტემურობასა და სტრატეგიულ მართვას.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში ადამიანური რესურსების შერჩევის პროცესი სრულად პასუხობს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ეფუძნება ღიაობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპებს. სკოლაში დასაქმება მიმდინარეობს კონკურსის გზით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესების შესაბამისად. სკოლას გააჩნია საკონკურსო პროცედურების დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს კონკურსის გამოცხადების, ჩატარების და შეფასების ყველა ეტაპს.

კონკურსის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ქვეყნდება როგორც სკოლის შენობაში, ასევე სპეციალურ ვებპლატფორმაზე — teacherjobs.ge, რაც უზრუნველყოფს ფართო ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისთვის. კონკურსის ობიექტურობის და სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც სკოლის წარმომადგენლები, ასევე მოწვეული წევრები განათლების სამინისტროს, რესურსცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და პროფესიული კავშირის მხრიდან. კომისია პასუხისმგებელია კონკურსის ეტაპების შესრულებასა და შესაბამისი კანდიდატის შერჩევაზე, რის შემდეგაც დირექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის შერჩევისა და დანიშვნის შესახებ.

კანდიდატის შერჩევის შემდეგ, სკოლაში იმართება სხდომა, ფორმდება შესაბამისი ოქმი და დირექტორის ბრძანება, რომელიც ასახავს თანამშრომლის დანიშვნას. ახალ თანამშრომელზე იხსნება პირადი საქმე, სადაც ინახება ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია — მათ შორის კადრების აღრიცხვის ფურცელი, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და ყველა

აუცილებელი ცნობა. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს არა მხოლოდ შერჩევის პროცესის სიზუსტეს, არამედ ადმინისტრაციული პროცესების სამართლებრივ სწორად მართვას.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში ვიზიტისას წარმოდგენილი იყო ყველა თანამშრომლის პირადი საქმე, რომელთა დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული პირები სრულად აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებზე დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მიღებული პორტირებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ შრომითი ხელშეკრულებები ყველა მასწავლებელთან გაფორმებულია შესაბამისი სტატუსების დაცვით და მოიცავს შრომის კოდექსითა და მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო პუნქტს.თითოეული მათგანის კვალიფიკაცია შეესაბამება შესაბამის პოზიციას, რაც ადასტურებს, რომ სკოლა ადამიანური რესურსების შერჩევისა და მართვის პროცესში სრულად ითვალისწინებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა და შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიანად და შეუფერხებლად განხორციელებას.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობითი და გუნდის პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო კულტურა, რაც ხელს უწყობს პროფესიულ ზრდასა და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას. სკოლაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოორდინირებული მუშაობა კათედრებსა და ფოკუს ჯგუფებს შორის, სადაც თითოეული წევრის აზრი მიღებულია და დაფასებული. ეს გარემო ქმნის სივრცეს, სადაც პროფესიულ საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა თავისუფლად იმოქმედოს, მიიღოს გადაწყვეტილებები და ატაროს პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე.მასწავლებლები მხარდაჭერას უწევენ ერთმანეთს, განსაკუთრებით მაძიებელ, შემცვლელ ან ახლად დასაქმებულ პედაგოგებს, რაც ხელს უწყობს მათ სწრაფად ადაპტაციას და პროფესიულ ინტეგრაციას. სკოლის დირექცია არ ერევა მასწავლებელთა საქმიანობაში დაუსაბუთებლად და ერთვება მხოლოდ სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე ან მასწავლებლის სურვილით, მხარდაჭერის ფორმატში. გარდა ამისა, დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია ანგარიშვალდებულების მექანიზმები, რაც ზრდის პასუხისმგებლობას და უზრუნველყოფს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმებით გათვალისწინებული ამოცანების მიზნობრივ შესრულებას.

საერთო სამუშაო ატმოსფერო პოზიტიურია, რაც ეფუძნება ერთმანეთის პატივისცემას, ნდობასა და საერთო მიზნების გარშემო გაერთიანებას. ეს ყველაფერი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ სკოლაში თანამშრომლობა არ არის მხოლოდ ფორმალური, არამედ ღირებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა, რომელიც მტკიცედ არის ფესვგადგმული ყოველდღიურ საქმიანობაში.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლა თანამშრომლების წახალისების მიმართულებით იყენებს შინაგანაწესით განსაზღვრულ მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს შრომითი ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულების და პროფესიული წარმატების აღიარებას. წახალისების ფორმად გამოიყენება მადლობის გამოცხადება, რომლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი.ამჟამად სკოლა მუშაობს პერსონალის შეფასების მექანიზმების უფრო მკაფიოდ და ეფექტურად განსაზღვრაზე, რაც მომავალში შეუწყობს ხელს თანამშრომელთა მოტივაციის კიდევ უფრო ამაღლებას და წახალისების სისტემის გაუმჯობესებას. გარდა ამისა, სკოლა აქტიურად აწვდის საზოგადოებას ინფორმაციას თანამშრომელთა მიღწევებისა და წარმატებული პრაქტიკის შესახებ — შესაბამისი მასალები ქვეყნდება როგორც სკოლის ვებგვერდზე, ისე სოციალურ ქსელებში.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შრომითი ხელშეკრულებები,
საკვალიფიკაციო მოთხოვნები,
ეკრანის ანაბეჭდი ვაკანსიის შესახებ,
სკოლის დამრიგებლის, მასწავლებლის და კათედრის მიერ I სემესტრში გაწეული მუშაობის ანგარიშები;
სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა,
პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა,
კათედრის დებულება,
სკოლის შინაგანაწესი,
გაკვეთილზე დასწრების მასალები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლას აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პროფესიული განვითარების მკაფიო მექანიზმებს. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომელიც განსაზღვრავს როგორც ჯგუფის, ასევე პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული მასწავლებლების საქმიანობას.
ხარისხის ჯგუფი პასუხისმგებელია მასწავლებელთა შიდა შეფასებაზე. ის აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას, ამოწმებს მის შრომით ხელშეკრულებაში გაწერილი ვალდებულებების შესრულებას და აფასებს მის პროფესიულ საქმიანობას. დაკვირვების საფუძველზე მასწავლებლებს ეძლევათ განმავითარებელი შეფასება, რაც ხელს უწყობს პროფესიულ წინსვლასა და პრაქტიკის გაუმჯობესებას.
დოკუმენტი ასევე არეგულირებს სკოლის სხვა თანამშრომლების შეფასების პროცედურებს, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვის სისტემურობას, გამჭვირვალობას და განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს გეგმავს მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებას სკოლის კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოზე შეთანხმებული ფორმის გამოყენებით. აღნიშნული მიდგომა განაპირობებს მასწავლებელთა შეფასების პროცესის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. გარდა ამისა, მომდევნო სასწავლო წლიდან დაგეგმილია სკოლის დონეზე შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების დანერგვა, რომელთა შერჩევაც უკვე განახორციელეს დარგობრივმა კათედრებმა. ეს ინსტრუმენტები დაფუძნებულია მოსწავლეთა შედეგების ანალიზზე და მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის შეფასებას სკოლაში. მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდება მასწავლებელთა პრაქტიკული საქმიანობის სიძლიერისა და საჭიროებების იდენტიფიცირება, რაც საფუძველს შექმნის მიზნობრივი პროფესიული მხარდაჭერისთვის.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლა ხელს უწყობს ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას შიდა ფასილიტაციის გაძლიერების გზით, რაც გულისხმობს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების წახალისებას გუნდში. დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი პერიოდულად იმართება და მასწავლებლების თვითშეფასებას ისმენს. ჯგუფი განსაზღვრავს გასაუმჯობესებელ მიმართულებებს და გეგმავს პროფესიულ განვითარებას, რომლის განხორციელებაშიც სკოლა აქტიურად უჭერს მხარს. სკოლის ბაზაზე რეგულარულად იმართება მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებისა და საგნობრივი კათედრების შეხვედრები, სადაც ისინი უზიარებენ ერთმანეთს პრაქტიკულ გამოცდილებას, განიხილავენ აქტუალურ საკითხებს და ერთობლივად გეგმავენ საჭირო ინტერვენციებს. სკოლის დირექტორის განმარტებით, პერსონალის კარიერული წინსვლის მიზანია სკოლისადმი მიკუთვნებულობის გაზრდა და პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა მკაფიოდ განსაზღვრავს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესს, რომლის მიზანია ახალდანიშნული თანამშრომლის სამუშაო გარემოში სწრაფი, ეფექტიანი ინტეგრაცია და პროფესიულ ცხოვრებაში აქტიური ჩართვა. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის ინფორმირებას როგორც სკოლაში არსებული წესებისა და შინაგანაწესის, ისე სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ. თანამშრომელი ეცნობა კათედრის შიდა კომუნიკაციის სტილს, ესწრება საგაკვეთილო პროცესს და ეტაპობრივად ერთვება სასკოლო ცხოვრებაში, მათ შორის — ღონისძიებებსა და პროექტებში. მას დეტალურად განემარტება შრომითი ხელშეკრულების პირობები, ფუნქცია-მოვალეობები, ანაზღაურების წესი და სამომავლო განვითარების პერსპექტივები. საჭიროების შემთხვევაში, მიეწოდება ინფორმაცია გამოსაცდელი ვადის შესახებ. აღნიშნული პროცესი მნიშვნელოვანია თანამშრომლის მოტივაციისა და თვითდამკვიდრების ხელშესაწყობად და ქმნის მყარ საფუძველს პროფესიული ზრდისა და სასკოლო საზოგადოებაში სრულფასოვანი ჩართვისათვის.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში გამოკვეთილად წახალისებულია მასწავლებელთა ინიციატივები და შემოქმედებითი აქტივობები. სკოლის დირექცია მხარს უჭერს პედაგოგების მიერ წამოწყებულ პროექტებს, ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და სამუშაო შეხვედრებს, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობითი და ინოვაციური სასკოლო გარემოს განვითარებას. დასაქმებულების წახალისება სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად ხორციელდება. წახალისების ფორმები და გამოყენების წესი მოწესრიგებულია და ემყარება ობიექტურ საფუძვლებს. გადაწყვეტილება იღება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საგნობრივი კათედრის, პედაგოგიური საბჭოს ან მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის სამსახურეობრივი ბარათი. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პროფესიული მოტივაციის ზრდასა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ამაღლებას.

სერტიფიკატები,
გაკვეთილის გეგმა, დაკვირვება, რეფლექსია, განმავითარებელი უკუკავშირი,
სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა 2024-2025 სასწ.წელი,
სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა,

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

სკოლის დაწყებითი კლასების კათედრის, სპორტის კათედრის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის, მათემატიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კათედრის და უცხოური ენების კათედრების სხდომის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლამ საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად მართვისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტები, მათ შორის — სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია. აღნიშნული დოკუმენტების მთავარი მიზანია სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა, განხორციელების პროცესის მხარდაჭერა და მასთან დაკავშირებული შეფასებითი პრაქტიკების გაუმჯობესება.სკოლა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში მკაფიოდ ასახავს ციკლურ მიდგომას: დაგეგმე – განახორციელე – შეაფასე – განავითარე, რაც უზრუნველყოფს პროცესების უწყვეტობას და მიზანმიმართულ განვითარებას. ამ მიდგომით სკოლა მიისწრაფვის საგანმანათლებლო პროცესის სისტემურ ორგანიზებასა და მასში ჩართული ყველა მხარის პასუხისმგებლობის გაზრდისკენ.

დირექტორის თქმით, ავტორიზაციის პროცესი სკოლისათვის იქცა განვითარებაზე ორიენტირებული ცვლილებების დასაწყისად — გამოიკვეთა საჭიროება სასკოლო სასწავლო გეგმისა და კურიკულუმების გადახედვის, ასევე მონიტორინგისა და შეფასების პროცესების უფრო მკაფიოდ განსაზღვრის. სკოლის ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ აღნიშნული დოკუმენტების სისტემური გაწერა და განხორციელება საშუალებას მისცემს სკოლას, ჩამოაყალიბოს გამჭვირვალე, ეფექტიანი და მდგრადი ხარისხის მართვის მექანიზმები, რაც თავის მხრივ, პოზიტიურად აისახება როგორც პედაგოგიურ საქმიანობაზე, ისე მოსწავლეთა მიღწევებზე.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია სხვადასხვა შიდა დოკუმენტებში, მათ შორის შრომით ხელშეკრულებებში, სკოლის კურიკულუმში და შინაგანაწესში. პროცესების აღწერა ეფუძნება როგორც სკოლაში მოქმედ შიდა სამართლებრივ ჩარჩოს, ასევე ზოგადი განათლების სფეროში მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობასა და რეგულაციებს, რაც უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციური დანაწილებისა და საქმიანობის ფორმალიზებას.
სკოლის ადმინისტრაცია, გასაუბრებისას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მმართველობითი პროცესები მიმართულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვასა და უსაფრთხო, თანასწორი, მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნისკენ. რაც შეეხება

ძირითად და დამხმარე პროცესებს, ისინი ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას და ითვალისწინებს როგორც აკადემიური, ისე არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირებას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლა მიზანმიმართულად გეგმავს არაფორმალური განათლების ხელშეწყობას — სასკოლო ღონისძიებების, შემოქმედებითი პროექტებისა და თემატური აქტივობების გზით, რაც განპირობებულია ეროვნული ღირებულებების პოპულარიზაციისა და მოსწავლეთა უნარების განვითარების აუცილებლობით. ამ მიზნებისთვის შემუშავებულია კონკრეტული დოკუმენტები, როგორიცაა სადამრიგებლო პროგრამები, საგნობრივი კურიკულუმები და სასკოლო პროექტები.

დირექტორის ბრძანებით, დამტკიცდა სკოლაში მოქმედი საკვანძო დებულებები და თანამდებობრივი ინსტრუქციები, მათ შორის კათედრების, სადამრიგებლო საქმიანობის, უსაფრთხოების წესების, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის — დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, საინფორმაციო მენეჯერის, საქმისმწარმოებლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორისა და ბიბლიოთეკარის ფუნქციები. აღნიშნული დოკუმენტაცია სრულად ასახავს სკოლაში პროცესების სტრუქტურირებასა და მათი ეფექტიანად მართვისათვის აუცილებელ სტანდარტებს.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში მიღებულია მკაფიო და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მყოფი პროცედურები განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ. თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების ან მათი კანონიერ წარმომადგენლების მიერ ნებისმიერი ტიპის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, ასევე შრომით ხელშეკრულებებსა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.საჩივრის ან განცხადების წარდგენა შეუძლია როგორც სკოლაში დასაქმებულ პირს, ისე მოსწავლეს, მის მშობელს ან სხვა დაინტერესებულ მხარეს. წარმოდგენილი განცხადება/საჩივარი რეგისტრირდება შესაბამის ჟურნალში, განიხილება კანონით დადგენილ ვადებში და კონკრეტული შედეგის შესახებ განმცხადებელი ინფორმირდება.სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულ ყველა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს თან ერთვის გასაჩივრების შესაძლებლობის ჩანაწერი. კერძოდ, აღნიშნულია, რომ დირექტორის ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.

ამგვარად, სკოლაში არსებობს ეფექტური მექანიზმები სამართლებრივი დაცვისა და ინდივიდუალური უფლებების რეალიზებისათვის, რაც მნიშვნელოვანია სკოლის ღია, გამჭვირვალე და სამართლიან გარემოდ ჩამოყალიბებისთვის.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში პერსონალისა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად არსებობს სისტემური მექანიზმები. ამისთვის სკოლას აქვს დამტკიცებული შინაგანაწესი, რომელიც დეტალურად ასახავს დასაქმებულებისა და მშობლების/კანონიერ წარმომადგენლების უფლებებსა და მოვალეობებს და წარმოადგენს მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით ადასტურებს გაცნობას როგორც ხელშეკრულების, ისე შინაგანაწესის პირობებთან.სკოლა უზრუნველყოფს უფლებრივ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტისა და სკოლის ექიმის ფუნქციონირების საშუალებით. თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, რის საფუძველზეც ისმის მოსწავლეთა პრობლემებისა და საჭიროებების დროული მხარდაჭერა. სასკოლო სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან ორგანიზებას. სკოლის შინაგანაწესი საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს სრულყოფილ ინფორმაციაზე წვდომას სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.სკოლის დირექტორის განმარტებით, შინაგანაწესის შემუშავების პროცესში ჩართული იყო მთელი სასკოლო საზოგადოება — როგორც პედაგოგიური საბჭო, ისე სამეურვეო საბჭო, რაც უზრუნველყოფს მისი ფართო მხარდაჭერასა და შესაბამისობას საზოგადოებრივი ინტერესების საჭიროებებს.ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეკომენდაციად დასახელდა ცალკე დოკუმენტის შექმნა, სადაც მკაფიოდ იქნებოდა განსაზღვრული მოსწავლის, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები. აღნიშნული ნაბიჯი ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების კანონიერი უფლებების ეფექტურ დაცვას და გააძლიერებს სამართლებრივ და ადმინისტრაციულ გამჭვირვალობას.მთლიანობაში, ამ მიმართულებით სკოლა აშკარად უზრუნველყოფს ყველა საჭირო სამართლებრივ და ორგანიზაციულ პირობას, რაც ინდიკატორების დაკმაყოფილებითაც დასტურდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;
სკოლის წესდება;
სკოლის სტრუქტურა;

სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი,დისციპლინურ კომიტეტში მშობელთა წარმომადგენლის, დისციპლინური კომიტეტის წევრების კანდიდატის არჩევის საკითხთან დაკავშირებით,
სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი ,
სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი,
სკოლის კათედრების დებულების, სადამრიგებლო მუშაობის დებულების, სკოლაში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა დებულების, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, საინფორმაციო მენეჯერის, საქმისმწარმოებლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის და ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ,
სკოლასა და მოსწავლის მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება;
სკოლის მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;
მშობელთა კრების ოქმები,
სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში ზოგიერთი მექანიზმის დამტკიცების შესახებ (1. სკოლაში გასაჩივრების დეტალური პროცედურები; დანართი 2. მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები; დანართი 3. დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დანართი 4. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი);
კლასის საათის რეფლექსიები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო სტატუსის განმტკიცებისა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელები და ციფრული პლატფორმები.

სკოლაში მიმდინარე სიახლეები და სრულყოფილი ინფორმაცია გაზიარებულია სხვადასხვა ონლაინ არხებით, რაც მშობლებს, მოსწავლეებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს მიიღონ დროული და გამართული ინფორმაცია. მშობლებს შეუძლიათ სოციალურ ქსელებში საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება და უკუკავშირის გადაცემა მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რაც ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციას.

კლასის დამრიგებლებმა შექმნეს დახურული ჯგუფები მენეჯერის (Messenger) საშუალებით, სადაც ორგანიზებულად და დროულად უწევენ ინფორმაციის მიწოდებას და უკუკავშირის მიღებას. გარდა ამისა, სკოლაში რეგულარულად ტარდება შეხვედრები როგორც მოსწავლეებთან, ასევე მათ მშობლებთან, რაც უზრუნველყოფს მათი საჭიროებებისა და სურვილების გაცნობას, მათი შეხედულებების გათვალისწინებას და ცვლილებების განხორციელებისას ყველას ინტერესების გათვალისწინებას.

სკოლა იყენებს Microsoft Teams პლატფორმასაც, სადაც შექმნილია სხვადასხვა ჯგუფები სტრუქტურულ ერთეულებსა და კოლეგიალურ ორგანოებს შორის კომუნიკაციისა და დოკუმენტაციის გასავრცელებლად, ასევე შეხვედრების გასატარებლად.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი არის საქმისმწარმოებელი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სწორ, დროულ და გამჭვირვალე მიწოდებას სკოლაში.

მთლიანობაში, სკოლა სისტემურად ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს შორის, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასწავლო პროცესის ხარისხისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესებაში.

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობით განსაზღვრული კოლეგიალური ორგანოები, როგორებიცაა სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მრჩეველთა საბჭო. ეს სტრუქტურები დაკომპლექტებულია მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების წარმომადგენლებით, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის რეალურ ჩართულობას სკოლის მართვის პროცესებში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა მაქსიმალურად ხელს უწყობს ინკლუზიურ მონაწილეობას და თანამშრომლობითი მმართველობის კულტურის ჩამოყალიბებას. კოლეგიური ორგანოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სკოლის სტრატეგიული მიზნების დასახვასა და მათ მისაღწევად შექმნილი სამოქმედო გეგმის განხორციელებაში. მათი ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ამაღლებს როგორც პროცესების გამჭვირვალობას, ისე გადაწყვეტილებების ეფექტიანობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომი (დისციპლინურ კომიტეტში მშობელთა წარმომადგენლის, დისციპლინური კომიტეტის წევრების კანდიდატის არჩევის საკითხი);

სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი;

სკოლის მოსწავლეთა თვითმართველობის საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი (საბაზო და საშუალო საფეხურის ოქმები);

სკოლის დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შსახებ;

სკოლის მრჩეველთა საბჭოს ოქმი;

სადამრიგებლო პროგრამა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო**

სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში უსაფრთხოების დაცვის პროცედურები და მექანიზმები მკაფიოდ განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. უსაფრთხოების პოლიტიკა ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესებს, რაც უზრუნველყოფს როგორც ფიზიკურ უსაფრთხოებას, ისე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სასწავლო გარემოში.

სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია: შინაგანაწესი, საგანგებო სიტუაციების მართვისა და რეაგირების გეგმა, რომელიც **არ არის შეთანხმებული შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.** სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად **ვერ უზრუნველყოფს** უსაფრთხოების საბაზისო სტანდარტებს: ტერიტორია **სრულად არ არის შემოღობილი,** არსებობს ორი გასასვლელი (ძირითადი და სათადარიგო).სკოლას არ აქვს სახანძრო უსაფრთხოებისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნები სკოლას არ აქვს მოპოვებული.

სკოლის უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობაში მონაწილეობს ტექნიკური პერსონალი , რომელიც მოიცავს შენობისა და ინვენტარის მდგომარეობის რეგულარულ შეფასებას და პრევენციულ, ჰიგიენურ ღონისძიებებს. სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი არიან ორი მანდატური (ერთ-ერთი იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში), სკოლის დარაჯი და მორიგე მასწავლებლები, რომლებიც მუშაობენ წინასწარ გაწერილი განრიგის მიხედვით. სკოლის შენობაში უცხო პირთა გადაადგილება კონტროლდება – კარისკაცი რეგისტრაციის ჟურნალში აფიქსირებს ყველა შემსვლელ და გამსვლელ პირს, ხოლო საგაკვეთილო პროცესისას უცხო პირების გადაადგილება იკრძალება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

მოსწავლეთა კონტროლის მიზნით, დამრიგებლები ყოველდღიურად აფიქსირებენ გაცდენებს და უნებართვო არყოფნის შესახებ დროულად ატყობინებენ დირექციას. სკოლაში ჩამოყალიბებული და მოქმედი უსაფრთხოების მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხო და სტაბილური სასწავლო გარემოს შენარჩუნებას.სკოლის მიერ საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის საფუძველზე გაიცემა **რეკომენდაცია:**სკოლამ უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოებისა და სკოლის შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნების მოპოვება შესაბამისობის გეგმით განსაზღვულ ვადაში 08/04/2025-08/04/2026. სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის სამსახურთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვურლ ვადაში 16/04/2025-16/04/2026. *სკოლამ უზრუნველყოს ღობის მთლიანობის აღდგენა 04/08/2025-04/08/2027-მდე.***რჩევა:სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას და ამ მიმართულებით მეტწილად არის დაკმაყოფილებული შესაბამისი სტანდარტები. სკოლას არ ჰყავს კვალიფიციური ექიმი, რომელიც პასუხისმგებელია სამედიცინო მომსახურებაზე.თუმცა სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია და ექიმთან შრომითი ხელშეკრულება დადებულია ვაკანსიის შევსებამდე. რეაბილიტირებულ შენობაში გამოყოფილია ფართი შესაბამისი ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტის მოსაწყობად, რომელიც ფუნქციონირებს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა“ და „სამედიცინო მომსახურების სივრცის ფუნქციონირების წესის“ მოთხოვნებთან შესაბამისობაში.სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები (ამჟამად,სხვა სკოლის შენობაში) ინახება დაცულ გარემოში, სპეციალურ კარადაში, რომელზეც წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. აღრიცხვიანობა მკაცრად კონტროლდება — მედიკამენტების მოძრაობა ფიქსირდება შესაბამის ჟურნალში.სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც მოიცავს სკოლის ტერიტორიაზე მოქმედ პირველადი დახმარების პროტოკოლს. აღნიშნული პროტოკოლი უზრუნველყოფს საჭირო შემთხვევებში სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას და ხელს უწყობს მოსწავლეთა და პერსონალის ჯანმრთელობის დაცვას.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლა სისტემურად ცდილობს უზრუნველყოს ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების ყველა საჭირო ასპექტი. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 29 იანვრის მინისტრის N06/ნ ბრძანებით. ამ დოკუმენტის საფუძველზე სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო და მიმდინარეობს ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების დაცვას, სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და წესრიგის განმტკიცებას, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად დაცულ გარემოს.
სკოლის უსაფრთხოების მექანიზმები მოიცავს როგორც ადამიანური რესურსის მობილიზებას, ისე ინფრასტრუქტურულ გამართულობას. სკოლის ტერიტორიაზე მუშაობს მანდატური, დარაჯი, მორიგე მასწავლებლები და დირექციის წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუდმივ ზედამხედველობას. სკოლის შენობა არ არის სრულად შემოღობილი, განსაზღვრულია ძირითადი და სათადარიგო გასასვლელები.
სკოლა ასევე უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. ფუნქციონირებს სათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი (მასპინძელ სკოლაში,ხოლო ლელიანის საჯარო სკოლაში არის შსაბამისი კაბინეტი გამოყოფილი), რომელსაც ემსახურება ექიმი. დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი და განსაზღვრულია გადაუდებელი

მდგომარეობების შემთხვევაში გასატარებელი ქმედებები. სკოლის ტერიტორიაზე მკაცრად კონტროლდება უცხო პირთა გადაადგილება. ყველა ვიზიტორი რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში, ხოლო სასწავლო პროცესის დროს მათი შესვლა მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევებისას ხდება.
უსაფრთხოებისა და პრევენციის მხარდასაჭერად სკოლაში მიმდინარეობს საინფორმაციო-საგანმანათლებლო აქტივობები, როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მშობლებისთვის. ამ ღონისძიებები ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ბულინგისა და კიბერბულინგის პრევენცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. აღნიშნული აქტივობები სისტემატურად აისახება სკოლის სოციალურ ქსელებში, რაც ამაღლებს ინფორმირებულობას და ამყარებს სასკოლო საზოგადოებასთან ღია და გამჭვირვალე კომუნიკაციას.
ასევე უზრუნველყოფილია წესრიგის მონიტორინგი: დამრიგებლები ყოველდღიურად ფიქსირებენ მოსწავლეთა გაცდენებს და დირექტორს წარადგენენ შესაბამის ცნობებს; ასევე, მოქმედებს თამბაქოს მოხმარების კონტროლის მექანიზმიც. სკოლაში ჩამოყალიბებულია უსაფრთხოების კულტურა, რაც ეფუძნება როგორც პრევენციულ ღონისძიებებს, ისე რეაგირების ეფექტიან მექანიზმებს, ამასთანავე გათვალისწინებულია ყველა იმ პირის ჩართულობა, ვინც პასუხისმგებელია ბავშვების კეთილდღეობაზე.

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნა ეფუძნება როგორც სკოლის შიდა დოკუმენტების – შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილისა და სადამრიგებლო პროგრამის, ასევე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების მოთხოვნებს. სკოლაში მიღებულია ისეთი სისტემური მიდგომები, რომლებიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ემოციურ კეთილდღეობას, თავისუფალ თვითგამოხატვასა და დაცულობას.

სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცესის განხორციელებაზე. აღნიშნული პირი გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში ვალდებულია შეისწავლოს ძალადობის შესაძლო ფაქტი და, საჭიროების შემთხვევაში, დაადგინოს შესაბამისი რეაგირების ფორმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ეს მექანიზმი არსებითად უწყობს ხელს სკოლის უსაფრთხო გარემოს განმტკიცებას და ფსიქოლოგიური დაცვის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

სკოლაში ინტენსიურად მიმდინარეობს სადამრიგებლო მუშაობა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ემოციური ინტელექტის განვითარებას, თანაგრძნობის უნარის გაძლიერებასა და მხარდაჭერის კულტურის დამკვიდრებას. სადამრიგებლო საათების

ფარგლებში მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ღიად ისაუბრონ როგორც მათ წინაშე არსებული გამოწვევებისა და პრობლემების, ისე წარმატებებისა და მიღწევების შესახებ. ეს პროცესები მხარდაჭერილია მასწავლებლების მიერ, რაც გამორიცხავს დისკრიმინაციას, გარიყვას და ქმნის თანასწორი და ინკლუზიური ურთიერთობების საფუძველს.

სკოლისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა. ამ ეტაპზე, სკოლაში სწავლობს 14 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელთა სწავლის პროცესში აქტიურად არიან ჩართული სპეციალისტები. ეს პროფესიონალები უზრუნველყოფენ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, მათ ემოციურ და ფსიქოლოგიურ სტაბილურობას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მათი სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის სასკოლო ცხოვრებაში.

საბოლოოდ, სკოლაში ჩამოყალიბებული გარემო ქმნის რეალურ შესაძლებლობას, მოსწავლეები აღიზარდონ მხარდაჭერის, ღირსების, თანასწორობის და თანაგრძნობის პრინციპებზე დაფუძნებულ სივრცეში, რაც სრულად შეესაბამება თანამედროვე სასკოლო განათლების სტანდარტებს და ემსახურება მოსწავლეთა ჯანმრთელი განვითარებისა და დაცულობის უზრუნველყოფას.

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა ხორციელდება სრულ შესაბამისობაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №308/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორმებთან“. სკოლის შიდა დოკუმენტაციით – შინაგანაწესითა და სკოლის მოვლა-პატრონობის ერთწლიანი პროგრამით – მკაფიოდ განსაზღვრულია სისუფთავეზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ყოველდღიურად ახორციელებენ დასუფთავებას და ჰიგიენური პირობების მონიტორინგს.

სკოლაში სრულად დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისა და პერსონალისთვის. დაწესებულება უზრუნველყოფილია ცალკე სველი წერტილებით ვაჟებისა და გოგონებისთვის, მასწავლებლებისთვის, ასევე სრულად ადაპტირებული სველი წერტილით, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიური გარემოს პრინციპების დაცვას. ყველა სველი წერტილი მოწესრიგებულია, ფუნქციონირებს გამართულად და უზრუნველყოფილია თხევადი საპნითა და თანამედროვე ხელსაშრობით.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, დასუფთავება სკოლაში ტარდება სველი წესით – საკლასო ოთახების, დერეფნების და დამხმარე სივრცეების დალაგება სრულდება ეტაპობრივად, გაღებული ფანჯრების პირობებში. სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდება რეგულარულად, მათ შორის სველი წერტილებისა და საერთო სარგებლობის სივრცეების დამუშავება მოხდება სპეციალურად მარკირებული ინვენტარით, რომელიც ყოველი სამუშაო დღის ბოლოს გაიწმინდება და შეინახება განსაზღვრულ სივრცეში. დასუფთავებისას გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმიკატები და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სკოლის ცალკე, ვენტილირებულ სივრცეში, პირვანდელ შეფუთვაში, დიფერენცირებული მარკირებით და მიუწვდომელ ადგილზე გარეშე პირებისთვის.

დაწესებულებაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რაც უზრუნველყოფს ჰიგიენური გარემოს შენარჩუნებას ყოველდღიურ რეჟიმში. შედეგად, სკოლაში ჩამოყალიბებულია სისუფთავის, სანიტარიული უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული გარემო, რომელიც სრულად პასუხობს მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მოთხოვნებს.

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლა პერსონალური მონაცემების დაცვას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა შესაბამისი ნორმებით. სკოლის მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული სტრუქტურა და პროცესები ოფიციალურად არის განსაზღვრული: საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ბრძანებით დანიშნულია სკოლის პერსონალურ მონაცემთა ოფიცერი, ხოლო დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულება.

მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები ასახავს სკოლის მონაცემთა დაცვის სტრატეგიას და აყალიბებს იმ ძირითად პრინციპებსა და ღონისძიებებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება თანამშრომლებისა და მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვა. სკოლის მონაცემთა დამუშავება ეფუძნება კანონიერებასის, გამჭვირვალობისა და მიზანმიმართულობის პრინციპებს. მონაცემები მუშავდება სამართლიანად და მხოლოდ კონკრეტული მიზნისთვის, ზუსტად იმ მოცულობითა და ვადით, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად. დამუშავება ხორციელდება როგორც ავტომატური, ასევე არაავტომატური გზით.

დოკუმენტი დეტალურად აღწერს მონაცემთა კატეგორიებს – თანამშრომლების, მოსწავლეების და მათი მშობლების შესახებ არსებულ ინფორმაციას – და მკაფიოდ განსაზღვრავს დამუშავების მიზნებსა და ხერხებს. სკოლის ადმინისტრაციამ

უზრუნველყო მონაცემთა დაცვის წესის გაცნობა თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის, რათა ხელი შეეწყოს ერთობლივი პასუხისმგებლობის გრძნობით მოქმედებას.

პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება დაცულია როგორც ტექნიკურად, ისე ორგანიზაციულად. სკოლა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ერთობლივად ზრუნავენ იმაზე, რომ არ მოხდეს მონაცემებზე არაუფლებრივი წვდომა ან დაზიანება. მონაცემთა ბაზის ადმინისტრირება ისე არის მოწყობილი, რომ ინფორმაცია მოსწავლეებსა და პერსონალს მიეწოდოს მხოლოდ ინდივიდუალურად, შესაბამისი ავტორიზაციით.

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

როგორც აღინიშნა, სკოლა პერსონალური ინფორმაციის დამუშავებას ახორციელებს სრულად კანონით დადგენილი წესისა და მოცულობის შესაბამისად. ამ მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა შეგროვების, შენახვის, გადაცემისა და დაცვის პროცესს. მოსწავლეთა და პერსონალის პირადი საქმეები ინახება უსაფრთხო, დაცულ ადგილას, რომელზეც წვდომა მხოლოდ უფლებამოსილ პირებს გააჩნიათ. მათ შორის არიან სკოლის დირექტორი, საქმისმწარმოებელი და მხოლოდ იმ კლასის დამრიგებელი, რომლის მოსწავლეებზე მონაცემები კონკრეტულად მის პასუხისმგებლობაში შედის.

სკოლის სოციალურ გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება მოსწავლეების ფოტოები და ვიდეომასალები, თუმცა ნებისმიერი მსგავსი ქმედება განხორციელებულია მშობლების თანხმობის საფუძველზე. პირადი მონაცემების, იქნება ეს ელექტრონული თუ მატერიალური ფორმით, მესამე პირთან გაზიარება წინასწარი შეთანხმების გარეშე არ ხდება და ხორციელდება მხოლოდ კონკრეტული თანამშრომლის ან მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით. სკოლა ასე უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის ყველა კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

საჯარო სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა მკაფიოდ რეგულირდება შიდა სამართლებრივი აქტებით, რომლებიც განსაზღვრავს როგორც ადამიანების, ისე სასწავლო პროცესების უსაფრთხოების მექანიზმებს. მრჩეველთა საბჭო აქტიურად მონაწილეობს ამ პროცესში — მისი სხდომებზე რეგულარულად განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხები. საბჭო იძლევა რეკომენდაციებს და მოისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს მათი შესრულების შესახებ, რაც უზრუნველყოფს საკითხის სისტემურ მონიტორინგსა და ღია დიალოგზე დაფუძნებულ მართვას.

სკოლის ხელმძღვანელობა მრჩეველთა საბჭოს იყენებს პრევენციული და რეაგირების ღონისძიებების დაგეგმვისთვის, რაც მიმართულია როგორც ფიზიკური, ასევე ემოციური უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესებისკენ. დირექტორის თქმით, სკოლა პერიოდულად ატარებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვებს, რაც საშუალებას აძლევს ადმინისტრაციას მიიღოს უკუკავშირი და განხორციელოს ცვლილებები რეალური საჭიროებების შესაბამისად. ერთ-ერთ მაგალითად მოყვანილია უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება, რაც მოიცავს, მათ შორის, დარაჯებისა და მორიგე მასწავლებლების მიერ განხორციელებული ზედამხედველობის მონიტორინგს სკოლის შიდა და გარე სივრცეებში.
ეს მრავალდონიანი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სკოლაში უსაფრთხოების საკითხები შეფასდეს სისტემურად და მუდმივად გაუმჯობესების პროცესში იმყოფებოდეს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველი პირების განსაზღვრის შესახებ დირექტორის სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება,

სკოლაში მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დამტკიცების შესახებ ბრძანება,

სამედიცინო კაბინეტი (პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, ვიზუალური დათვალიერება და

მიღება-ჩაბარების აქტები,

სკოლის დერეფნებში მასწავლებლების მორიგეობის განრიგი;

სპეციალური მასწავლებლის ხელშეკრულება;

სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ ბრძანება,

სკოლის თანამშრომელთა „თანხმობის განაცხადი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით“;

სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაციისა და სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ბრძანება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლა სამსართულიანი შენობა-ნაგებობაა, რომელსაც სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების მიუხედავად განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან არ აქვს.ასევე შენობა არ არის გადაცემული და არც ექსპლუატაციაშია შესული.სკოლას აქვს კაპიტალური საქვაბე შენობა , რომელიც განთავსებულია დამოუკიდებელ, კანონმდებლობით დადგენილ წესში. შენობა სრულად უზრუნველყოფილია ინტერნეტით, ბუნებრივი განათებით და გათბობის ცენტრალური სისტემით, რაც ხელს უწყობს კომფორტულ და უსაფრთხო

სასწავლო გარემოს შექმნას. თითოეულ საკლასო ოთახს აქვს საკმარისი ფართობი მოსწავლეთა თავისუფალი გადაადგილებისა და სხვადასხვა საგაკვეთილო აქტივობების განხორციელებისთვის.სკოლას გააჩნია კაპიტალურად გარემონტებული დახურული სპორტული დარბაზი, ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედანი, მოწესრიგებული ეზო და სარეკრეაციო ზონები. სასკოლო ინვენტარის ნაწილს წარმოადგენს მასწავლებლის მაგიდა, ინდივიდუალური მერხები და სკამები; დაფები. სკოლას აქვს რესურსოთახი, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები (ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის საგნებისათვის ცალ-ცალკე, შესაბამისი აღჭურვილობით), კომპიუტერული ლაბორატორია. კომპიუტერული ლაბორატორიის მუშაობა რეგულირდება ციფრული განვითარების გეგმითა და სპეციალურად შემუშავებული გრაფიკითა და წესით.სკოლას ასევე აქვს სააქტო დარბაზი.ტექნიკური რესურსები და ფართი საშუალებას აძლევს სკოლას უზრუნველყოს საგანმანათლებლო საქმიანობა მინიმუმ 400 მოსწავლეზე, რაც შეესაბამება ავტორიზაციის ვადით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამრიგად, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა განათლებას ხარისხს შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსით.**რეკომენდაცია:***სკოლამ უზრუნველყოს საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერის; სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ შენობის ჩაბარების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და შენობის ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დოკუმენტის მოპოვება 04/08/2025-04/08/2027-მდე.*

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლა 2025-2026 სასწავლო წლიდან უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობას (ამჟამად,გადასვლის პროცესში არიან). როგორც მოქმედი შიდა რეგულაციებითა და წესებით, ასევე ვებგვერდისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები – სპორტული და სააქტო დარბაზები, სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, ეზო და რეკრეაციული ზონები – თავისუფლად გამოიყენება როგორც მოსწავლეების, ისე თანამშრომლების მიერ, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში მშობლებიც არიან ჩართული.სკოლის ტერიტორია სრულად არ არის შემოღობილი ამიტომ არ არის უზრუნველყოფილი მოსწავლეთა უსაფრთხოება სრულად; შენობას გააჩნია მთავარი და გვერდითი შესასვლელი. რეკრეაციული სივრცეები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მიღმა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობას ფიზიკურ, შემოქმედებით და სოციალურ აქტივობებში.კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა ციფრული რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის განთავსებას შესაბამის სამუშაო სივრცეებში და მათთვის ინტერნეტისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. დაწესებულებას აქვს შემუშავებული სკოლის რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც არეგულირებს

როგორც ბიბლიოთეკით, ისე კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის პროცესს, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს რესურსების თანასწორი და გამჭვირვალე გამოყენების მექანიზმების არსებობას.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ოთახი,მდიდარი და მრავალფეროვანი რესურსით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელიც რეალურად ასრულებს სასწავლო პროცესის მხარდამჭერის ფუნქციას. ბიბლიოთეკით სარგებლობა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისა და სხვა სკოლის თანამშრომლებისთვის. მისი წიგნადი ფონდი მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს ყველა საგანში, დამხმარე და კლასგარეშე ლიტერატურას, მხატვრულ ნაწარმოებებს, ილუსტრირებულ რესურსებს. ბიბლიოთეკარი აწარმოებს როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ აღრიცხვას, რაც უზრუნველყოფს წიგნების აღების, დაბრუნებისა და ფონდების მოძრაობის გამჭვირვალობას.ბიბლიოთეკაში საჯაროდ განთავსებულია სარგებლობის წესები და მკითხველთა უფლებები, რაც ხელს უწყობს პასუხისმგებლობის მაღალი კულტურის ჩამოყალიბებას. დირექტორის შეფასებით, ბიბლიოთეკა ხელს უწყობს მოსწავლეთა მოქალაქეობრივი და კულტურული კომპეტენციების განვითარებას, ასევე საგაკვეთილო პროცესის მიღმა განმავითარებელი აქტივობების (ლიტერატურული განხილვები, თეატრალური წარმოდგენები, კონკურსები) განხორციელებას. ამგვარად, ბიბლიოთეკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლეთა ინტერესების გაფართოებასა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უნარის ჩამოყალიბებაში.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის შენობა ადაპტირებულია: ფუნქციონირებს ლიფტი და სველი წერტილი, რომელიც სრულად შეესაბამება სსსმ/შშმ მოსწავლეთა საჭიროებებს. პირველ სართულზე მოწყობილია რესურსოთახიც, სადაც სპეციალური მასწავლებელი ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ მოსწავლესთან, რათა ხელი შეუწყოს მათ შესაძლებლობების გამოვლენასა და სრულფასოვან ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლა გამოირჩევა მრავალფუნქციური, მოსწავლეზე და სასკოლო საზოგადოებაზე ორიენტირებული ფიზიკური გარემოთი. შენობის ვრცელი და ნათელი დერეფნები არა მხოლოდ გადაადგილების გამარტივებას უზრუნველყოფს, არამედ სკოლის შიდა კომუნიკაციისა და მოსწავლეთა აქტიურობისთვის დამატებით შესაძლებლობებს ქმნის. სკოლას გააჩნია რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო-საზოგადოებრივი პროცესების გამრავალფეროვნებას: კეთილმოწყობილი სააქტო დარბაზი სცენით, აუდიოსისტემითა და მუსიკალური

ინსტრუმენტებით, დიდი შიდა სპორტული დარბაზი, ღია სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, სრულად აღჭურვილი STEM ლაბორატორია, ასევე განაშენიანებული სარეკრეაციო სივრცეები. ამ რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებას როგორც საგანმანათლებლო, ისე კულტურულ-სოციალურ კონტექსტში და ამყარებს სკოლას, როგორც მრავალმხრივი განვითარების მხარდამჭერ სივრცეს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
სკოლის საკადასტრო გეგმა;
ფინანსური ანგარიშების დოკუმენტი სკოლის ბიუჯეტი, შესყიდვები, შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი;
სხვადასხვა სასკოლო ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტები;
სკოლის კათედრების დებულების, სადამრიგებლო მუშაობის დებულების, სკოლაში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა დებულების, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, საინფორმაციო მენეჯერის, საქმისმწარმოებლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის და ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ ბრძანება,
ციფრული განვითარების გეგმა;
სკოლის სპეციალური მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;
სკოლის ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია.
სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა;
სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრაცია საგრძნობლად ამაღლებს ადმინისტრაციული, სასწავლო და კომუნიკაციის პროცესების ეფექტიანობას. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება განიხილება როგორც სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრებს შორის ინფორმაციის სწრაფი და გამარტივებული ურთიერთგაცვლის მექანიზმი.სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, რაც მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მუდმივად აძლევს შესაძლებლობას თვალი ადევნონ თავიანთი შვილების აკადემიურ პროგრესს, დასწრებას, შეფასებებსა და დავალებებს. მასწავლებლები თანამშრომლობენ საგნობრივი კათედრების ფარგლებში და უზიარებენ ერთმანეთს წარმატებულ პრაქტიკებს ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების ინტეგრირების კუთხით, რაც კიდევ უფრო ამაღლებს სასწავლო პროცესის ხარისხს.კომუნიკაციის გამარტივების მიზნით სკოლაში ფართოდ გამოიყენება პოპულარული პლატფორმები, როგორიცაა Viber, WhatsApp და Facebook. ამასთან, სასწავლო და ადმინისტრაციული მასალების ორგანიზებული შენახვა და გაზიარება ხორციელდება One Drive-ის ღრუბლოვანი სისტემის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოებასა და მუდმივ ხელმისაწვდომობას.საჯარო სკოლაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემები (Eflow და eschool), რომლითაც რეგისტრირდება როგორც შემოსული და გასული კორესპონდენცია, ისე სკოლის შიდა ადმინისტრაციული დოკუმენტაცია, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალე, ეფექტურ და კანონმდებლობასთან შესაბამის დოკუმენტბრუნვას.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

   სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით, რაც საგრძნობლად უწყობს ხელს როგორც საგაკვეთილო პროცესის, ისე სკოლის ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას.

კომპიუტერული ტექნიკა, თანაბრად გადანაწილებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, საკლასო ოთახებში, ადმინისტრაციაში, ბიბლიოთეკასა და სამასწავლებლოში. კომპიუტერების საგაკვეთილო პროცესში ინტეგრირება განსაკუთრებით აქტიურია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, რომლებიც ერთდროულად 30 მოსწავლის მომსახურებას უზრუნველყოფს. კომპიუტერული რესურსები ინტენსიურად გამოიყენება როგორც გაკვეთილებზე, ასევე სხვადასხვა კლუბური და პროექტული აქტივობების დროს.გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეებს და პედაგოგებს აქვთ შესაძლებლობა კვლავ ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით დამატებითი კვლევისა და სამუშაოებისთვის.სამასწავლებლოში განთავსებული კომპიუტერები მასწავლებლებისთვის ყოველდღიური სამუშაო სივრცეა — ისინი ქმნიან ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსებს, აწარმოებენ ელექტრონულ ჟურნალს, ურთიერთობენ კოლეგებთან და ერთმანეთს უზიარებენ საუკეთესო პრაქტიკებს. სკოლაში ტექნოლოგიური რესურსები რეალურად უწყობს ხელს განათლების ხარისხის ამაღლებას და დიგიტალური კომპეტენციების განვითარებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ლაბორატორიის ინტერნეტით დაფარვის მიღება-ჩაბარების აქტი;

სკოლის კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტები;

სკოლის კათედრების დებულების, სადამრიგებლო მუშაობის დებულების, სკოლაში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა დებულების, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, საინფორმაციო მენეჯერის, საქმისმწარმოებლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის და ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ ბრძანება,

ინტეგრირებული გაკვეთილი საინფორმაციო ტექნოლოგიებში,

კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

საჯარო სკოლა სრულად უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის პროცესის გამართულობას და სამართლებრივად გამართულ ფორმატში აწარმოებს საქმისწარმოებას ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის – Eflow-ის მეშვეობით. სკოლაში მიღებულია და მოქმედებს დოკუმენტბრუნვის ნომენკლატურა, რაც განსაზღვრავს საქმისწარმოების ორგანიზებისა და დოკუმენტების კლასიფიცირების წესს.

საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია სპეციალურად დანიშნული საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. მას მინიჭებული აქვს ინდივიდუალური მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომლის მეშვეობითაც ახორციელებს დოკუმენტების რეგისტრაციასა და ადმინისტრირებას სისტემაში. იგი უზრუნველყოფს როგორც შემოსული და გასული დოკუმენტაციის ელექტრონულ აღრიცხვას, ასევე მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, არქივის მართვის, დოკუმენტაციის დამოწმებული ასლების გაცემის, საჯარო ინფორმაციის მიწოდებისა და სხვა ადმინისტრაციული ღონისძიებების განხორციელებას.

სისტემაში რეგისტრირებული ბრძანებები იყოფა საკადრო და საერთო ბრძანებებად, ხოლო მათი რეგისტრაცია ხორციელდება ავტომატურად მინიჭებული თარიღისა და სარეგისტრაციო ნომრის მიხედვით. სკოლა ასევე ფლობს სამ სახის სარეგისტრაციო ჟურნალს:

- საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი,
- საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი,
- შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი.

აღნიშნული ჟურნალები დაორგანიზებულია კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად — დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი.

საქმისწარმოების პროცესი და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება საქმისწარმოების ინსტრუქციით, რაც უზრუნველყოფს სისტემურობას, გამჭვირვალობას და კანონთან შესაბამისობას.

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს როგორც შიდა, ასევე გარე საკომუნიკაციო და ადმინისტრაციულ პლატფორმებს, რაც უწყობს ხელს პროცესების გამართულ, ეფექტიან და სამართლებრივად გამართულ განხორციელებას. Eflow და eSchool წარმოადგენს სკოლის შიდა ელექტრონული სისტემების მთავარ კომპონენტებს, რომელთა მეშვეობით ხორციელდება სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მართვა.

eSchool-ის ერთიანი ბაზა გამოიყენება მოსწავლეთა მობილობის, ჩარიცხვა-ამორიცხვის, პერსონალის, მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლების მონაცემების რეგისტრაციისა და განახლებისთვის. სისტემაში ასახულია სკოლის შესახებ ძირითადი ინფორმაცია, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა, საკონტაქტო მონაცემები და პერსონალის შესახებ მონაცემები. ასევე,

აღნიშნულ ბაზაში ხდება საჭიროების შემთხვევაში სამეურვეო საბჭოს წევრების ცვლილებებისა და საშტატო განრიგის პროექტის შეთანხმების ასახვა.გარე საკომუნიკაციო საშუალებებიდან აქტიურად გამოიყენება Google-ის სერვისები, რაც ხელს უწყობს დოკუმენტების მართვასა და გაზიარებას, ხოლო ელექტრონული კომუნიკაციისათვის სკოლის ოფიციალური ელ. ფოსტა (leliani@mes.gov.ge) წარმოადგენს მეშვეობას შემოსული ინფორმაციის მიღებისა და ადმინისტრირებისთვის.ასევე, პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდზე – registration.emis.ge, რაც უზრუნველყოფს პროცესის ციფრულად, გამჭვირვალედ და საყოველთაო ხელმისაწვდომობის პრინციპით განხორციელებას.

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

საჯარო სკოლაში ელექტრონული სისტემების მართვასა და პროფილის ადმინისტრირებას ახორციელებს სკოლის საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების მუდმივ განახლებას და სისწორეს. ელექტრონულ ბაზაში ასახულია სავალდებულო ინფორმაცია, როგორიცაა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პერსონალური მონაცემები, საგაკვეთილო ცხრილები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა რელევანტური ინფორმაცია, რაც სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული მართვის შეუფერხებელი განხორციელებისთვის არის აუცილებელი.

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სკოლის დირექტორის ბრძანებით მკაფიოდ განსაზღვრულია პასუხისმგებლობის ზონები: საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელია სპეციალურად დადგენილი პირი, არქივის მართვაზე – სკოლის საქმისმწარმოებელი, ხოლო პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგს აწარმოებს მონაცემთა დაცვისთვის სპეციალურად პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სკოლაში ინფორმაციის გამჭვირვალე, კანონთან შესაბამის და დაცულ ადმინისტრირებას.

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

საჯარო სკოლის დირექტორი ყოველწლიურად, 10 დეკემბრისთვის, წარადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ მონაცემებს საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს, რაც უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას და გამჭვირვალობას საჯარო მმართველობის პრინციპების შესაბამისად. აღნიშნული მონაცემები ასევე ქვეყნდება საკანონმდებლო მაცნეში, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას.

იგივე ვადაში, დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს საგნობრივ და ფინანსურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებასა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზს. ეს ქმნის პირობებს სკოლის მართვის პროცესში საზოგადოებრივი ჩართულობისთვის და დემოკრატიული კონტროლის მექანიზმის ფუნქციონირებისთვის.

სკოლა ასევე აქტიურად რეაგირებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან და საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან შემოსულ წერილებზე, დადგენილ ვადებში, რაც მიუთითებს დაწესებულების ორგანიზებულ ადმინისტრირებაზე და ინსტიტუციური კოორდინაციისა და პასუხისმგებლობის მაღალ დონეზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, საინფორმაციო მენეჯერის, საქმისმწარმოებლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის და ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ ბრძანება,

სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები (ბრძანებების, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი)

Eflow, Eschool, Teams, , Outlook და ელექტრონული ჟურნალის პროგრამების ვიზუალური დათვალიერება;
სკოლის სოციალური ქსელი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**
   სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში აქტიურად არის დანერგილი უშუალო, მრავალარხიანი და გამჭვირვალე კომუნიკაციის პრაქტიკა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს შორის. სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა ინფორმირებას პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, სიახლეები ვრცელდება საჯაროდ ან განთავსდება თვალსაჩინო ადგილას სკოლის შენობაში.
   მშობლებთან კომუნიკაცია რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული სპეციალური წესით, რომელიც განსაზღვრავს მათ ინფორმირებასთან დაკავშირებულ ფორმებსა და პროცედურებს. დამრიგებლები მშობლებთან ურთიერთობას აქტიურად ახორციელებენ მშობელთა კრებების მეშვეობით, ხოლო მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მუდმივად ხდება ინფორმაციის მიწოდება.

სკოლას გააჩნია Facebook გვერდი, რომელიც ფუნქციონირებს როგორც ინფორმაციის ღია და საჯარო პლატფორმა – აქ რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სხვადასხვა სასწავლო აქტივობების შესახებ, მათ შორის: საგანმანათლებლო პროექტები, კონკურსები, ინტელექტუალური შეჯიბრებები, ოლიმპიადები და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. ასევე, სოციალური ქსელის ფარგლებში ფუნქციონირებს დახურული ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს მიზნობრივ და სწრაფ კომუნიკაციას.ინფორმაცია სოციალურ ქსელში ქვეყნდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის სრული დაცვის პირობებში. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია მშობლებს მიწოდება ელექტრონული ჟურნალის (eschool.ge) მეშვეობით. კომუნიკაცია სკოლის ადმინისტრაციასა და მოსწავლეებს/მშობლებს შორის ასევე მიმდინარეობს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.გარდა ამისა, სკოლის დირექცია პერიოდულად მართავს საინფორმაციო შეხვედრებს როგორც მოსწავლეებთან, ისე მშობლებთან. რაც შეეხება ვებგვერდს – სკოლას აქვს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გამოყოფილი ციფრული სივრცე პლატფორმაზე skolebi.emis.ge, სადაც ასახულია ყველა სავალდებულო ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს საჯაროობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების რეალიზებას.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც ახორციელებს როგორც სკოლის ვებგვერდის, ასევე სოციალურ ქსელში არსებული გვერდის ადმინისტრირებას. აღნიშნული პირი პასუხისმგებელია პლატფორმებზე სკოლის საქმიანობის გამჭვირვალედ და სრულყოფილად წარმოჩენაზე.
ინფორმაციის განთავსება ვებგვერდზე და სოციალურ მედიაში ეფუძნება სკოლის დოკუმენტაციაში ასახულ შინაარსს, მათ შორის:სასკოლო სასწავლო გეგმას,საგნობრივ კურიკულუმებს,სასწავლო და სარეკრეაციო აქტივობების გეგმებს,სევე სხვა ოფიციალურ და საგანმანათლებლო ინფორმაციას.
სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსებისას მკაცრად ითვალისწინება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის მოთხოვნები. კონკრეტულად კი, მოსწავლეების ფოტო-ვიდეო მასალის გამოქვეყნება ხდება მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.
ამგვარად, სკოლა უზრუნველყოფს როგორც ინფორმაციის თავისუფალ მიმოქცევას, ასევე მოსწავლეთა და მათი ოჯახების პირადი ცხოვრების დაცვას, რაც უზრუნველყოფს კანონის უზენაესობის, გამჭვირვალობისა და პასუხისმგებლობის პრინციპების ერთდროულ რეალიზებას.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში სკოლამ შეიმუშავა მშობელთა, თანამშრომელთა და მოსწავლეთა კითხვარები, მიღებული ინფორმაცია დამუშავდა, გამოვლინდა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები. აღნიშნულის გამოვლენის შემდეგ, დაიგეგმა პრობლემების გადაჭრისა და განვითარების გზები. სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში ქვეყნდება თითქმის ყოველდღიური ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე საქმიანობის შესახებ, სადაც ჩართულია კომენტარების ველი და ნებისმიერ პირს აქვს საშუალება სკოლას მიმართოს შეკითხვით, შესაბამისად სკოლა იღებს უკუკავშირს, რომელიც გამოყენებული და გათვალისწინებული იქნება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზეც სრულყოფილადაა გამოქვეყნებული ყველა ის საჯარო ინფორმაცია, რაც განსაზღვრულია სტანდარტით. გამოქვეყნებული ინფორმაცია სახელმწიფო ენაზეა.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლაში ზოგიერთი წესის დამტკიცების შესახებ ბრანება (საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი)

მშობელთა, თანამშრომლებთან და მოსწავლეებთან კითხვარები
ეკო-კლუბი „მწვანე გოგონები“
სამოქალაქო განათლების კლუბი- ,,ფესვები“,
სკოლის სოციალური ქსელი,
სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება,
სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის შემოსავლების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს სკოლის პერსონალის შრომითი ანაზღაურების დაფინანსებას, კომუნალური ხარჯების გაწევას, საკანცელარიო და სამეურნეო საქონლის შეძენას, ასევე საოფისე ავეჯის უზრუნველყოფას. სკოლის სამოქმედო გეგმა შედგენილია ფინანსური რესურსების გათვალისწინებით და უზრუნველყოფილია მისი ეფექტური განხორციელება. სტრატეგიულ გეგმაში დასახული მიზნების მისაღწევად სკოლა თანხებს

განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს მას ბიუჯეტის კორექტირებისთვის. სკოლის წლიური შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე და დამტკიცებულია დადგენილ ვადებში. ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, მათ შორის მოსწავლეთა მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობა. ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტი მზადდება და მტკიცდება მიმდინარე წლის დეკემბერში. ვაუჩერული დაფინანსების ცვლილების (მოსწავლეთა რაოდენობის ან საკანონმდებლო რეგულაციების ცვლილების) შესაბამისად, ხდება ბიუჯეტის კორექტირება. სკოლის დირექტორის განმარტებით, ბიუჯეტის სწორად დაგეგმვისას გათვალისწინებულია როგორც ვაუჩერული დაფინანსება, ასევე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, მათ შორის იჯარის სახით. მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია პრიორიტეტული მიმართულებები და სავარაუდო ხარჯები, რომლებიც ეფუძნება წინა წლების ანალიზს. ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური საქმიანობის ანგარიშს დასამტკიცებლად.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში ბიუჯეტის დაგეგმვა, დამტკიცება და მართვა ხორციელდება სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით დასტურდება, რომ ბიუჯეტის დამტკიცების პროცესი გამჭვირვალე და დასაბუთებულია. ბიუჯეტის გეგმის პროექტს ამზადებს სკოლაში დასაქმებული ბუღალტერი სკოლის დირექტორის მონაწილეობით. არსებობს სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები. საჭიროების შემთხვევაში ხდება ბიუჯეტის კორექტირება სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სკოლა სისტემატურად სწავლობს დაფინანსების დინამიკას და მისი ანალიზის საფუძველზე შეადგენს მომდევნო წლის ბიუჯეტს. წლის დასრულებამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს დეტალურ ანგარიშს ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. დირექტორის განცხადებით, სკოლა გეგმავს აღნიშნულ პროცესში სასკოლო საზოგადოების უფრო აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას, რაც უკვე აისახა შექმნილი სამუშაო ჯგუფების ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებში.მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ყოველწლიურად ევალება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაციის ჩატარება, 2024–2025 სასწავლო წლისთვის შესაბამისი მატერიალური ინვენტარიზაციის დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი.**რეკომენდაცია:***სკოლამ უზრუნველყოს 2025 წლის მატერიალური ინვენტარიზაციის ჩატარება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა 04.08.2025-1.01.2026-მდე.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორად, შესყიდვების გეგმის რეგისტრაციაზე და მის შემდგომ კორექტირებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ,

პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლისთვის მისაღები შესყიდვის ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრისა და ბაზარზე არსებული ფასების გამოკვლევის კომისიის შექმნის შესახებ ბრძანება,

სკოლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესისა და შესყიდვების წლიური გეგმის ფორმის დამტკიცების თაობაზე ბრძანება,

სკოლის დირექტორის ბრძანება ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირის დამტკიცების შესახებ;

სკოლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესის განსაზღვრის შესახებ ბრძანება,

სკოლის ბაზრის და ბაზარზე არსებული ფასების გამოკვლევის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის ოქმი,

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის სამსახურეობრივი ბარათი;

შესყიდვის დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა რეგულირდება სკოლის შიდა დოკუმენტებით, პირველ რიგში — სკოლის შინაგანაწესით, რომელიც მოიცავს ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხს, რაც დაკავშირებულია როგორც დასაქმებულის, ისე მოსწავლის უფლებამოსილებებთან, ვალდებულებებთან, პასუხისმგებლობასა და წახალისების მექანიზმებთან. დოკუმენტი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებს, სამუშაო და სასწავლო განრიგს, შრომით პირობებს, ქცევის წესებს, დისციპლინურ პროცედურებსა და საჩივრის განხილვის მექანიზმებს. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველასთვის.მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელშიც მასწავლებლებისა და მშობლების წარმომადგენლებთან ერთად მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ წარდგენილი მოსწავლეც არის ჩართული. სკოლის დირექტორის განმარტებით, ბოლო წლების განმავლობაში სკოლაში დისციპლინური დევნის დაწყების არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა.მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სკოლის მიერ გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებიც დეტალურად განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ და შეიცავს ყველა საჭირო რეკვიზიტს.პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების წესებს, მონაცემთა სუბიექტის უფლებებს, პასუხისმგებელ პირს და წვდომის პირობებს.სკოლის შიდა რეგულაციები და სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ორგანიზებულ და კეთილგანწყობილ გარემოს, სადაც სრულადაა დაცული მოსწავლის კანონით მინიჭებული უფლებები და გარანტიები.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციები გამჭვირვალეა როგორც სკოლის შინაგანაწესში, ისე მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეებისა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის აღნიშნული უფლებების გაცნობა სხვადასხვა ფორმით. შინაგანაწესი გამოკრულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას, ხოლო სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს რეგულაციებს და აღნიშნულ ინფორმაციას ასახავენ სადამრიგებლო პროგრამებში.მოსწავლეები თავად მონაწილეობენ ქცევის წესების შემუშავებასა და შეფასებაში, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს მათ პასუხისმგებლობასა და სკოლაში გუნდურობის კულტურის ფორმირებას. დირექტორის განმარტებით, მოსწავლეების მიერ შექმნილი წესების

შესრულებას ისინი გაცილებით მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან, რაც აძლიერებს მათ მოტივაციასა და ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე გამოკრულია ყველა საჭირო ცხელი ხაზის ნომრები, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და დაცვის მექანიზმების ხელმისაწვდომობას. სკოლას აქვს ვებგვერდი და ოფიციალური Facebook გვერდი, სადაც აქტიურად ზიარდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრებისა და მიმდინარე აქტივობების შესახებ.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლაში ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერი წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც შემუშავებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ხელშეკრულებები ხელმოწერით არის დადასტურებული და შეიცავს მხარეთა სავალდებულო რეკვიზიტებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

სკოლის წესდება;

ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სსიპ ლაგოხეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქციის დამტკიცებისა და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება,

სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი,

სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი,

სკოლის მშობელთა კრების ოქმები,

სკოლის ვიზუალური მტკიცებულებები,

საჯარო სკოლასა და მშობელს შორის დასადები ხელშეკრულება,

სკოლაში მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დამტკიცების შესახებ ბრძანება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. ამ პროცესების მართვა რეგულირდება სკოლაში მოქმედი დოკუმენტით – „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“, რომელიც მოიცავს ყველა აუცილებელ პროცედურას, მათ შორის მოსწავლის სტატუსის აღდგენისა და კლასის გავლასთან დაკავშირებულ წესებს.პირველ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვა განხორციელდება დადგენილი წესით – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე რეგისტრაციის საფუძველზე, მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფორმით. მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების მიხედვით. მობილობის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები გაწერილია სკოლის სასწავლო გეგმასა და მოქმედ სამართლებრივ ბაზაზე დაყრდნობით, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესზე.ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სკოლა იყენებს მშობლებთან კომუნიკაციის მრავალფეროვან არხებს: პირისპირ შეხვედრებს, სატელეფონო კომუნიკაციას, სოციალურ ქსელებში შექმნილ ჯგუფებსა და Microsoft Teams პლატფორმას, რომელზეც იტვირთება მნიშვნელოვანი ინფორმაცია და დოკუმენტაცია. იმ მშობლებისთვის, რომლებიც ვერ სარგებლობენ ელექტრონული ჟურნალით, სკოლის დამრიგებლები უზრუნველყოფენ მოსწავლის აკადემიური მოსწრების, შეფასებებისა და გაცდენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ელ. ფოსტით, მესენჯერის ან ტელეფონის საშუალებით. დირექტორის თქმით, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და პიროვნული მახასიათებლების განხილვა მშობლებთან ხდება ინდივიდუალური შეხვედრების გზით, რაც ხელს უწყობს უკეთეს პარტნიორულ ურთიერთობას ოჯახსა და სკოლას შორის.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა თავის საქმიანობაში სრულად იცავს და ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ეროვნული სასწავლო გეგმით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით

დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესით“, ასევე სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტით – „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“. სკოლის დირექტორის განმარტებით, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსთან დაკავშირებული პროცესების დროს სკოლა მუდმივად ამცნობს მშობლებს კანონმდებლობით დადგენილ ვადებს სატელეფონო კომუნიკაციისა და პირადი შეხვედრების მეშვეობით.გაცდენების მონიტორინგი სისტემატურად ხორციელდება, და თუ მოსწავლის სტატუსის შეჩერების რისკი გამოიკვეთა, სკოლა მოქმედებს პრევენციული მიდგომებით — პროცესში ჩართულია სოციალური მუშაკი, რომელიც ცდილობს ოჯახთან კავშირის გაღრმავებას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს როგორც მოსწავლის ინტერესების დაცვას, ისე სკოლაში სწავლის უწყვეტობის შენარჩუნებას.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში დაცულია პირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობა. სკოლის თანამშრომლები იცავენ დადგენილ წესებს, ინფორმაცია მიეწოდება დაინტერესებულ პირებს ზუსტად და გამჭვირვალედ. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია ინფორმაცია როგორც პროგრამების, ისე დამატებითი მომსახურებების შესახებ.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში ამოქმედდა მოსწავლის მხარდამჭერი აკადემიური პროგრამა — რემედიაცია. პროგრამის მიზნებისა და ამოცანების შესახებ ინფორმაცია მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მიეწოდათ საინფორმაციო შეხვედრების ფორმატში, რის შედეგადაც შეთანხმების საფუძველზე განისაზღვრა მოსწავლეთა მონაწილეობა პროგრამაში. რემედიაციის პროგრამა ეფუძნება სკოლის მიერ შემუშავებულ დებულებას და მოიცავს თითქმის ყველა სასკოლო საგანს. ორი თვის განმავლობაში გაწერილი აქტივობები ეყრდნობა დიაგნოსტიკური კვლევის შედეგებს, მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლის პროგრესის მონიტორინგს და განვითარების დამატებითი საშუალებების დაგეგმვის შესაძლებლობას.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლაში განცხადებები პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად გამოიკვრება საინფორმაციო დაფაზე, ზიარდება სოციალურ ქსელში ფეისბუქ გვერდზე პერსონალური მონაცემების დაცვით, დახურულ სოციალურ ჯგუფებში მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, სასკოლო თემის ყოველ წარმომადგენელს ხელი მიუწვდება სკოლაში არსებულ რესურსებზე, სკოლა არ აწესებს შეზღუდვებს (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამით ხელი ეშლება სასწავლო პროცესს). სკოლაში დამტკიცებულია კომპიუტერული ლაბორატორიით, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. სკოლაში არსებულ კლუბებზე ხელი მიუწვდება ყველა მოსწავლეს. მათი ფუნქციონირების შესახებ სკოლაში ინფორმაცია საჯაროა. აღნიშული ინფორმაცია ასევე ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დირექტორის ბრძანება „სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლში 2025-2026 სასწავლო წელს პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ“,

სკოლის დირექტორის ბრძანება სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ,

სკოლის დირექტორის ბრძანება სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის მოსწავლეთა საბაზო საფეხურის დაძლევის შესახებ,

სკოლის დირექტორის ბრძანება „სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ საშუალო საფეხურის დაძლევის შესახებ“,

სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი,

სკოლაში მოსწავლეთა ტრანზიციისა და რემედიაციის წესების დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანება,

რემედიაციის პროგრამა;

ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა;

საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა(ინკლუზიური განათლება)

საკლუბო მუშაობის ამსახველი მასალები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები უზრუნველყოფილია სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმით, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ.

პირველი კლასების მასწავლებლები იყენებენ პირველკლასელთა ადაპტაციისთვის სპეციალურ პროგრამებსა და აქტივობებს. კლასის დამრიგებლები თავის სადამრიგებლო პროგრამებში ითვალისწინებენ სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლეების საჭიროებებს და მათ სკოლაში ინტეგრაციის პროცესს მხარს უჭერენ მიზნობრივი აქტივობებით. იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც აკადემიური სირთულეები აქვთ, მუშავდება ინდივიდუალური და რემედიაციის პროგრამები. სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს — მათთვის უზრუნველყოფილია ხელსაყრელი ფსიქო-ემოციური გარემო და სპეციალურად მორგებული ტრანზიციის პროგრამა, რომელიც ეხმიანება მოსწავლის უნიკალურ საჭიროებებს.

დირექტორის განცხადებით, სკოლის ყველა თანამშრომელი აცნობიერებს, რომ მოსწავლის ადაპტაციისა და ტრანზიციის პროცესში წარმოშობილი ნებისმიერი სირთულე (ფიზიკური, ემოციური ან ფსიქოლოგიური) მნიშვნელოვნად აისახება მოსწავლის აკადემიურ წარმატებასა და სოციალური უნარების განვითარებაზე. სწორედ ამიტომ სკოლა რეგულარულად

ახორციელებს მრავალფეროვან მხარდამჭერ ღონისძიებებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სრულფასოვან ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში პირველ კლასში შვილის ჩარიცხვის სურვილს გამოთქვამენ როგორც ადგილობრივი, ასევე მეზობელი სოფლებში მაცხოვრებელი მშობლები, რაც სკოლაში არსებული პოზიტიური საგანმანათლებლო გარემოსა და ნდობის მაჩვენებელია. სკოლას აქვს კარგად ჩამოყალიბებული პრაქტიკა მშობლებთან კომუნიკაციის, მათი ინფორმირების და პირველკლასელების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიმართულებით. მოსწავლეთა გაცნობის პროცესი იწყება საბავშვო ბაღებიდან, სკოლის წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობენ ბაღების პედაგოგებთან, იღებენ ინფორმაციას ბავშვების შესახებ, ესწრებიან მათ ღონისძიებებს და ამ გზით ამყარებენ მჭიდრო კავშირს როგორც ბავშვებთან, ისე მათ ოჯახებთან.რეგისტრაციის პროცესში, სკოლა მშობლებს აწვდის საინფორმაციო ხასიათის წერილებს, სადაც აღწერილია ის სერვისები და შესაძლებლობები, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს. სასწავლო წლის დაწყებამდე, სკოლის დირექცია და პირველი კლასების პედაგოგები მართავენ შეხვედრებს მომავალ პირველკლასელებთან და მათ მშობლებთან. ერთობლივად იგეგმება პირველი სასწავლო დღის აქტივობები, მათ შორის სკოლის ტრადიციად ქცეული საზეიმო ცერემონია, რომელიც საზეიმოდ აღნიშნავს პირველკლასელთა მიღებას. შემდგომ პერიოდში კლასის დამრიგებლები დეტალურად აცნობენ მოსწავლეებს სასკოლო გარემოს, წესებსა და ყოველდღიურ რუტინას.სკოლაში რეგულარულად ტარდება სადამრიგებლო საათები, სადაც ბავშვებს ეძლევათ თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა. ახალი მოსწავლეების ადაპტაციის ხელშესაწყობად იგეგმება სხვადასხვა სასკოლო და არაფორმალური აქტივობები, რაც ეხმარება მათ სოციალიზაციაში, სკოლის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში და მიკუთვნებულობის განცდის გაძლიერებაში.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება სისტემური და მიზანმიმართული მიდგომები. მოსწავლეებს რეგულარულად მიეწოდებათ განმავითარებელი უკუკავშირი, რაც საგნობრივი წინსვლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეები გადადიან საგნის მასწავლებლებთან კონსულტაციებზე, სადაც მკაფიოდ იკვეთება მათი პროგრესი. კლასის დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ მოსწავლეთა მშობლებს აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციას და კოორდინაციას უწევენ მათ ურთიერთობას საგნის მასწავლებლებთან, რაც ზრდის მშობელთა ჩართულობას და ხელს უწყობს მოსწავლის საჭიროებების უკეთ დადგენასა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებას.

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს ხარისხის ამაღლებას. განსაზღვრულია გამოცდის ტიპები, როგორებიცაა სემესტრული, წლიური, საშემოდგომო და ექსტერნატის გამოცდები. სემესტრული გამოცდის მეშვეობით მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა გაიუმჯობესოს ქულა,

ხოლო საშემოდგომო და ექსტერნატის გამოცდების წინ ტარდება საგნობრივი კონსულტაციები. მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ სასწავლო მიდგომებს, რათა გაითვალისწინონ მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, ხელი შეუწყონ მათ აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, მასალის გააზრებასა და თვითშეფასების უნარების განვითარებაში.

სკოლაში დანერგილია მოსწავლის მხარდამჭერი აკადემიური პროგრამა — რემედიაცია, რომლის მიზანია სწავლაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და დაძლევა. აღნიშნული პროგრამა ეფუძნება სისტემურ მიდგომას: იდენტიფიცირდება მოსწავლეები, რომლებმაც აკადემიური სირთულეები განიცადეს, იგეგმება სარემედიაციო მეცადინეობების დრო და ადგილი, უზრუნველყოფილია საჭირო მეთოდური რესურსებით. პროცესის მთავარ რგოლს წარმოადგენს მასწავლებელი, რომელიც მშობლებთან, ადმინისტრაციასთან და საჭიროების შემთხვევაში — სხვა მხარდამჭერ პირებთან კოორდინაციით უზრუნველყოფს ინდივიდუალურ მიდგომებს და მიზანმიმართულ მხარდაჭერას. ამ გზით სკოლა სისტემურად მუშაობს მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მრავალმხრივ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, რაც მათ უფლებების რეალიზებასა და სრულფასოვან ჩართულობას ემსახურება.მათ შორის მოსწავლეთა ტრანსპორტირება. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს ადამიანური და მატერიალური რესურსების გამოყოფას, მათ შორის, ექსტერნის წესით გამოცდების ჩატარებისთვის. მიიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მოსწავლის კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად.

სკოლა აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობას. განსაკუთრებული წვლილი ამ მხრივ მიუძღვის სკოლის მიერ ხელშეწყობილ არაფორმალურ განათლებას. მოსწავლეთა ინიციატივითა და დირექციის მხარდაჭერით სკოლაში ჩამოყალიბდა ორი კლუბი, რომლებიც ფუნქციონირებენ სამოქმედო გეგმისა და წესდების საფუძველზე. კლუბებში გაწევრიანებით დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ არსებულ რეგულაციებსა და გეგმებს.

სკოლის დირექტორის თქმით, ფორმალური განათლების პარალელურად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არაფორმალური აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, შემოქმედებითი და ესთეტიკური უნარების გამოვლენას. მსგავსი გამოცდილება ავითარებს მოსწავლეთა კრიტიკულ და ანალიტიკურ აზროვნებას, გადაწყვეტილების მიღების, პრობლემის გადაჭრის, თანამშრომლობისა და სისტემური აზროვნების უნარებს. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეები თეორიული ცოდნის პარალელურად იძენენ პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს განათლების ხარისხს და მოსწავლის კომპეტენციებს.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

   სკოლაში შექმნილია თემატური სასკოლო კლუბები ეკო-კლუბი ,,მწვანე გოგონები"მოქალაქეობის მიმართულებით კლუბი ,,ფესვები". კლუბების წევრები, ფასილიტატორი მასწავლებლების მხარდაჭერით, ახორციელებენ სასკოლო პროექტებს, აწყობენ საგანმანათლებლო შეხვედრებს, მონაწილეობენ რეგიონალურ ღონისძიებებსა და კონკურსებში, გეგმავენ და ატარებენ ექსკურსიებს. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეების ცნობიერების გაფართოებას, ლიდერობის უნარების განვითარებას და პრაქტიკული ცოდნის მიღებას რეალურ გარემოში.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა, რომ სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების შემთხვევაში მყისიერად იწყება შიდა მხარდაჭერის მექანიზმების ამოქმედება: პირველ რიგში, მოსწავლესთან დამატებით მუშაობას იწყებს საგნის მასწავლებელი და ინფორმირებას უწევს მშობელს, შემდგომ პროცესში ერთვება კლასის დამრიგებელი და სკოლის ადმინისტრაცია, რათა პირველადი ღონისძიებები დაგეგმონ და განახორციელონ. სკოლის დირექტორის განმარტებით, თუ მიღებული ღონისძიებების შედეგად მოსწავლის პროგრესი კვლავ ვერ ფიქსირდება, სკოლა მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს შეფასების მიზნით, რომლის შედეგებიც მომავალში გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ინდივიდუალურ მხარდაჭერაში.სკოლა სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, სასწავლო წლის განმავლობაში ატარებს გამოკითხვებს მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. გამოკითხვები მოიცავს კითხვებს სწავლების ხარისხის, სასკოლო მომსახურების შინაარსისა და ფორმების, ასევე სკოლაში არსებული ფსიქო-ემოციური გარემოს შესახებ. შედეგების ანალიზი სკოლის ადმინისტრაციას აძლევს შესაძლებლობას შეაფასოს არსებული ვითარება, დაგეგმოს შესაბამისი ინტერვენციები და გაზარდოს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლაში მოსწავლეთა ტრანზიციისა და რემედიაციის წესების დამტკიცების შესახებ ბრძანება,

სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი,

სკოლის დამრიგებლების პროგრამა

სკოლის კლუბების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია (პროექტის ამსახველი მასალები, ფოტოსურათები)

მოსწავლეთა კითხვარი,

ვიზუალური დათვალიერება,

სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კლასის საათის რეფლექსია;

სკოლის მოსწავლის მხარდამჭერი აკადემიური პროგრამა - რემედიაცია,

2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (შეფასების სისტემა)

2023-2024 სასწავლო წლის მანძილზე 30%-ი და მეტის გაცდენების გამო ექსტერნატის ფორმით გამოცდების ჩატარების მასალები;

სკოლის თვითმმართველობის დებულება,

საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა;

მოსწავლეთა ტრანსპორტირების დამადასტურებელი დოკუმენტები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

საჯარო სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეთა კარიერულ განათლებას და პროფესიულ ორიენტაციას. მოსწავლეები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვადასხვა პროფესიების შესახებ. ეს პროცესი

ინტეგრირებულია სადამრიგებლო პროგრამებში, რაც ეხმარება მათ საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენაში, პროფესიების გაცნობასა და მომავალ კარიერულ არჩევანზე დაფიქრებაში.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

საჯარო სკოლის მოსწავლეს და მის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს ინფორმაცია მიეწოდება Microsoft Teams-ის დახურული ჯგუფის მეშვეობით. ასევე პირდაპირი შეხვედრებით სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს გამოცხადებულ ღია კარის დღეებზე, საინფორმაციო შეხვედრებზე. პროფორიენტაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება ეხმარება მოსწავლეებს განავითარონ ცოდნა და უნარები, რომელიც სჭირდება წარმატებული არჩევანის გასაკეთებლად.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტ განვითარებასა და გაუმჯობესებას წინა სასწავლო წლის შედეგების დეტალური ანალიზის საფუძველზე. ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლის ადმინისტრაცია აანალიზებს მიღებულ შედეგებსა და არსებულ მონაცემებს, რისი საფუძველზეც ისახება მიზნები და იგეგმება შესაბამისი ქმედებები მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.სკოლის დირექტორის განმარტებით, განსაკუთრებით ყურადღება ექცევა კურსდამთავრებულთა მიღწევებს — განიხილება მათი წარმატება უმაღლეს სასწავლებლებში, რაც გამოიყენება როგორც უკუკავშირი სკოლის მუშაობის ეფექტიანობის შესაფასებლად. მიღებული მონაცემები ადარებს წინა წლების შედეგებს, რის საფუძველზეც დაგეგმილია სწავლის პროცესების გაუმჯობესებისკენ მიმართული ნაბიჯები. აღნიშნული მიდგომა აჩვენებს, რომ სკოლა ორიენტირებულია ხარისხზე, მუდმივ პროგრესზე და თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეხვედრების და აქტივობების ამსახველი ფოტო მასალა, სოციალურ ჯგუფში გამოქვეყნებული ინფორმაციები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

საჯარო სკოლა სრულად ასახავს ინკლუზიური განათლების პოლიტიკის პრინციპებს და სათანადოდ ახორციელებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობას. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული ინკლუზიური განათლების გზამკვლევით და ეფუძნება ციკლურ პროცესს, რაც მოიცავს დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგსა და საჭიროებისამებრ ცვლილებების დანერგვას.
სკოლის სასწავლო გეგმაში დეტალურადაა გაწერილი ინკლუზიური განათლების განხორციელების ეტაპები და აქტივობები, ხოლო სამოქმედო გეგმა ასახავს ძირითად ამოცანებს და მიზანმიმართულ ქმედებებს მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით. ვიზიტის დროს სკოლაში სწავლობდა სამი სსსმ მოსწავლე, თითოეულისთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფი, რომელშიც ჩართულია საგნის მასწავლებლები, სპეციალური პედაგოგი და მშობელი.
სკოლაში ფუნქციონირებს სპეციალური პედაგოგი, რომელიც მულტიდისციპლინარული გუნდის გადაწყვეტილებებით ხელმძღვანელობს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე და გაწერილია მოსწავლის სწავლა-სწავლების სტრატეგიები. გრძელვადიანი მიზნების დასახვისას მასწავლებლები ითვალისწინებენ სამიზნე ცნებებს და თემატური მატრიცის დიზაინით გეგმავენ კურიკულუმს. ყოველი მოსწავლისთვის განისაზღვრა ინდივიდუალური სასწავლო განრიგი, რითაც უზრუნველყოფილია მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობა და პროგრესი.
ზემოაღნიშნული მიდგომები ცხადყოფს, რომ სკოლა სისტემურად, პროფესიულად და ემპათიურად უდგება სსსმ მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებებს და უზრუნველყოფს ინკლუზიური გარემოს შექმნას, რაც არსებითად უწყობს ხელს თანაბარ და ღირსეულ საგანმანათლებლო შესაძლებლობებს.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლა ცნობიერად და სისტემურად მოქმედებს ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განხორციელების მიმართულებით. სკოლის მისია და ხედვა ღიად ასახავს ინკლუზიური გარემოს შექმნის მნიშვნელობას. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია მიდგომები, რომლებიც უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ოჯახის განსაკუთრებული სტატუსით მხარდაჭერას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სკოლაში შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც გაზიარებულია შესაბამის სტრუქტურებთან, მათ შორის კათედრებთან, პედაგოგიურ საბჭოსა და ისგ-ს ჯგუფებთან. სწავლის დაწყებამდე ტარდება შეხვედრები მშობლებთან, სადაც განიხილება როგორც აკადემიური საკითხები, ისე უსაფრთხოების მიმართულებით განსახორციელებელი ქმედებები. მოსწავლეებს მიეწოდებათ მათთვის გასაგები ფორმით ინსტრუქციები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რაც ხაზს უსვამს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მიდგომას. სკოლის ადმინისტრაცია კონფიდენციალურად ეპყრობა სსსმ მოსწავლეების შესახებ ნებისმიერ ინფორმაციას. საჭიროებების იდენტიფიცირებისას მშობლის თანხმობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და მხოლოდ ამის შემდეგ ხორციელდება შემდგომი ნაბიჯები. სკოლის დირექტორის თქმით, ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობა არის სწავლის პროცესის წარმატების აუცილებელი წინაპირობა. სსსმ მოსწავლეთა მშობლები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის კლასურ და სპორტულ ღონისძიებებში, რაც ხელს უწყობს თანასწორობის, თანაგანვითარებისა და თანამონაწილეობის პრინციპების განმტკიცებას. სკოლამ, საწყის ეტაპზე არსებული გამოწვევების მიუხედავად, შეძლო მოსწავლეთა, მათი თანატოლებისა და მშობლების პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბება, რაც მიუთითებს ინკლუზიური განათლების ეფექტურ მენეჯმენტზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ,

2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა,

ინკლუზიური განათლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (და გეგმები),

სკოლის ისგ-ს ჯგუფის შეხვედრის ოქმები,
ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება,
საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის მასალები,
სკოლის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციები/დასკვნები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საჯარო სკოლა სარგებლობს „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის მხარდაჭერით და მოსწავლეებს სთავაზობს ტრანსპორტით მომსახურებას. ამისათვის სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ყოველდღიურად აღრიცხავს ტრანსპორტის გადაადგილებას, ხოლო დირექტორის მიერ დამოწმებული შევსებული ტაბელი ყოველთვიურად იგზავნება რესურსცენტრში.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ზემოაღნიშნული სერვისის საჭიროება დადგენილია და ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის

განვითარების ხელშეწყობას. სკოლის მიერ გათვალისწინებულია მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა სურვილი. სერვისის მიწოდება უზრუნველყოფილია კანონმდებლობის სრული დაცვით.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

მომსახურებები ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლეთა ტრანსპორტირების ტაბელები,

დირექტორის ბრძანება ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ,

სკოლის წერილი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მასში გათვალისწინებული იყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესი, შესაძლებლობები და პროირიტეტები. მაგალითად, სკოლა კურიკულუმის შემუშვებამდე, ცდილობს გაანალიზოს არსებული გამოცდილებები, სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული რგოლის უკუკავშირები, ამ ყველაფერს კი სკოლა საფუძვლად უდებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ცდილობს, მის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში ასახული იყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესი. ამისათვის იყენებს სხვადასხვა აქტივობებს. მაგალითად, მოსწავლეთა უკუკავშირს საგაკვეთილო პროცესთან და მათთვის შეთავაზებულ თემებსა თუ დავალებებთან დაკავშირებით, გაკვეთილებზე კოლეგების დასწრებას და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებას, უკვე ჩატარებული გაკვეთილების ანალიზს და სხვა. ყველა ამგვარი აქტივობა ემსახურება ჯერ ამ ინტერესების დადგენას, შემდეგ კი, მასზე დაყრდნობით კურიკულუმის შემუშავებასა და განხორციელებას.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში ვიზიტის დროს სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ კურიკულუმის შემუშავებაში აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა კათედრის წარმომადგენლები, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, აანალიზებენ უკვე ჩატარებულ გაკვეთილებს და მოსწავლეთა შედეგებს, ითვალისწინებენ მათ გამოცდილებას, უკუკავშირებს წლის განმავლობაში

და სწორედ ამაზე დაყრდნობით, სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლის ჩართულობით ხდება ახალი კურიკულუმის შემუშავება.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოებისთვის კურიკულუმის გაზიარებისა და მისი განხილვის პრაქტიკა, როგორც ინტერვიუს შედეგად გაირკვა, კურიკულუმის გაზიარება ხდება, როგორც კათედრების მიერ, ასევე მშობლებს მისი გაზიარებისა და მასზე უკუკავშირის დაბრუნების საშუალება აქვთ სხვადასხვა ფორმით, როგორც რეალურ, ისე ვირტუალურ სივცეში.
ამისათვის იყენებენ სოციალურ ქსელებს, საინფორმაციო დაფებს სკოლაში ან შეხვედრების ფორმატს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები,
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია,
მშობელთა კრების ოქმები,
კათედრის ოქმები,
პედაგოგებთან ინტერვიუები.

1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალებები; კათედრას ყველა კლასისთვის წარმოდგენილი აქვს თითო კომპლექსური დავალება, კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია მიწოდებული მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშების მიხედვით, ცალკეულ შეთხვევებში კი მასწავლებლები ახდენენ დავალების მოდიფიცირებას საჭიროების მიხედვით; წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებებში სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე და უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ასევე ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და უნარების განვითარებას. დადასტურების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა თემატიკის ღონისძიებებისა და პროექტების ამსახველი მასალა დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე, ასევე საყურადღებოა არაფორმალური კუთხით სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ განხორციელებული აქტივობები,რომელის ამსახველი მასალა ერთვის სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას,რაც მიეთითება დამადასტურებელ დოკუმენტაციაში. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება და მოტივაციის ზრდა მნიშვნელოვანი ამოცანაა კურიკულუმების დაგეგმვისას და ამას ხელს უწყობს არაფორმალური განათლება, ამიტომ სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობები მიზნობრივია.

	კურიკულუმები უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების დამუშავების პროცესს, კომპლექსური ტიპის დავალებების აგების კონსტრუქტივისტული მიდგომა ჩანს წარმოდგენილ მატრიცებში, საშუალო და საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ პროექტული ტიპის დავალებებში, მოსწავლეთა ნამუშვერებში, შემაჯამებელი დავალებების ანალიზში, რომლიც დაოქმებული სახით ააქვს წარმოდგენილი კათედრას. **რჩევა:** დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია კომპლექსური ტიპის დავალები იყოს სასწავლო გარემოსა და მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე უფრო მრავალფეროვანი, მისცეს მოსწავლეს არჩევანის საშუალება, რაც გაზრდის მოტივაციას სასწავლო პროცესის მიმართ.
უცხოური ენები	უცხოური ენების სამივე საფეხურისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმი სრულად შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს და კურიკულუმი უზრუნველყოფს ენაზე დაფუძნებული სწავლების დინამიკურ და გრძელვადიან პროცესს, რომელიც მორგებულია თანამედროვე მოთხოვნებს კურიკულუმები ადაპტირებულია მოსწავლეზე, რაც გულისხმობს მათი საჭიროებების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებას. სასწავლო თემები შერჩეულია ისე, რომ შეესაბამებოდეს სკოლაში არსებული რესურსებისა და სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს, რითაც უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართულობა და ენობრივი უნარების თანმიმდევრული განვითარება. **რჩევა:**

	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია, კურიკულუმში და კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებული იყოს სსსმ მოსწავლეებზე მორგებული აქტივობები და ალტერნატიული დავალებები
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში მოცემული თემები, საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებას. ა ძირითადი კონტექს-მაგალითები ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებს. განხორციელებული პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, ექსკურსიები და მრავალფეროვანი რესურსები აღწერს მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით ჩატარებულ სამუშაო პროცესს.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია თემები, რომლებზეც მუშაობს კათედრა, წარმოდგენილია შემოქმედებითი (კომპლექსური) ბუნების დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. გამოგზავნილ კურიკულუმებში სასურველია სამომავლოდ გათვალისწინებულ იქნას შემდეგი
მათემატიკა	მათემატიკის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმებში ნათლად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული დაგეგმვა და განვითარების გზა.კლასების მიხედვით წარმოდგენილია თემები, სამიზნე ცნებები - მათზე მორგებული დავალებები და რესურსები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ,რომ შესრულებული აქვთ სხვადასხვა აქტივობა,თუ პროექტი,რომლის ამსახველი დოკუმენტები მოგვიანებით იქნა წარმოდგენილი. წარმოდგენილი კურიკულუმები სრულად შეესაბამება სტანდარტებს, ინდიკატორიც.

	რჩევა: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია შემოქმედებითი დავალებებისა და იდეების გამრავალფეროვნება.
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები, დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე და ითვალისწინებს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები, მორგებულია მოსწავლის ინტერესებს და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და მათ გაყვანას საფეხურეობრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთეულ კურიკულუმების ჩარჩოში იყო ტექნიკური ხარვეზი .პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში მიიღეს შესაბამისი რჩევა გამოსასწორებლად.
ტექნოლოგიები	საგან ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების კურიკულუმები ქართულ ენაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში ორიენტირებულია მოსწავლეზე. უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და მიმართულია მოსწავლის მრავალმხრივი განვითარებისაკენ. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და

	ინტერესები. შემოქმედებითი დავალებები მრავალფეროვანია და მოიაზრებს მოსწავლეების მხრიდან სხვადასხვა ტიპის პროდუქტების შექმნას, რაც უზრუნველყოფს მათში სხვადასხვა სახის უნარების ჩამოყალიბებას. მაგალითად, მე-4 კლასის ქართული ენის კურუკულუმში თემაზე ,,მეჩონგურე" თითქოს კარგად არ იკვეთება შემოქმედებითი დავალება, მაგრამ, დანართებში ჩაშლილია, რასა და რას შორის აკეთებს მოსწავლეს არჩევანს. ეს არის მხატვრული ან მუსიკალური ინტერპრეტაცია თუ ზეპირსიტყვიერი ანალიზი. აღნიშნული დავალების ფარგლებშიც თავად წყვეტენ მოსწავლეები რას და როგორ გააკეთებენ. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაწყებით საფეხურზე თითოეული მოსწავლე ნამდვილად არის სწავლის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში განსაზღვრულია საბუნებისმეტყველო საგნების (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკა) სამიზნე ცნების დამუშავება, რაც

	ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ასეთი დავალებების განხორციელების ეტაპზე აუცილებელია ფუნქციურ-კომპონენტური უნარების დამუშავება საგნობრივი საკითხების დამუშავების ფარგლებში. სკოლას საბაზო საფეხურის ყველა კლასისთვის აქვს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, ხოლო წარმოდგენილ კურიკულუმებში იკითხება საგნობრივი საკითხები და ქვესაკითხები, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების შინაარსობლივი ნაწილია. წარმოდგენილი პროექტები („დედამიწა ჩვენი სახლია“, „გავუფრთხილდეთ ბუნებას- ის ჩვენი სახლია“, „იცხოვრე თამბაქოს გარეშე“) ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებას. ამიტომ, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების და განხორციელებული პროექტების საფუძველზე ვასკვნით, რომ სკოლა მოსწავლეებს ყოველთვის უვითარებს კვლევით უნარებს, ასევე კრიტიკული აზროვნებას, შემოქმედებითობას. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება ორიენტირებულია კეთებით სწავლებაზე, რასაც ხელს უწყობს სკოლაში არსებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემავალ საგნებში სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულიმებში გაცოცხლებულია ყველა ცნება ყველა თემაში, ასევე მოცემული კონტექსტ მაგალითები, იკითხება შუალედური მიზნები, წარმოდგენილი შემაჯამებელი ტიპის დავალებების ანალიზებში, იკვეთება საყურადღებო, გასაუმჯობესებელი მიმართებები, რომელიც შემდეგი შემაჯამებელი ტიპის დავალების მომზადების დროს არის გათვალისწილებული, ეს უზრუნველყოფს ცნებების საფუძვლიან დამუშავებას. კურიკულუმებში განსაზღვრულია თემები, საკითხები, ქვესაკითხები რის საფუძველზეც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნები, ასევე განხორციელებული პროექტები გვაჩვენებს მასწავლებელთა მიერ კვლევის, კრიტიკული აზროვნების, თანამრომლობისა ტრანსფერის უნარების განვითარებისკენ მიმართულ სასწავლო პროცესზე.

	რჩევა: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია დავალებების მრავალფეროვნება,რომელიც მეტად სეუწყობს ხელს სააზროვნო უნარების განვითარებას, დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, რომელიც გაზომვადი იქნება სასკოლო აქტივობების განხორციელებისას.
უცხოური ენები	უცხოურ ენებში(ინგლისური,რუსული) შემუშავებული კურიკულუმები სრულად არის მიმართული ეროვნული სასწავლო გეგმის იმ გრძელვადიანი მიზნებისკენ, რომლებიც მოიცავს მოსწავლის კომუნიკაციური კომპეტენციების განმავითარებელ ასპექტებს. ეს მიზნები გულისხმობს არა მხოლოდ ეფექტურ კომუნიკაციას უცხო ენაზე, არამედ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, კულტურული მრავალფეროვნების აღქმასა და სწავლისადმი მოტივაციის ჩამოყალიბებას. კურიკულუმის შინაარსი და სტრუქტურა ასახავს თანამედროვე საგანმანათლებლო პრიორიტეტებს და ხელშემწყობია იმ ფუნქციური უნარების განვითარებისთვის, რომლებიც მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს, ჩაერთოს კულტურათაშორის დიალოგში, იმუშაოს გუნდურად და გააცნობიეროს საკუთარი როლი გლობალურ სამყაროში. თემატიკა, რომელიც საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად არის შერჩეული, პედაგოგს საშუალებას აძლევს, განახორციელოს შედეგზე ორიენტირებული სწავლება ყველა საფეხურზე და უზრუნველყოს ეროვნული მიზნების მიღწევა. **რჩევა:** გაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე კურიკულუმის თითოეული კომპონენტი (აქტივობები, თემები, სამიზნე ცნებები) მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნული სასწავლო გეგმის კონკრეტულ მიზნებთან. სასურველია, თითოეული აქტივობის დაგეგმვისას მასწავლებელმა შეაფასოს მისი კავშირი არა მხოლოდ თემასთან, არამედ

	საკითხთა კლასტერთან, გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და შედეგებთან, რათა სწავლება იყოს მიზანმიმართული, პრაქტიკული და ეფექტიანი.
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემატური ბლოკები და თემები. თემაში ასახულია შუალედური მიზნები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები, ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესში ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას.
სახელმწიფო ენა	კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გამოკვეთს ისეთ თემატიკას, რომელზე მუშაობაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითობის უნარების განვითარებას. დავალებები აგებულია კონსტრუქტივისტული პრინციპებით. ამაზე მეტყველებს ყველა კლასში დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები.
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმები მორგებულია ესგ--ით განსაზღვრულ გრძელვადიან გეგმებზე და სტანდარტის შედეგებზე.წარმოდგენილი თემები და მათზე მორგებული სამიზნე ცნებები სწორად და ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან,რაც უზრუნველყოფს დადგენილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნების მიღწევას.ინდიკატორი
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას და ითვალისწინებს საგნის ზოგად მიზნებს, საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგს, სამიზნე ცნებებს. სასწავლო თემები შეტანილია საგნობრივი სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან.

ტექნოლოგიები	საგან ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსაკენ. შემოქმედებით პროდუქტებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ I-IV კლასების საგნობრივ კურიკულუმებში ქართულ ენაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში, ძირითადად, გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები - გრძელვადიანი მიზნები, საკითხები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს. თუმცა, წარმოდგენილ ვერსიებში იყო მცირე უზუსტობები, რომლის შესახებაც დაისვა კითხვები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომები, რაც ვიზიტის პროცესშივე გასწორდა. მათ გამოხატეს მზაობა, რომ ამ საკითხებს ყოველთვის დაუთმობენ საჭირო დროს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები, ასევე სკოლაში არსებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია ყველა სათანადო პირობებით, შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ დაგეგმილი სასწავლო შედეგების მიღწევას. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას აქცენტი კეთდება დაკვირვებაზე, ექსპერიმენტებზე და კვლევებზე, კეთებით სწავლებაზე, რაც თვისთავად გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მოსწავლე ახდენს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. ამას ადასტურებს მოსწავლეების მიერ შექმნილი პროდუქტები (ფილტვის, თირკმლის და კბილის მოდელები, დიორამები ეკოსისტემების შესახებ). **რჩევა:** დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე რჩევის სახით მიიღეს კათედრის წევრებმა, რომ ასეთი აქტივობების განხორციელებისას სასურველია აწარმოონ მოსწავლეებმა დაკვირვების დღიურების, ცდის და ექსპერიმენტის ოქმები, თვითრეფლექსიები და კვლევის ანგარიშები, რაც თავის მხრივ განუვითარებს მოსწავლეებს კვლევა-ძიების უნარს და შეძლებენ საკუთრი ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთაკავშირებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში აზალიზი შედეგად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემების დასამუსავებლად ძირითად რესურსად გამოყებენულია გრიფირებული საზელმძღვანელოები, წიგნში განსაზღვრული საკითხები, რაზეც არის აგებული კურიკულუმი, მაგრამ ასევე შემოტანიილია დამხმარე რესურსები,რომელიც

	კურიკულუმებში ლინკების სახითაა ჩაშენებული, მოიცავს ვიზუალურ მასალას სასწავლ თემასთან და საკითხთან ბმაში. ასევე სკოლის მიერ განხორციელებული სხვადასხვა სახის მრავალფეროვან პროექტებსა და ღონისძიების ფარგლებში მომზადებული მასალა, პრეზენტაციები, სცენარები შესაძლებელია ჩაითვალოს საინტერესო რესურსად. ინდ გეგმებში გათვალისწინებულია მოსწავლეების შესაბამისი რესურსები **რჩევა:** დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით წესების დაცვით იქნეს მიწოდებული მოსწავლეებთან ინტერნეტ რესურსების ელექტრონული მისამართები, ასევე წინასწარ იქნეს კათედრის მიერ გასაზღვრული და დამტკიცებული ელექტრონული რესურსი ჩამონათვალი და მკაცრად გაკონტროლდეს შემთხვევითი ელ.მისამართების გამოყენება მოსწავლეების მიერ.
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები ძირითადად შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი მასალები ხელმისაწვდომია ასაკობრივი და საფეხურების მიხედვით და ეხმარება მოსწავლეს კომუნიკაციური, კულტურული, კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. რესურსები ითვალისწინებს თემატურ მრავალფეროვნებას, ენის დონესა და საკითხთა კლასტერს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლების მიზნობრიობისა და შედეგზე ორიენტირებული მიდგომის უზრუნველსაყოფად.თუმცა აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში რესურსების გამოყენება საჭიროებს მასწავლებლის მხრიდან ადაპტაციას როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმატურად რათა მაქსიმალურად მიესადაგოს მოსწავლის საჭიროებებსა და ინტერესებს.

	რჩევა: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია კურიკულუმში შემავალი რესურსების შერჩევისას მეტი აქცენტი გაკეთდეს მრავალფეროვან, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მასალებზე,გათვალისწინებული იყოს რესურსები სსსმ მოსწავლეთათვის, რათა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული სწავლის შედეგების მიღწევას და მოსწავლეებს მიეცთ შესაძლებლობა: ● განივითარონ უნარ-ჩვევები სხვადასხვა ტიპის ტექსტთან მუშაობისას (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი), ასევე მიზანშეწონილია: ● ვიზუალური, აუდიო და ციფრული რესურსების ინტეგრაცია (ვიდეოები, დიალოგები, ინტერაქტიული სავარჯიშოები),
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე პედაგოგების მიერ შექმნილი დამატებითი რესურსები, ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა, ბმულები. ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. კათედრა მრავალად წარმოადგენს არაფორმალური მუშაობის ამსახველ დოკუმენტაციას და სსსმ მოსწავლეთათვის შექმნილ რესურსებს .
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მასალას იუთუბ არხიდან, პლაკატებს, სქემებს და ა.შ. ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. რესურსები მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს.

მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსები სწორად არის შერჩეული თემასა და სამიზნე ცნებებთან მიმართებაში,რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.უხვად არის გამოყენებული ელექტრონული რესურსები ,რაც მიუთითებს სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებზე.გასაუბრებისას დადგინდა,რომ ნამდვილად აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით.ასევე დადგინდა ,რომ სკოლას აქვს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი რესურსები,რომლებიც სრულ თანხვედრაშია შესაბამის თემასა და მიზნებზე. ინდიკატორი .
სპორტი	სკოლის პედაგოგების მიერ, კურიკულუმებში შეტანილია სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ არსებული, სათანადო მატერიალ;ური რესურსით. სასწავლო პროცესში დამხმარე რესურსად იყენებენ მასწავლებლის გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით. ასევე ელექტრონული რესურსებს ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ და სხვა.. საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ცალკეულ ელექტრონულ რესურსში იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და კოლეგებს მიეცათ რჩევა შესასწორებლად.
ტექნოლოგიები	კურიკულუმებში მოცემულია როგორც ძირითადი რესურსები. კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან დამხმარე რესურს.

	რჩევა: დაწყებით საფეხურზე სასურველია საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული ყველა დამხმარე რესურსის ასახვა მოხდეს კურიკულუმში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში სახელმწიფო ენაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში შემოქმედებითი პროდუქტების შესაბამის ველში მითითებულია სხვადასხვა ტიპის რესურსები დავალებაზე მუშაობისათვის. ვიზიტის დროს მასწავლებლებმა წარმოადგინეს მოსწავლეთა ხელით შექმნილი რესურსები, როგორიცაა, მაგ: სივრცული და ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები მათემატიკაში, მზის სისტემის მოდელი ბუნებისმეტყველებაში, ბავშვების ხელით დამზადებული თოჯინები ქართული ენის შემოქმედებითი ტიპის დავალების ფარგლებში, რაც, მომავალ წელს მასწავლებელს შეუძლია, როგორც რესურსი, ისე გამოიყენოს პრაქტიკაში. ბუნებისმეტყველებაში დაამზადეს, მაგალითად, საინტერესო მოწყობილობა - სეისმოგრაფი, რომლის გამოყენებით მოსწავლეები გამოიმუშავებენ კვლევით უნარ-ჩვევებს, ჯერ გამოთქვამენ ვარაუდებს, ხოლო ცდის ჩატარების შემდეგ წერენ კვლევის ანგარიშს, გამართლდა თუ არა მათი ვარაუდი, რა მიიღეს შედეგად.

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის დოკუმენტაციაში, წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეთა დოკუმენტები/ინდ-გეგმები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ სკოლა სასწავლო პროცესში ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. ასევე,

	ინტერვიურების პროცესში დადგინდა, რომ საბუნებისმეტყველო კათედრა კლასებისთვის აგენერირებენ დიაგნოსტიკურ ტესტებს, რაც საშუალებას აძლევთ მათ, დაადგინონ კლასისა, თუ ინდივიდუალური პროფილები. ასევე, წარმოდგენილია ერთ-ერთი მოსწავლის ისგ-ს ნიმუში, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდვიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. პირისპირ ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვისას უპირველესად მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებენ. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებს აძლევენ თავისუფალი არჩევანის უფლებას დავალებების შესრულებისას: თავად წყვეტენ, თუ როგორი მასალით და რა ფორმით შექმნან სხვადახვა მოდელი ან დიორამა. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროებებს დიაგნოსტიკური ტესტებით, გასასვლელი ბილეთებით, თვითრეფლექსიებით და ა.შ.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეთა დოკუმენტები/ინდ-გეგმები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავალეთა ინდივიდუალური საჭიროებები. გარდა აღნიშნულისა, სკოლაში სასწავლო პროცესი ინკლუზიურია ყველა მოსწავლისთვის, ეფუძნება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს, გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ყოველთვის ითვალისწინებელ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, განსაზღვრავენ ინდივიდუალურად მიღწევის დონეს და გეგმავენ შემდგომ აქტივობებს, დამადასტურებლად, სკოლის მიერ წარმოდგენილია საინტერესო ფოტო მასალა, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური სასწავლო პროცესის, მოსწავლეების მიერ შექმნილი პრეზენტაციები, პოსტერები. კათედრის ოქმში, SWOT ანალიზში, ძლიერ მხარეშია აღნიშნული არაფორმალური განათლება და პროექტული სწავლება, რაც ინკლუზიური გარემოს წინაპირობაა.

უცხოური ენები	ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად, უცხოურ ენაში სწავლების პროცესი ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. პედაგოგებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლა ყველა საფეხურზე (საწყისი, საბაზო და საშუალო) უზრუნველყოფს ამ მიდგომების პრაქტიკაში რეალიზებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებები, ინტერესები და სწავლითი სტილები. მაგალითად, კომპლექსური დავალებებისა და პროექტების განხორციელებისას, სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალები მოიცავს ინდივიდუალური აქტივობების ვარიანტებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას და მათ საჭიროებებზე მორგებულ სწავლის პროცესს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ უცხო ენების პედაგოგებს აქვთ მზაობა საჭიროების შემთხვევაში შეადგინონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისთვის და განახორციელონ შესაბამისი ენობრივი ადაპტაციები. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინკლუზიურობას და თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების რეალიზებას.სკოლამ წარმოადგინა საგნობრივად ინდივიდულაური სასწავლო გეგმები . **რჩევა:** დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია კურიკულუმში მოყვანილი იყოს დიფერენცირებული დავალებებისა და აქტივობების კონკრეტული მაგალითები — თანდართული ინსტრუქციებითა და შესრულების პირობებით. ეს დაეხმარება პედაგოგებს სწრაფად და მარტივად დაგეგმონ სწავლება სხვადასხვა დონეზე მოსწავლეებისთვის, მათ შორის სსსმ მოსწავლეთათვის. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია, კურიკულუმში ჩაერთოს რამდენიმე ტიპური ნიმუში, რომელიც ნათლად აჩვენებს, როგორ ხორციელდება დიფერენცირება თემატური შინაარსის, ენობრივი დონისა და სწავლითი სტილის მიხედვით.

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით ჩანს რომ კათედრა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისას იყენებს შესაბამის რესურსებს, შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კურიკულუმი ასევე იძლევა მოდიფიცირების შესაძლებლობას მასში გათვალისწინებული მრავალფეროვანი რესურსების და სასწავლო საკითხების მიხედვით. მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავის უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი.
სახელმწიფო ენა	კათედრა დიფერენცირებულ მიდგომებს იყენებს, პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ მიდგომებს, რაც განაპირობებს მოსწავლეთა ინტერესსა და მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში. ეს ყოველივე კი ინდ.გეგმებში აისახება.
მათემატიკა	სკოლას აქვს წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,რომელიც მორგებულია კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე და უზრუნველყოფს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს.ინტერვიუს დროს დადგინდა რომ მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი პრაქტიკა და მზაობა გეგმაში წარმოდგენილი აქტივობების განხორციელების. ინდიკატორი
სპორტი	პედაგოგებთან საუბრისას აღმოჩნდა რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერტესი. როგორც პედაგოგმა აღნიშნა საუბრისას, სკოლის სსსმ მოსწავლე, შესაბამისი კომისიი გადაწყვეტილების საფუძველზე, ვერ მოახერხებს ამ საგანზე დასწრებას და შესაბამისად არ საჭიროებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო დონეზე სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. როგორც პედაგოგმა აღნიშნა, კურიკულუმის შედგენის პროცესში გაითვალისწინა მოსწავლეთა საჭიროებები, და შედგენილი აქვს დიფერენცირებული ტიპის დავალებები. რომელიც ნათლად ჩანს სკოლის მიერ მოწოდებულ შემოქმედებით პროდუქტებში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში გაწერილი დავალებები იძლევა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გამოყენების შესაძლებლობას. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე, რომლისთვისაც შექმნილია ისგ საგნების მიხედვით და გაწერილია როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი მიზნები საფეხურის შედეგების მიხედვით. ზოგადად, მასწავლებლებთან ინტერვიურებისას იკვეთება, რომ ისინი საჭირო დროს ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას და მათ მორგებას მოსწავლეთა საჭიროებებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლა პრაქტიკაში ნერგავს და ახორციელებს სადიაგნოსტიკო შეფასებებს, როგორც მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების ინსტრუმენტს, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს მიზნობრივად, გამოვლენილი საჭიროებებზე მორგებული ინტერვენციების დახმარებით სასურველი მიმართულებით წაიყვანოს სასწავლო პროცესი და მოსწავლეთა განვითარება ხელშესახები გახადოს.

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებების შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებზე-გრძელვადიან მიზნებზე; წარმოდგენილია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. ფასდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი; ხოლო განმავითარებელი შეფასებით დგინდება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკა და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამიტომ, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **რჩევა:** დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია, საბუნებისმეტყველო საგნებში ჩატარებული პრაქტიკული დავალებების, ექსპერიმენტების, ცდების და კვლევების განხოციელებისას მოსწავლეებმა აწარმოონ შეაბამისი დოკუმენტაცია: კვლევის ანგარიშები, ცდის და ექსპერიმენტის ოქმები. თვითრეფელქსიები და თვითშეფასების ჩეკლისტები. რომელთა დახმარებით შეძლებენ მოსწავლეები შეამოწმონ საკუთარი ჰიპოთეზის სისწორე და გამოიტანონ დასკვნები, მოახდინონ საკუთარი სწავლის პროგრესის შეფასება და გავიდნენ უკეთეს შედეგზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ძირითადი მოცემულობით, წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საგნობრივ ცნებებს ეფუძნება და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წარმოდგენილია დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე, ეფუძნება საგნობრივ ცნებებს.

	სკოლასთან კონსულტაციისას აღნიშნული და განხილული იქნა შეფასების პროცესი და შეფასების რუბრიკები. **რჩევა:** დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია, შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები განსაზღვრული იყოს კონკრეტული კლასის, თემის შესაბამისად ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით, და არა იყოს სრულად,უცვლელად გადმოტანილი საფეხურის შედეგები/ცნებები კონკრეტული კლასის თემის შეფასებლად. ასევე მნიშვნელოვანია შეფასების კრიტერიუმების დონეების დაკონკრეტება, რადგან შეფასების პროცესი იყოს ღია,ვალიდური და ობიექტური.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით უცხოური ენების კურიკულუმით გათვალისწინებული მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან შეფასების რუბრიკებს,რაც უზრუნველყოფს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ შეფასებას. ეს ხელს უწყობს მოსწავლის პროგრესის დაკვირვებას, წახალისებასა და სწავლის პროცესის მორგებას ინდივიდუალურ საჭიროებებზე.უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა შემაჯამებელი დავალებების ანალიზები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები,თუმცა აღსანიშნავია,რომ შემაჯამებელი დავალებები წარმოდგენილია ძირითადად ტესტის ფორმატით. შემაჯამებელი შეფასება უნდა იყოს მრავალფეროვანი და მოიცავდეს სხვადასხვა ტიპის დავალებებსა და შეფასების ფორმებს და უნდა მოიცავდეს ოთხივე ძირითადი უნარის კომპონენტს: წერა,კითხვა,საუბარი,მოსმენა. **რჩევა:**

	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია, კურიკულუმში დაისახოს თითოეული კომპონენტის (მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი) მიხედვით ცხადი და დეტალური შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავს ცოდნისა და უნარების დონეს,ეფუძნება საგნის მიზნებსა და შესაბამის დონეს,უზრუნველყოფს სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას,უზრუნველყოფს წინსვლის მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში სწავლების დიფერენცირებას.სსსმ მოსწავლეებისთვის შეფასება იყოს ადაპტირებული, მათი ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სასწავლო გეგმის შესაბამისად. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია, შემაჯამებელ დავალებებში აქტიურად ინტეგრირდეს სხვადასხვა ფორმატის კომბინაციები (მაგალითად, ტექსტის შექმნა, კითხვებზე პასუხის გაცემა, აუდიოჩანაწერების მოსმენა,წაკითხულის გააზრება,პროექტული სწავლება,კომპლექსური დავალებები და დიალოგში მონაწილეობა), რაც ხელს შეუწყობს ყველა უნარის სრული შეფასების უზრუნველყოფას.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე შემუშავებული შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. საგნის პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა შეაფასონ მოსწავლეები კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით და დაადგინონ მათი მიღწევების დონე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.
სახელმწიფო ენა	სწავლებისას კათედრა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. წარმოდგენილ დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში, კერძოდ, შეფასების რუბრიკებში, იყო ასახული მე-3 თაობის ესგ-ს ინდიკატორები თითოეულ ცნებასთან მიმართებით.

	რჩევა: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია, განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მეტი კონკრეტიკა ჩანდეს, მორგებული იყოს დავალების შეფასების კრიტერიუმებს, ანუ რუბრიკაში აისახოს იმისი შეფასება, რასაც ვთხოვთ მოსწავლეს დავალებაში.
მათემატიკა	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,რომლებიც მორგებულია კონკრეტულ თემებზე, სრულად შეესაბამება მათემატიკის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნებისათვის. ინდიკატორი
სპორტი	პედაგოგებს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, წარმოდგენილი აქვთ შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ ს მოთხოვნებს და აფასებს საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად , თითოეულ სამიზნე ცნებას. **რჩევა:** დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სამომავლოდ, სასურველი იქნება, შეფასების რუბრიკები შეიქმნას კურიკულუმით გათვალისწინებული სხვა თემების მიხედვითაც.
ტექნოლოგიები	სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია, ზოგადი სახის განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე დოკუმენტების შესწავლისას გამოვლინდა და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მათ წარმოადგინეს რუბრიკები ზოგიერთი თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებების შესაბამისად, რაც ცხადყოფს, რომ მასწავლებლები დაუფლებული არიან შეფასების რუბრიკების დაფუძნებას თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე სამიზნე ცნებების მიხედვით. ეს კი გვარწმუნებს, რომ აღნიშნული პრაქტიკა გავრცელდება ყველა იმ დავალებაზე, რომელსაც შეიტანენ მომავალი წლის კურიკულუმში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი ,საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები,
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია,
უცხოური ენების კათედრის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა,
სასკოლო-სასწავლო გეგმა 2024-2025,
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია,
განმსაზღვრელი და განმავთარებელი შეფასების რუბრიკები ,
შემაჯამებელი დავალებების რაოდენობისა და ანალიზის ფორმების განხილვა),
შემაჯამებელი დავალების ანალიზები სამივე საფეხურის (ინგლისური ენა,რუსული ენა),
გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები,ღია გაკვეთილის გეგმა,რეფლექსია,
სტრატეგიები უცხო ენის სწავლების დროს,
შეფასების რუბრიკები,
სსსმ.მოსწავლისშეფასების რუბრიკა(სოლო ტაქსონომიის მიხედვით),
ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,
განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა,
შეფასების ვერიფიკაციის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტის (მოსწავლის ნამუშევრებით, პროექტებით და ფოტო მასალებით), სადაც ასახულია კომპექსური დავალებების, პროექტების და სხვა აქტივობების ამსახველი კადრები, აქტივობების განხორციელებისას სკოლა იყენებს მათ ხელთ არსებულ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ასევე წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები და ანალიზი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისა, მეტი ანალიზისთვის კურიკულუმებს თან ერთვის კლასების მიხედვით შემოქმედებითი ტიპის დავალებების ამსახველი მასალა(მატრიცები), სადაც გაწერილ მიმდინარეობაში ჩანს კონსტრუქტივიზმის პრონციპები, ინტერესების გათვალისწინებით დავალებების შეთავაზება/შესრულება. ასევე მოცემული არის დამატებითი მასალა,რომელიც მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს.
უცხოური ენები	უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) სწავლების პროცესი დაგეგმილია და სრულად შეესაბამება სკოლის კურიკულუმის მოთხოვნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს. ყველა საფეხურზე განსაზღვრულია მიზნები, თემები და აქტივობები, რომლებიც სისტემატურად განავითარებს მოსწავლეთა ენობრივ და კომუნიკაციურ კომპეტენციებს.დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, ენობრივ დონესა და საჭიროებებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მიზნობრიობას, თანმიმდევრობასა და ხარისხს.

	რჩევა: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია, კურიკულუმებში ინტენსიურად გამოიყენებოდეს დიფერენცირებული და ინტერაქტიული სწავლების მეთოდები, როგორიცაა წყვილში და ჯგუფურად მუშაობა, როლური თამაშები, პროექტებზე დაფუძნებული სწავლა და პრობლემაზე ორიენტირებული ამოცანები.სასურველია, შეფასება ემყარებოდეს არა მხოლოდ საბოლოო შედეგებს , არამედ პროცესებს და მოიცავდეს მრავალფეროვან ფორმატს – ზეპირს, წერითს, ვიზუალურსა და აუდიო აქტივობებს. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული მიზნები და დავალებები, გააძლიერებს ინკლუზიურობის პრინციპს და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩართულობას.
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი წარიმართება მოცემული კურიკულუმების და გამოცდილების შესაბამისად. კათედრა გეგმავს კათედრაზე გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების მიხედვით ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმები ყოველ წელს დგება წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით. დაგეგმილ კურიკულუმებში ჩანს, რომ იგი ორიენტირებულია, საინტერესო გახადოს სასწავლო პროცესი მოსწავლისთვის, რათა მან საუკეთესოდ შეძლოს საკუთარი თავის წარმოჩენა და იზრუნოს

	თავის გონებრივ თუ პიროვნულ განვითარებაზე. დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და პროექტები სწორედ ამ მიზანს ემსახურება.
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი აქტივობები სამიზნე ცნებებთან და თემასთან მიმართებაში შესაბამისია.შერჩეულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები,თუმცა შესაძლებელია იდეებისა და აქტივობების გამრავალფეროვნება. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.ინდიკატორი
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში, პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (როგორიცაა შიდასასკოლო ფესტივალები), სკოლის მოსწავლეები წამატებით მონაწილეობენ სკოლის გარე, არაფორმალური განათლების შესაბამის აქტივობებშიც. .
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებელთან ინტერვიუ.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ შემოქმედებით პროდუქტებზე დაკვირვებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი ხორციელდება დაგეგმილის შესაბამისად. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის

	ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება საინტერესო და ამავდროულად, დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის. ვიზიტის ფარგლებში მასწავლებლებმა გაგვიზიარეს დაწყებით კლასებში, კერძოდ, ქართულ ენაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტები. ეს კი ცხადად გვიჩვენებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მასწავლებლები შემოქმედებით მიდგომებს, კეთებით სწავლასა და წინარე გამოცდილებაზე ცოდნის აგების პრინციპებს, რაც კურიკულუმის განხორციელებისათვის სასწავლო პროცესის მზაობას ადასტურებს.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლაში ვიზიტისა და გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა მოქნილად და ეფექტურად მოქმედებს შემხვედრ საჭიროებებზე, მას აქვს ასეთი შემთხვევების არაერთი გამოცდილება, მაგალითად, როდესაც სწავლა-წსავლების პროცესში, რაიმე გამოწვევის წინაშე დგებიან, მათ შეუძლიათ შეცვალონ მიდგომა, მოარგონ იმ საჭიროებებს, რომელიც იმ ეტაზე აქვს სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრს და ამაზე დაყრდნობით შექმნან ახალი გამოცდილება, რომელიც გაუადვილებს მოსწავლეს ან სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ სხვა წევრს სწავლა-სწავლების პროცესს.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან იკვეთება, რომ სკოლის პედაგოგებს სწორად აქვთ გააზრებული მოსწავლეთა შეფასების თავისებურებები, შეფასების რუბრიკებში ასახულია რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ შეფასდება მათი ძალისხმევა. რათა უზრუნველყოფილი იქნას თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწვალის მიმართ, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები.ასევე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით ისეთი ტიპის შეფასების

	რუბრიკებს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლის ფუნქციურ კომპონენტური უნარების შეფასება. **რჩევა:** კათედრის წევრებს მივეცი რჩევა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენონ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების ჩეკლისტები, რაც მოსწავლეებს მისცემს საშუალებას უკეთ შეძლოს საკუტარი სწავლის პროგრესის შეფასება და ანალიზი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილია ყველა საგანში შეფასების განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები, შეფასების კრიტერიუმები გამომდინარებს ცნებებსა და შედეგებიდან. ასევე წარმოდგენილი მატრიცებიდან ჩანს, რომ მოსწავლეებმა იციან შეფასების მოთხოვნები. **რჩევა:** დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები განსაზღვრული იყოს კონკრეტული კლასის, თემის შესაბამისად ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით, და არა სრულად, უცვლელად გადმოტანილი საფეხურის შედეგები/ცნებები კონკრეტული კლასის თემის შეფასებლად. ასევე მნიშვნელოვანია შეფასების კრიტერიუმების დონეების დაკონკრეტება, რადგან შეფასების პროცესი იყოს ღია,ვალიდური და ობიექტური. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია შემაჯამებელი ტიპის დავალებებებისთვის კონკრეტული,დონეებზე გაშლილი კრიტერიუმების შემუშავება.
უცხოური ენები	წარდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

	პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ შეფასების რუბრიკების შემუშავების, გადახედვისა და სრულყოფის პროცესში, რაც ხორციელდება სისტემატურად კათედრის დონეზე. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს შეფასების კრიტერიუმების თანმიმდევრულ და ერთიან გამოყენებას სხვადასხვა საფეხურსა და პარალელ კლასებს შორის. შედეგად, სწავლების შედეგების წარმოჩენა ხდება ობიექტურად, სტანდარტულად და სამართლიანად. ინტერვიუებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ მასწავლებლებს შორის მოქმედებს აქტიური თანამშრომლობა შეფასების სტანდარტების სწორად და თანმიმდევრულად გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, რაც ზრდის შეფასების პროცესის ხარისხს და ერთგვაროვნებას.რაც დასტურდება კათედრის ოქმითაც. მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები ეცნობებათ წინასწარ, რაც ქმნის მოტივაციურ, გამჭვირვალე და პროგრესზე ორიენტირებულ შეფასებით გარემოს. **რჩევა:** დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია, შეფასების კრიტერიუმები გადაიხედოს საგნობრივად (ინგლისური,რუსული)რათა თითოეული კრიტერიუმი მაქსიმალურად ასახავდეს შესაბამისი ენის სპეციფიკას და მიზნებს. სასურველია, კრიტერიუმები მორგებული იყოს საფეხურის დონის მახასიათებლებს და მოიცავდეს კონკრეტულ ენობრივ უნარებს (მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი) . შემაჯამებელი დავალებები იყოს მრავალფეროვანი და ღია ტიპის არა მხოლოდ ტესტური ან დახურული ფორმის.მაგალითად, შეიძლება მოიცავდეს შემოქმედებით წერას, პრეზენტაციას,კომპლექსურ დავალებას, როლურ თამაშს ან რეალური კომუნიკაციის იმიტაციას, რაც უფრო სრულად ასახავს მოსწავლის ენობრივ კომპეტენციებს. რეკომენდებულია, შეფასებები მორგებული იყოს თემატიკასა და მიზანზე, რათა გაზარდოს მოსწავლეთა ჩართულობა.

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ნიმუშებ**ი.** რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს, მორგებულია სასწავლო თემებზე და სამიზნე ცნებებზე.
სახელმწიფო ენა	კათედრაზე იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, რომლებიც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. კათედრა მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს, აკვირდება მიღწევებსა და ხარვეზებს, რომელთა მიხედვითაც აგებს შემდგომ სასწავლო პროცესს.
მათემატიკა	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მორგებულია თითოეულ თემაზე ისე,რომ სრულად აკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას.ინტერვიუს დროს დადგინდა,რომ შეფასების რუბრიკები შემუშავდა კათედრაზე მასწავლებელთა მიერ,სადაც გათვალისწინებული იყო ერთმანეთის გამოცდილება და პრაქტიკა,რაც უზრუნველყოფს ობიექტურობას.ინდიკატორი
სპორტი	პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. სამომავლოდ, შეფასების რუბრიკების მეტი ვალიდურობისათვის, სასურველია, ისისნი შეიქმნას კურიკულუმით გათვალისწინებულ ყველა თემაზე.

ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია მრავალკომპონენტიანი განმავითარებელი და განმსაზღრელი შეფასების რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც უკვე ხდება სასწავლო პროცესში, პედაგოგი წინასწარ ახდენს შეფასების რუბრიკების წარდგენას მოსწავლეებისთვის. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება. შეფასების წარმოდგენილი ნიმუშები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს, კერძოდ, ისინი გამომდინარეობს ცნების ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებიდან და მორგებულია შესასწავლ თემას/საკითხს, რაც უზრუნველყოფს მის ვალიდურობას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მათ წინასწარ აცნობენ ბავშვებსა და მშობლებს, რათა ის იყოს გამჭვირვალე, პირველ რიგში, მოსწავლემ იცოდეს, რა მოეთხოვება საკითხის ცოდნის დასადასტურებლად და ამზადებს მას, გაითვალისწინოს საკუთარი სწავლის დასაგეგმად. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის ოსტატობაზეა დამოკიდებული, რამდენად სწორად და ბავშვისათვის გასაგებ ენაზე ჩაშლის მას, დაუკონკრეტებს და აღუწერს მაგალითებით, რათა უზრუნველყოს ობიექტურობა, სანდოობა და სამართლიანობა და ისე დაინერგოს პრაქტიკაში.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი და როგორც გასაუბრებისას გამოიკვეთა, სკოლა იყენებს ამ დომუმენტს შეფასების პროცესში. .

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში შენახულია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები. მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და მის შენახვას სკოლა თავად უზრუნველყოფს არანაკლებ 3 წლის ვადით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი ,საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები,
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია,
უცხოური ენების კათედრის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა,
სასკოლო-სასწავლო გეგმა 2024-2025,
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია,
განმსაზღვრელი და განმავთარებელი შეფასების რუბრიკები ,
შემაჯამებელი დავალებების რაოდენობისა და ანალიზის ფორმების განხილვა),
შემაჯამებელი დავალების ანალიზები სამივე საფეხურის (ინგლისური ენა,რუსული ენა),
გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები,ღია გაკვეთილის გეგმა,რეფლექსია,
სტრატეგიები უცხო ენის სწავლების დროს,
შეფასების რუბრიკები,
სსსმ.მოსწავლისშეფასების რუბრიკა(სოლო ტაქსონომიის მიხედვით),
ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,
განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა,
შეფასების ვერიფიკაციის წესი,
მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლას აქვს აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები გამწოვი კარადით და სპეციალური მაგიდის ზედაპირით მჟავა-ტუტოვანი რეაქციების ჩასატარებლად. აქვთ მულაჟები, თვალსაჩინოებები და სხვა საჭირო ინვენტარი. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს აღნიშნული საგნების სწავლების ხარისხის მაღალ დონეს. **რჩევა:** დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე კათედრის წევრებს მივეცი რჩევა აქტიურად გამოიყენონ სასწავლო პროცესში სიმულაციური თამაშები და ვირტუალური ლაბორატორია, რაც უფრო საინტერესოს, მიმზიდველს და სახალისოს ხდის სწავლის პროცესს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ძირითად სასწავლო რესურსად წარმოდგენილი გრიფირებული სახელმძღვანელოები,მაგრამ კურიკულუმებში ლინკებად არის მოცემული თემის/საკითხის დამუშავებისთვის,ანალიზისთვის მნიშვნელოვანი და საჭირო დამხმარე რესურსი,ეს არის სხვადასხვა პუბლიკაცია, ტელესკოლის მასალა, ფილმი თუ სოციალური რეკლამა. ყოველივე აღნიშნული უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შედეგზე ორიენტირებას.
უცხოური ენები	უცხოური ენების სწავლების პროცესში გამოყენებული სასწავლო რესურსები სრულ შესაბამისობაშია კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ძირითადი რესურსი წარმოადგენს გრიფირებულ სახელმძღვანელოს, რომელიც შეირჩა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით.

	დამხმარე რესურსების სახით გამოყენებული მასალები ხელს უწყობს სწავლების პროცესის დინამიკურობას, მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას და მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას.კათედრის ოქმში წარმოდგენილია დამხმარე რესურსების დეტალური ჩამონათვალი(რუსული,ინგლისური), რომელიც მოიცავს:თემატურად შერჩეულ ტექსტებს, სავარჯიშო ფურცლებსა და სამუშაო რვეულებს,პედაგოგის მიერ შერჩეულ ავთენტურ რესურსებსა და შემოქმედებით აქტივობებს. დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ რესურსები შერჩეულია მიზნობრივად და ეხმიანება როგორც სასწავლო მიზნებს, ასევე მოსწავლეთა ასაკობრივ და დონობრივ თავისებურებებს. **რჩევა:** დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მიზანშეწონილია კურიკულუმში გაიზარდოს მოსმენისა და საუბრის უნარების განვითარების მხარდამჭერი რესურსების რაოდენობა. რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას აუთენტური აუდიო/ვიდეო მასალები, დიალოგები, როლური თამაშები და მოსმენის და ლაპარაკის აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა რეალურ კომუნიკაციაში ჩართულობას. ასევე, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია კათედრაზე შედგეს ლაპარაკის და მოსმენის დამხმარე რესურსების მიზნობრივი ნუსხა, შინაარსობრივი მიზნების, საფეხურისა და ენის მიხედვით, რაც გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს და გაზრდის მოსწავლეთა ენობრივ თვითგამოხატვას.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრაზე წარმოდეგენილია კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები- გრიფირებული სახელმძღვანელოები და დამატებითი რესურსები, მათ შორის ლინკებით

	წარმოდგენილი ელექტრონული რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, სქემებს, პლაკატებს, ილუსტრაციებს, ელექტრონულ რესურსებს (ფილმებს, სპექტაკლების ჩანაწერებს) , ტელესკოლის გაკვეთილებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრა სკოლის ადმინისტრაციას აცნობს თავის საჭიროებებს რესურსებთან მიმართებით, რაზეც მსჯელობენ და იღებენ გადაწყვეტილებებს მათ შეძენაზე.
მათემატიკა	კურიკულუმში წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები საჭიროებს კომპიუტერებს ,ინტერვიუს დროს ეს საკითხი მკაფიოდ გამოვკვეთე.მიუხედავად იმისა,რომ სხვა სკოლის შენობით სარგებლობენ დადგინდა ,რომ არსებულ სკოლას გააჩნია საკმარისი კომპიუტერები რაც საჭიროა შესაბამისი დადგენილი აქტივობებისთვის,ასევე ელოდებიან ახალ ერთეულებსაც.ასევე აქტიურად ხდება მათი მიზნობრივად გამოყენება.სკოლა დასახელებულ სხვა რესურსებსაც ფლობდა.ინდიკატორი
სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა და კურიკულუმში გაწერილი რესურსებიც ადასტურებს, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გათვალისწინებულ რესურსებს: არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ინტერნეტ რესურსებს. პედაგოგები ცდილობენ სააწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი, სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას.

ტექნოლოგიები	კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილია ელ. მასალები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქტიურად ხდება დამხმარე რესურსების გამოყენებაც.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შესწავლილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ტიპის რესურსებს სხვადასხვა საგანში. კათედრის ოქმებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კათედრებზე ხდება ყველა იმ ძირითადი და დამხმარე რესურსის მიმოხილვა, რაც მათ სასწავლო პროცესის გამართული მუშაობის, შექმნილი კურიულუმებისა და შესასწავლი თემების მრავალმხრივი დამუშავებისათვის ესაჭიროებათ. ამიტომ კათედრა ამტკიცებს ძირითადი, გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე რესურსების ჩამონათვალს. კურიკულუმებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო და ზოგიერთ თემაში - დამხმარე რესურსი.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსი რომელსაც სკოლა იყენებს კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობის განხორციელებისას შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ (მათ შორის, ენის, ეროვნების, სქესის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების და სხვა ხასიათის) ელემენტებს. ან რაიმე ნიშნით არ იწვევს სასწავლო პროცესისათვის ხელის შეშლას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა იცავს მოსწავლეთა უსაფრთხოებას, დამხმარე რესურსი განსაზღვრულია სკოლის მიერ, დამხმარე რესურსი არ შეიცავს დისკრიმინაციულ, ღირსების შემლახველ, ასაკისთვის შეუსაბამო კონტენტს, სტერეოტიპულ და აგიტაციის შემცველ მასალას.
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას,რაც დასტურდება პედაგოგებთან გასუბრებით , რაც ხელს უწყობს სწავლების პროცესის ეფექტიანობასა და საგნობრივი სტანდარტების დაცვას. უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) კათედრაზე ვალიდაციის პროცესი ხორციელდება საგნობრივი კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობით. დამხმარე რესურსები შერჩეულია თითოეული ენის სასწავლო საჭიროებებისა და საფეხურის სპეციფიკის გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს რესურსების საგნობრივ შესაბამისობას, სასწავლო მიზნებთანშესაბამისობას და მათი მორგებას მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებსა და უნარებზე.რაც დასტურდება კათედრის მიერ წარადგენილ ოქმებში.თანდართული დოკუმენტაციის სახით დამხმარე რესურსების შესახებ. **რჩევა:** დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს დამხმარე სასწავლო რესურსების პერიოდული გადახედვა და ხარისხობრივი ანალიზი კათედრის ფარგლებში, რათა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ რესურსები, რომლებიც დადასტურებულად შეესაბამება საგნობრივ მიზნებს და მოსწავლეთა საჭიროებებს.

	გარდა ამისა, სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, შეიქმნას რესურსების ვალიდაციის ფორმალური ჩარჩო/ჩეკლისტი, რომელიც გაამარტივებს პროცესს და გაზრდის მისი სისტემატურობის ხარისხს.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად. სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას.
სახელმწიფო ენა	კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სსსმ მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი განმავითარებელი მასალებით.
მათემატიკა	სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათ შესაბამისობის შემოწმებას სასწავლო მიზნებთან, სტანდარტებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. ამისათვის სკოლა იყენებს სისტემატურ მიდგომას, რომელიც მოიცავს რესურსების შერჩევას, შეფასებას და გამოყენებამდე მათ გასინჯვას. მასწავლებლები ჩართულნი არიან ამ პროცესში, რათა დარწმუნდნენ, რომ რესურსები ხარისხიანია. ინდიკატორი
სპორტი	გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას.

ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა სასწავლო წლის დასაწყისსი კათედრების საშუალებით აღრიცხავს იმ დამატებით სასწავლო რესურსებს, რომელსაც ის იყენებს სასწავლო პროცესში. მომავალი წლის კურიკულუმის შედგენამდე სკოლა ადგენს რესურსების ვალიდაციას და ისე იღებს გადაწყვეტილებას მის შემდგომ გამოყენებასთან დაკავშირებით. კათედრის ოქმებში ვხვდებით ელ. რესურსების ბმულებსაც.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა სრულად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. ყველა ლაბორატორიაში არის სველი წერტილი და საჭირო ინვენტარი. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი აქტივობები, მოსწავლის მიერ შექმნილი პროდუქტი და პროექტების ნიმუშები ხელს უწყობს საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ

	უფრო მეტი ინტერესის გაღვივებას და დაინტერესება. მოსწავლეებ უვითარდებათ კვლევითი უნარ-ჩვევები და შეძლებენ მარტივად გადაჭრა ყველა არსებული პრობლემა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია ყველა ტიპის რესურსი, რომელეც განისაზღვრება კურიკულუმით, დაცულია ყველა მოსწავლის უსაფრთხოება და გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები,ინტერესები,დამადასტურებლად წარმოდგენილია ფოტო მასალა, ვიდეო მასალა.
უცხოური ენები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით, რომლებიც შერჩეულია მოსწავლეთა რაოდენობის, სივრცითი და მატერიალური შესაძლებლობების, ასევე ადგილობრივი საგანმანათლებლო კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლაში წარმოდგენილი რესურსები შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან და უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ეფექტურობას. პედაგოგების მიერ გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები მათ შორის ინტერაქტიული, შემოქმედებითი და არაფორმალური განათლების კომპონენტები ხელს უწყობს მოსწავლეთა:ენობრივი უნარების განვითარებას,კომუნიკაციური კომპეტენციების გაუმჯობესებას,კულტურული ცნობიერების გაფართოებას.

ესთეტიკური აღზრდა	.კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისი მატერიალური რესურსით, ახალი სასწავლი წლიდან განახლებული სასწავლო სივრცე და შესაბამისი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომია შესაბამისი რესურსები, იქნება ეს სახელმძღვანელოები, დამატებითი საკითახავი თუ ციფრული მასალა, ბიბლიოთეკა. ამდენად, სასწავლო პროცესის განსახორციელებლად მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი რესურსებით.
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალური რესურსების გამოყენებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამისთვის სკოლას გააჩნია აღჭურვილი საკლასო ოთახები შესაბამისი ინვენტარითა და ციფრული ტექნოლოგიებით, რომლებიც შეესაბამება სასწავლო მიზნებს. როგორც ინტერვიუს დროს დადგინდა, სკოლა ძალიან მალე დამატებით მიიღებს ახალ კომპიუტერულ ტექნიკას, რომელიც კიდევ უფრო გააუმჯობესებს სკოლის საჭიროებებს. .
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სკოლაში არსებული კარგი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ტექნოლოგიები	სკოლას ახალი სასწავლო წლიდან ექნება კომპიუტერული ლაბორატორია. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა სრულიად საკმაირისი იქნება იმისთვის, რომ სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობდეს სრულყოფილად.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მომარაგებას სახელმძღვანელოებითა და სხვა დამხმარე რესურსებით, ასევე საჭირო ინვენტარით. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა სასწავლო პროცესს განახორციელებდა სხვა სკოლის შენობაში. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ თითქმის დამთავრებულია მათი შენობის რეაბილიტაცია. მომავალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის ის სრულად იქნება რეაბილიტირებული და აღჭურვილი მატერიალური რესურსით სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირებისათვის.

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოუმენტაციისა და გასაუბრებების დროს დადგინდა, რომ სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, სკოლაში ყველა პედაგოგს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მიღებული პორტირებული მონაცემების მიხედვით თითოეული მათგანის კვალიფიკაცია შეესაბამება შესაბამის პოზიციას, ადამინური რესურსის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიანად და შეუფერხებლად განხორციელებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი ,საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები,
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია,

უცხოური ენების კათედრის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა,
სასკოლო-სასწავლო გეგმა 2024-2025,
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია,
განმსაზღვრელი და განმავთარებელი შეფასების რუბრიკები ,
შემაჯამებელი დავალებების რაოდენობისა და ანალიზის ფორმების განხილვა),
შემაჯამებელი დავალების ანალიზები სამივე საფეხურის (ინგლისური ენა,რუსული ენა),
გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები,ღია გაკვეთილის გეგმა,რეფლექსია,
სტრატეგიები უცხო ენის სწავლების დროს,
შეფასების რუბრიკები,
სსსმ.მოსწავლისშეფასების რუბრიკა(სოლო ტაქსონომიის მიხედვით),
ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,
განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა,
შეფასების ვერიფიკაციის წესი,
მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

.სკოლაში მიმდინარე პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება იმ მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც სკოლას აქვს წარმოდგენილი. სკოლას გააზრებული აქვს ისიც, რომ კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია და ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონიტორინგისა და შეფასების ნაწილს. პედაგოგები აკვირდებიან მოსწავლეთა აქტიურობას, მათ მიერ მიღწეულ შედეგებს და იმას, თუ რამდენად გავიდნენ იმ შედეგებზე, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული. მონიტორინგის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, რომ დადგინდეს, სწავლა-სწავლების პროცესი მიყვება თუ არა იმ გეგმას, რომელიც კურიკულუმის შემუშავებისას მიზნად დაისახა სკოლამ. ამ პროცესს სკოლა ძირითადად გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებითა და მოსწავლეთა შედეგების გაზომვით ცდილობს.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლაში ვიზიტისას პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სწავლა-სწავლების პროცესისა და შედეგების მონიტორინგი და შეფასება არის ძირითადი და მნიშვნელოვანი საფუძველი იმ გამოწვევებთან გასამკლავებლად, რომელიც სასწავლო პროცესს ახალვს თან. სწორედ ეს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის გზასა და საშუალებას.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სწავლა-სწავლების პროცესში სკოლას აქვს მონიტორინგისა და შეფასებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა აქტივობა, მაგალითად გაკვეთილებზე დასწრება და შემდეგ მისი შედეგის ანალიზი. ეს პროცესი ატარებს თანამშრომლობით ხასიათს და ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი ,საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები,
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია,
უცხოური ენების კათედრის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა,
სასკოლო-სასწავლო გეგმა 2024-2025,
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია,
განმსაზღვრელი და განმავთარებელი შეფასების რუბრიკები ,
შემაჯამებელი დავალებების რაოდენობისა და ანალიზის ფორმების განხილვა),
შემაჯამებელი დავალების ანალიზები სამივე საფეხურის (ინგლისური ენა,რუსული ენა),
გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები,ღია გაკვეთილის გეგმა,რეფლექსია,
სტრატეგიები უცხო ენის სწავლების დროს,
შეფასების რუბრიკები,
სსსმ.მოსწავლისშეფასების რუბრიკა(სოლო ტაქსონომიის მიხედვით),
ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,
განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა,
შეფასების ვერიფიკაციის წესი,
მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასებისთვის სკოლა სხვადასხვა მიმართულებით აგროვებს ინფორმაციას და შემდეგ მას იყენებს საბოლოო შეფასებისთვის. მაგალითად გაკვეთილებზე დასწრების შედეგებს, მოსწავლეთა უკუკავშირებს, მასწავლებეთა მიერ საგაკვეთილო პროცესის ანალიზსა და შეფასებას. მოსწავლეთა შედეგებს და სხვა.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესისა და მოსწავლის შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით ხდება, სკოლის მიერ, ყველა საგნის ფარგებშია გაწერილი, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების ფორმები და ასევე შეფასების რუბრიკები. აღსანიშნავია, რომ შეფასებისას პედაგოგები ითვალისწინებენ არამხოლოდ აკადემიურ მოსწრებას და

დავალების შესრულების ხარისხს, არამედ მოსწავლის ინტერესებს, მის მზაობასა და მისწრაფებებს. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა ისაუბრეს იმაზეც, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ იმ გარემოებებსა და ფაქტორებზე, რომელმაც შესაძლოა რაიმე გავლენა მოახდინოს მოსწავლის ჩართულობასა და სწავლის პროცესზე. იგულისხმება ისეთი გარემოებები, რომელიც მოსწავლისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ხდება. სასკოლო საზოგადოების შესაბამისი ჯგუფი სემესტრის ბოლოს აგროვებს ყველა იმ ინფორმაციას, უკუკავშირსა და მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციას, რომელიც სემესტრის განმავლობაში განახორციელა და აანალიზებს მას სხვადასხვა კონტექსტში. სწორედ ამის შემდეგ აფასებს პროცესს.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა სხვადასხვა ტიპის ინფორმაციასა თუ მონაცემს აგროვებს, მათი შეგროვებისთვის სხვადასხვა მეთოდს იყენებს, როგორიცაა ზეპირი უკუკავშირი, წერილობითი უკუკავშირი, კითხვარები, ინტერვიუები და სხვა.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

.როდესაც შეფასების პროცესი მიმდინარეობს სკოლა მას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით აკეთებს. შეფასებისას გათვალისწინებულია ყველა ის გარემოება თუ ფაქტორი, რომელიც იყო ხელისშემშლელი ან პირიქით, ხელისშემწყობი ფაქტორი სწავლა-სწავლების პროცესის გასათვალისწინებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასების რუბრიკები

მოსწავლეთა შეფასების ნიმუშები

პედაგოგებთან ინტერვიუ

გაკვეთილზე დასწრების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

○ *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სემესტრისა და სასწავლო წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებების საფუძველზე, ქმნის კურიკულუმი განვითარებისა და მხარდაჭერის საჭირო სარეკომენდაციო პაკეტს, რომელსაც მოგვიანებით იყენებს ახალი კურიკულუმის შესამუსავებლად და მის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლაში, საგნობრივ კათედრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის გადამუსავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. როგორც პედაგოგები აღნიშნავენ, კათედრების შეხვედრების დროს განიხილავენ ყველა იმ გამოცდილებას, რომელიც კურიკულუმის განხორციელებისას შეაგროვეს, უზიარებენ

ერთმანეთს, აძლევენ სხვადასხვა რეკომენდაციებს და შემდეგ ეს ყოველივე ხდება იმისი საფუძველი, რომ შეიქმნას კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. გსაუბრებისას პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ ამ პროცესში უდიდესი ყურადღება ექცევა კურიკულუმის განხორციელებისას მოსწავლეტა უკუკავშირებს, რომელსაც ისინი წლის განმავლობაში აგროვებენ და შემდეგ ერტად უყრიან თავს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი ,საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები,
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია,
უცხოური ენების კათედრის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა,
სასკოლო-სასწავლო გეგმა 2024-2025,
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია,
განმსაზღვრელი და განმავთარებელი შეფასების რუბრიკები ,
შემაჯამებელი დავალებების რაოდენობისა და ანალიზის ფორმების განხილვა),
შემაჯამებელი დავალების ანალიზები სამივე საფეხურის (ინგლისური ენა,რუსული ენა),
გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები,ღია გაკვეთილის გეგმა,რეფლექსია,
სტრატეგიები უცხო ენის სწავლების დროს,
შეფასების რუბრიკები,
სსსმ.მოსწავლისშეფასების რუბრიკა(სოლო ტაქსონომიის მიხედვით),
ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,
განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა,
შეფასების ვერიფიკაციის წესი,
მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

სკოლის ღობის 2 (ორი) ფოტოსურათი.

თარიღი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენების ექსპერტი:ნათია კილაძე ხელმოწერა:

სახელმწიფო ენის ექსპერტი: მარინე ხუციშვილი.

ტექნოლოგიების ექსპერტი: თეა ღვინიანიძე



საბუნებისმეტყველო საგნების ექსპერტი: ინგა ალავერდაშვილი

დაწყებითი საფეხურის ექსპერტი:მანანა როსტომაშვილი

სპორტის ექსერტი: მარინა ანსესაშვილი



საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტი: მაია გოგოლაძე

მათემატიკის ექსპერტი ნათია ორმოცაძე:

ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი: ინგა ხრიკაძე

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი მარი ფალელაშვილი